№6(49),2017
მასწავლებელი
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ნატო ინგოროყვა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

რედკოლეგია:
გიორგი მაჩაბელი,
მანანა რატიანი,
მარიკა სიხარულიძე,
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:
ირმა ტაველიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

მხატვარი:
მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
გიორგი მაჩაბელი,
მაია ჯალიაშვილი,
მაია ფირჩხაძე, ანა ჯანელიძე,
მანანა ბოჭორიშვილი,
მარიამ გოდუაძე, ნესტან რატიანი,
ქეთევან ოსიაშვილი, მაია მენაბდე,
თამთა დოლიძე, თამთა კობახიძე,
ლელა კოტორაშვილი,
ქეთევან კობალაძე

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე.
ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 / მ-374

WWW.TPDC.GE

როცა იმაზე ვსაუბრობთ, თუ როგორი უნდა იყოს მომავლის სკოლა, ერთ-ერთ უპირველეს მიზნად, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას ვასახელებთ.

ხშირად დაგვიმოწმებია დიმიტრი უზნაძე და გვითქვამს, რომ სკოლა, პატარა სახელმწიფოა და ამ სახელმწიფოს მოქალაქეები მისი აღსაზრდელები არიან. „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ამოცანებში“, უზნაძე წერდა: „დაე, სკოლა დემოკრატიულად იყოს მოწყობილი. დაე, მისი მართვა, არსებითად მოსწავლეთა ხელში გადავიდეს. მართვის ცოცხალი პრაქტიკა გამოაწრთობს მოზარდი თაობის მოქალაქეობრივ ხასიათს“.

როგორ უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, სწორედ დღევანდელი, 21-ე საუკუნის სკოლის მიზანს აღწერდა თითქმის 100 წლის წინ დიმიტრი უზნაძე.

დემოკრატიის, განათლებისა და სკოლის, როგორც საზოგადოებრივი ინსტიტუტის ურთიერთკავშირის შესახებ დისკუსია საუკუნეზე მეტი ხნისაა. ამ დისკუსიაში, დემოკრატიული სკოლის უპირატესობა, ცხადია. აღნიშნულ უპირატესობას, დღეს, უფრო თვალსაჩინოს ხდის დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების იდეის ფართოდ გავრცელება მსოფლიოში. ჯანსაღი დემოკრატია ვითარდება მხოლოდ სამოქალაქო, თვითმართველ საზოგადოებებში და ეს ტენდენცია გლობალურია. სკოლა იყო და რჩება უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ ინსტიტუტად, რომელიც საზოგადოებასთან ერთად ვითარდება: რისკენაც ის ისწრაფვის, იმასვე ელის სკოლისგან.

ჩვენი სკოლის დღევანდელი მდგომარეობის გასააზრებლად ვცადოთ, პასუხი გავცეთ რამდენიმე არსებით კითხვას:

რისკენ ისწრაფვის ჩვენი საზოგადოება?

„ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურყევი ნებაა, დავამკვიდროთ დემოკრატიული საზოგადოებრივი წეს-წყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველვყოთ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განვამტკიცოთ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა..., საქვეყნოდ ვაცხადებთ ამ კონსტიტუციას“.

საქართველოს კონსტიტუცია, პრეამბულა 1995 წ.

„უდავოა, რომ დემოკრატია დაინტერესებულია შეგნებულ მოქალაქეთა აღზრდით, რომლებსაც უნარი ექნებათ, შემოქმედებითად ჩაერიონ სახელმწიფოს ცხოვრების განვითარების პროცესში“.

დიმიტრი უზნაძე, საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ამოცანები, 1917წ.

რას ელის ჩვენი საზოგადოება სკოლისგან?

„საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს, შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის“.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, 2004 წ.

რა კავშირი აქვს სკოლას სამოქალაქო საზოგადოებასთან?

„სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები არიან გაერთიანებული ერების მიზნების თანმხვედრი ინტერესებისა და ფასეულობების მატარებელი და შესაბამის, ნებაყოფლობით საზოგადოებრივ ქმედებასა და თანამონაწილეობაში ჩართული ინდივიდები. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა შორის არიან: საზოგადოებრივი ინსტიტუტები, რომელთაც თავიანთი საქმიანობით წვლილი შეაქვთ ადამიანის უფლებათა შესახებ ცნობადობის ამაღლებაში (სკოლები, უნივერსიტეტები, კვლევითი ორგანოები)“.

გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა პროგრამასთან თანამშრომლობა. დამხმარე სახელმძღვანელო სამოქალაქო საზოგადოებისათვის. გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი. 2008 წ.

რატომ გამახსენდა და რატომ მომინდა, რომ თქვენთვისაც შემეხსენებინა ეს ყველაფერი. ჩვენ, დადგენილი წესითა და კანონებით ვატარებთ ქვეყანაში არჩევნებს, ვირჩევთ საკანონმდებლო თუ თვითმმართველ ორგანოებს. ჩვენმა მოსწავლეებმა არ უნდა ივრძნონ და არც მასწავლებლებს არ უნდა გვქონდეს განცდა, რომ ჩვენ საარჩევნოდ „ხმები“ ვართ, „გვიყენებენ“ და „გვაშინებენ“, თორემ ჩვენ მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს ფასი აღარ ექნება და ამბიციას, რომ მომავლის მოქალაქეებს ვზრდით, არავინ დაგვიჯერებს, მეტიც, მოსწავლეები აღარ გვენდობიან.

მოსაზრება

4 | **გიორგი ნოზაძე**
მასწავლებლის საგნობრივი ცოდნა და ცოდნა საგნის სწავლებისთვის

მასწავლებელმა უნდა შეამოწმოს და შეაფასოს მოსწავლის კომპეტენცია და მისცეს მას კონსტრუქციული უკუკავშირი, რომლის შედეგადაც მოსწავლე უფრო მიზანდასახულად იმუშავებს კომპეტენციების დახვეწაზე სავსებით განსაზღვრული, კონკრეტული მიმართულებით, ხოლო მასწავლებელი შეძლებს მისი პროგრესის და წარმატების გაზომვას.

11 | **ანა ჯანელიძე**
აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი

სტანდარტები სახელმძღვანელო დოკუმენტია არა მხოლოდ აღმზრდელ-პედაგოგების საქმიანობისთვის, არამედ უნივერსიტეტებისთვის, პროფესიული სასწავლებლებისა თუ ტრენინგ-ორგანიზაციებისთვის, რომლებმაც აღმზრდელ-პედაგოგის მომზადებისა და გადამზადებისთვის გამიზნული პროგრამები სწორედ ამ სტანდარტის საფუძველზე უნდა შექმნან.

31 | **მარიამ გოდუაძე**
„შავი ყუთი“ და ფორმატული შეფასების უპირატესობანი ევროპელი და ამერიკელი

განმანათლებლები თანხმდებიან, რომ შეფასებას ყოველთვის უნდა მოჰყვებოდეს მასწავლებლის პედაგოგიური მეთოდების ცვლილება. ჩვენშიც და უცხოეთშიც მოსწავლეები ხშირად აღნიშნავენ, რომ მასწავლებლები იშვიათად მიუთითებენ გამოსწორების გზებზე და ძალიან იშვიათად ახდენენ ხარისხიანი სამუშაოს დემონსტრირებას.

43 | **თამთა დოლიძე**
„მიხშეული წედეგების ანგარიში“ ანუ ძნელად აღსაზრდელი საზოგადოების შესახებ

ინკლუზიური განათლება ზოგიერთ სკოლაში ჯერ კიდევ ლამაზი ფასადია, რომლის მიღმაც სიცარიელ იმალება. ან როგორ შეიძლება ასწავლო სხვას განსხვავებულობის მიღება, როცა თავადაც ვერ უსწორებ თვალს ნაიარევ სხეულს თუ სულს.

პროფესია მასწავლებელი

24 | **მანანა სეხნიაშვილი**
სამოქმედო გეგმა საგაკვეთილო დაკვირვებისთვის

თუ კლასში 2 ან 3 მოსწავლეა, მაშინ ჯგუფებს დავალებას ეტაპობრივად ვუნაწილებთ. მართალია, სრულყოფილი ჯგუფი ვერ შეიქმნება, მაგრამ მთავარია, რომ მოსწავლეები დამოუკიდებლად შეასრულებენ დავალებებს, იფიქრობენ, იმსჯელებენ და თავად მიიღებენ გადაწყვეტილებას.

40 | **ნინო კაპანაძე**
როგორ მოვემზადოთ საგაკვეთილო დაკვირვებისთვის

ამჯერად ჩვენი საუბრის თემა შიდა საგაკვეთილო დაკვირვებაა, რომელიც წარმოადგენს სავალდებულო აქტივობას პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის, როცა ის უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოპოვებაზე ზრუნავს და უფროსი მასწავლებლისთვის, როცა მისი მიზანი ამ სტატუსის შენარჩუნებაა.

49 | **ირმა კახურაშვილი**
მოზარდები და უფროსები

ბევრ მშობელს არ ესმის, რომ თუ მოზარდს წესები არ დაუდგინა, მოზარდი მათ თვითონ მოიგონებს. თუ თქვენ არ დააწესებთ კომენდანტის საათს, მოზარდი თავად დააწესებს მას და ეს თქვენთვის მისაღები ამბავი არ იქნება.

სამოქალაქო განათლება

ნინო ჭიაბრიშვილი

54 **თვითკმარობა – მშვიდობა საკუთარ თავსა და სამყაროსთან**

თვითკმარობას ძლიერი კავშირი აქვს ბავშვობის გამოცდილებასთან. ადრეულ ასაკში სასტიკი მოპყრობა და ტრავმა, სავარაუდოდ, სუსტად განვითარებული თვითკმარობის მიზეზად იქცევა.

პრობლემა

16 მანანა ბოჭორიშვილი

როგორ ჩავატაროთ საკლასო კვლევა

მასწავლებლებს პრაქტიკული კვლევის საშუალებით შეუძლიათ დაადგინონ, რა მუშაობს კლასში და რა – არა. პრაქტიკული კვლევა მათ საშუალებას აძლევს, სწავლების პროცესში საფუძვლიანი და დასაბუთებული, ინფორმაციაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები მიიღონ.

რესურსი

8 მაია ჯალიაშვილი

ახალი ცოდნის შეძენის მოდელები

ცოდნა მუდმივად ახალ-ახალი ინფორმაციის მოძიებას, დახარისხებას, კლასიფიკაციას, გადამუშავებას, ინტერპრეტაციას და ამ რიგის გონებრივ-ინტელექტუალური ოპერაციების ჩატარებას მოითხოვს. ინფორმაციის ნაკადებიც თანდათან მრავალფეროვნდება, რადგან ტექნოლოგიების განვითარებამ ძალიან ბევრი წყარო შექმნა – ბეჭდური თუ ელექტრონული.

21 მაია ფირჩხაძე

ქრონოლოგიური ცოდნისა და უნარების ფორმირება ისტორიის გაკვეთილზე

მასწავლებელს შეუძლია თანამედროვე მიდგომებიდან და სწავლის მეთოდებიდან შეარჩიოს და გამოავლინოს მეტნაკლებად ოპტიმალური ვარიანტი, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს, გაეცვნენ ისტორიული ქრონოლოგიის სპეციფიკას, გაუმკლავდნენ ისტორიის „გრადუსთა ბადეს“, „რომელზედაც კაცობრიობის ისტორია ქორნოლოგიურადაა განლაგებული“ და მიაღწიონ მაღალ შედეგებს სწავლაში.



განათლების ფსიქოლოგია

37 ქეთევან ოსიაშვილი

მეტყველების განვითარების დარღვევები და რეკომენდაციები განთუღებების თავიდან ასაცილებლად

მეტყველების დარღვევის კორექტირება, როცა ის ბგერების წარმოთქმას უკავშირდება, შესაძლებელია ბავშვისთვის ბგერების სწორად წარმოთქმის სწავლებით, აქტიური მეტყველებითი ურთიერთობით, წვრილი მოტორიკის განვითარებით, ენის კუნთების გასამაგრებელი ვარჯიშებით.

46 ქეთევან კობალაძე

გზა ბავშვის გულისაკენ

ყველა ბავშვს თავისებურად ესმის მშობლების სიყვარულის ენა. და თუ მშობლებმაც იციან ეს ენა, მათ კარგად ესმით ერთმანეთის. სიყვარული ნებისმიერ ბავშვს სჭირდება, მის გარეშე ის ვერასოდეს გახდება სრულფასოვანი პიროვნება.



გიორგი ნოზაძე

მასწავლებლის საგნობრივი ცოდნა და ცოდნა საგნის სწავლებისთვის

თავიდანვე ვაცხადებ: ამ სტატიის მიზანი ის არ არის, მასწავლებლებმა თავიანთ საგანში უფრო მეტი საკითხი ისწავლონ პროფესიული განვითარების კურსებსა თუ საგამოცდოდ მოსამზადებელ ტრენინგებზე, ვიდრე ამჟამად იციან და იყენებენ. ჩემი მიზანი ის გახლავთ, რომ მოსწავლეებმა ისწავლონ უკეთესად, მაგრამ ამისთვის საჭიროა, მასწავლებლებმა ხელი შეუწყონ მოსწავლეებს, აღიჭურვონ შესაფერისი კომპეტენციებითა და სწავლის გამოცდილებით. სწორედ ამიტომ ვეხები საკითხს მასწავლებლის იმ საგნობრივი ცოდნის შესახებ, რომელიც მას საგნის სწავლებისთვის სჭირდება.

როგორი საგნობრივი ცოდნა უფრო წაადგება მასწავლებელს დასახული მიზნის მიღწევაში: ის, რომელსაც მოსწავლე ეუფლება (მაგალითად, მათემატიკა საშუალო სკოლის ფარგლებში)? ის, რომელსაც ამ საგნის აკადემიური მკვლევარი ფლობს (მაგალითად, მეცნიერი-მათემატიკოსი)? ის, რომელსაც იყენებს მომიჯნავე საგნის სპეციალისტი ამ საგნიდან (მაგალითად, ინჟინრის ან ეკონომისტის მათემატიკური ცოდნა)? იქნებ რაიმე სხვა ცოდნაც არსებობს, რომელიც სპეციფიკურია მასწავლებლისთვის და არ მოეთხოვებათ სხვა პროფესიის წარმომადგენლებს?

თუ ამ საკითხებს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის პოზიციიდან შევხედავთ, დავინახავთ, რომ საყოველთაოა პრინციპი: **საგნის ცოდნა მისი სწავლებისთვის ნიშნავს იმის ცოდნას, თუ როგორ წარმოიქმნება, განივრცობა, ღრმავდება, შეკავშირდება და ვითარდება საგნობრივი სასწავლო შინაარსი მისი შესწავლის პროცესში.** ეს იმას ნიშნავს, რომ, როგორც ჯონ დიუი ამბობდა საუკუნეზე მეტი ხნის წინ, სწავლებისთვის განკუთვნილი ცოდნა ორგანიზებული უნდა იყოს როგორც ლოგიკურად, ასევე ფსიქოლოგიურადაც: უნდა ჩანდეს, როგორ შეიძლება დასტრუქტურდეს და დაუკავშირდეს ერთმანეთს იდეები ცოდნის ამ სფეროში, როგორ განეფინება ისინი დროში მოსწავლეების ზრდისა და მომწიფების კვალობაზე.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, საგნობრივი ცოდნის დიდებული შენობის აგებულებისა და შემადგენელი ელემენტების ზუსტი და სრული აღწერილობის ცოდნა საკმარისი არ არის მისი სწავლებისთვის, რადგან ამ აღწერილობის გადაცემით მოსწავლე ვერც სრულ შენობას და ვერც მის ცალკეულ ფრაგმენტებს ვერ ააგებს. შენობის მისთვის განკუთვნილი, ასაკობრივად შესაფერისი ნაწილის კონსტრუირებისთვის მას სჭირდება ასაგები მასალა (მაგალითად, წინარე ცოდნა), კონსტრუირების გამოცდილება (მაგალითად, საგაზრდოვნო მოქმედებების შესრულების წარმატებული მცდელობის შედეგად შერჩეული ნაბიჯები სწორი თანმიმდევრობით) და მის ენაზე, მისი აზროვნების თავისებურებების შესაბამისად დასახული მკაფიო მიზანი (მაგალითად, საგანგებოდ შერჩეული, გამოწვევის

შემცველი, მაგრამ დაძლევადი დავალება, რომელიც შეაძლებინებს, აქტუალური განვითარების ზონიდან უახლოესი განვითარების ზონაში გადაინაცვლოს).

კონსტრუირების დროს მოსწავლე დაუშვებს შეცდომებს - ეს გამოცდილების მიღების თანმხლები გარდაუვალი პროცესია. ამ შეცდომების დანახვა და მათი მყისიერად აღკვეთა შენების მომდევნო ეტაპებზე შესაძლოა თვითონ ვერც შეძლოს. მაშასადამე, მასწავლებელი მხოლოდ კი არ უნდა აცნობიერებდეს ყოველი საკითხის აგება-ათვისებისთვის საჭირო წინარე ცოდნას, არამედ უნდა ჰქონდეს კიდეც ყველა მოსალოდნელი ტიპური შეცდომის ნუსხა მოცემულ სასწავლო საკითხთან დაკავშირებით, შეეძლოს მათზე სწორი რეაგირება, ფლობდეს ხარაჩოების შეშველების გზით პრობლემის დაძლევის სტრატეგიებს და ხარვეზების გათვალისწინებით შემდგომი სწავლების წარმართვის კომპეტენციას. მასწავლებელმა უნდა მისცეს მოსწავლეს მისივე თავისებურებების გათვალისწინებით შედგენილი შესაფერისი დავალებები, პრობლემის წარმოშობისთანავე ისე დააკვალიანოს, რომ აღმოუფხვრელი ხარვეზები არ დაუტოვოს და ოპტიმალური ტრაექტორიით წაიყვანოს მისი განვითარების პროცესი.

რაკი მასწავლებელი ერთ შეგირდთან კი არ მუშაობს, არამედ ერთმანეთისგან განსხვავებულ ბევრ მოსწავლეს ამეცადინებს, მან საგნობრივი სასწავლო შინაარსი და იდეები მრავალი ფორმით უნდა წარმოაჩინოს, მრავალნაირად გახსნას საკითხი, შეარჩიოს ცნების ყველაზე შესაფერისი განსაზღვრება, მოიყვანოს ეფექტური მაგალითები ცნების მნიშვნელოვნების ხაზგასმისთვის, დააკავშიროს ცნება იმავე საგნისა თუ მომიჯნავე საგნების სხვა ცნებებთან, მოიხმოს საყოფაცხოვრებო სიტუაციები, რომლებშიც ცნება ნაყოფიერად გამოიყენება.

მასწავლებელმა უნდა შეამოწმოს და შეაფასოს მოსწავლის კომპეტენცია და მისცეს მას კონსტრუქციული უკუკავშირი, რომლის შედეგადაც მოსწავლე უფრო მიზანდასახულად იმუშავებს კომპეტენციების დახვეწაზე სავსებით განსაზღვრული, კონკრეტული მიმართულებით, ხოლო მასწავლებელი შეძლებს მისი პროგრესის და

> საგნის ცოდნა მისი სწავლებისთვის ნიშნავს იმის ცოდნას, თუ როგორ წარმოიქმნება, განივრცობა, ღრმავდება, შეკავშირდება და ვითარდება საგნობრივი სასწავლო შინაარსი მისი შესწავლის პროცესში.

> მასწავლებელმა უნდა შეამოწმოს და შეაფასოს მოსწავლის კომპეტენცია და მისცეს მას კონსტრუქციული უკუკავშირი, რომლის შედეგადაც მოსწავლე უფრო მიზანდასახულად იმუშავებს კომპეტენციების დახვეწაზე სავსებით განსაზღვრული, კონკრეტული მიმართულებით, ხოლო მასწავლებელი შეძლებს მისი პროგრესის და წარმატების გაზომვას.

წარმატების გაზომვას. ამისთვის მან ზუსტად და სრულად უნდა ამოიცნოს კომპეტენციის დაუფლების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომლებიც წარმოდგენილია მოსწავლის ნამუშევარში, მათ საფუძველზე ერთმანეთისგან გამიჯნოს დავალების შესრულების არსებითად განსხვავებული დონეები.

ზემოთ ჩამოთვლილი კომპეტენციები თან საგნობრივია და თან პედაგოგიური, ეს არის ერთგვარი საგნობრივ-მეთოდოლოგიური ცოდნა, რომელიც მხოლოდ საგნის მასწავლებელს მოეთხოვება და არა ნებისმიერი სპეციალობის პროფესიონალს, რომელიც მოცემულ დისციპლინაში აწარმოებს კვლევას ან იყენებს მის იდეებს ყოველდღიური რუტინული სამუშაოს შესრულებისას.

ეს საგნობრივ-მეთოდოლოგიური ცოდნა ყველა საგანში სპეციფიკურია და მჭიდროდ უკავშირდება ბავშვისა და მასწავლებლის ურთიერთქმედების თავისებურებებს. მაგალითად, მათემატიკის მასწავლებელმა მათემატიკა ცოტა უკეთესად მაინც უნდა იცოდეს, ვიდრე მოსწავლეებს მოეთხოვებათ, მაგრამ ბევრად მეტიც რომ იცოდეს, ეს მაინც არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ბავშვებს ასწავლოს. საჭიროა, მას მოსწავლეებისთვის განკუთვნილი მათემატიკის ფარგლებში მაინც შეეძლოს ყველა იმ პედაგოგიურ-მათემატიკური მოქმედების შესრულება, რომლებზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

შესაძლებელია თუ არა, მასწავლებელს ვასწავლოთ ყველა საჭირო პედაგოგიური თუ ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური დისციპლინა, რათა შემდეგ მან თავად მოახდინოს მიღებული ცოდნა-გამოცდილების პროეცირება რომელიმე სასწავლო საგანზე, ანუ თავად მიხვდეს და გამოიყენოს საგნობრივ-მეთოდოლოგიური ცოდნა, რომელზეც ზემოთ ვსაუბრობდით? ერთეულ შემთხვევებში – ალბათ კი, მაგრამ არა მაშინ, როდესაც საქმე მასწავლებელთა 60 000-იან კორპუსს ეხება. ამჟამად მოქმედ მასწავლებელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ სპეციალური საგნობრივ-მეთოდოლოგიური მომზადება უნდა გაიაროს, ზუსტად ისევე, როგორც გადიან ცალკე საგნობრივ და ცალკე პედაგოგიურ თუ ფსიქოსოციოლოგიურ მომზადებას.

მასწავლებელთა ე.წ. ზოგადი პედაგოგიური უნარები წმინდა სახით არ არსებობს – საკლასო მენეჯმენტიც კი საგნობრივად ძალიან სპეციფიკურია და მას მშობლიური ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებიდან ავტომატურად, უცვლელი სახით ვერ გადმოვიტანთ სოციალურ-პოლიტიკურ დისციპლინებში, მით უმეტეს – ბუნებისმეტყველებასა და მათემატიკაში. არსებობს მასწავლებელთა საგნობრივ-მეთოდოლოგიური უნარები, რომელთა დასაუფლებლად ოთხივე სახეობის ცოდნაა საჭირო - ზოგადი პედაგოგიურიც, ფსიქოსოციოლოგიურიც, „წმინდად“, ანუ აკადემიურად საგნობრივიც და პედაგოგიურ-საგნობრივიც.

მაგალითს კვლავ მათემატიკის სწავლებისთვის მოვიყვანთ (Deborah Loewenberg Ball, Mark Hoover Thames, Geoffrey Phelps, Content Knowledge for Teaching, Journal of Teacher Education 59 (2008) 389-407.). მათემატიკის სწავლებისთვის საჭირო მათემატიკური ცოდნის არეებია:

1. **ზოგადი საგნობრივი ცოდნა** – სწავლებისგან განსხვავებულ ვითარებებში გამოყენებადი მათემატიკური ცოდნა და უნარ-ჩვევები. მაგალითად, ორი რიცხვის ქვეშმიწერით გამრავლების ალგორითმი;

2. **სპეციალიზებული საგნობრივი ცოდნა** – სწავლებისთვის სპეციფიკური/უნიკალური მათემატიკური ცოდნა და უნარ-ჩვევები. მაგალითად, როგორ არის დაკავშირებული ორი რიცხვის ქვეშმიწერით გამრავლების ალგორითმი რიცხვების ჩაწერის პოზიციურ სისტემასა და გამრავლების განრიგებადობის თვისებასთან, ან ის, რომ ჯუფთებადობის თვისების სწავლების დროს მოცემული თვისების საჭიროების წარმოსაჩენად უფრო შესაფერისია (387+950)+50 მაგალითი და არა (387+950)+5;

3. **საგნობრივი თვალსაწიერის შემქმნელი ცოდნა** – იმის ცოდნა, თუ როგორ არის დაკავშირებული სასწავლო მათემატიკური საკითხები კურიკულუმის სხვა საკითხებთან. მაგალითად, როგორ

უკავშირდება ორი რიცხვის ქვეშმიწერით გამრავლების ალგორითმი ორი მრავალწევრის გამრავლებას;

4. **საგნობრივი შინაარსისა და მოსწავლეების მიმართების ცოდნა** – ეს არის ცოდნა, რომელშიც კომბინირებულია მოსწავლეთა სააზროვნო თავისებურებებისა და მათემატიკის ცოდნა, რომლის საფუძველზეც მასწავლებელი წინასწარ განჭვრეტს, რას გაიფიქრებენ მოსწავლეები და რა იქნება მათთვის დამაბნეველი. მაგალითად, ცოდნა იმისა, რომ მოსალოდნელია, ორი რიცხვის ქვეშმიწერით გამრავლების დროს მოსწავლეებმა შეცდომა დაუშვან მეორე საშუალედო შესაკრების ერთი თანრიგით მარცხნივ წანაცვლებასთან დაკავშირებით; ან დავალებაში „იპოვეთ ტოლობის უცნობი წევრი 5+7 = ?+8“ ცოდნა იმისა, რომ მაღალია 12 ან 20 პასუხების ალბათობა, რადგან ტოლობის ნიშანს მოსწავლეები აღიქვამენ მოქმედების, ამ შემთხვევაში – შეკრების, შესრულების სიგნალად;

5. **საგნობრივი შინაარსისა და კურიკულუმის ცოდნა** – მოსწავლეთა განათლების მოცემულ ეტაპზე გამოსადეგი სასწავლო მასალებისა და რესურსების ცოდნა და მათი ისეთი მახასიათებლების გაცნობიერება, რომელთა საფუძველზეც შეიძლება შეირჩეს კონკრეტულ ვითარებაში სასარგებლო თუ შეუფერებელი რესურსები. მაგალითად, იმის ცოდნა, თუ რომელი სასწავლო მასალებია ხელმისაწვდომი ორი რიცხვის ქვეშმიწერით გამრავლების სწავლებისთვის/სწავლისთვის, როგორ მეთოდოლოგიურ მიდგომებს ეფუძნება ეს მასალები და რამდენად ეფექტურია ისინი.

სწავლებისთვის საჭირო მინიმალური/აუცილებელი საგნობრივი ცოდნის გარკვევის პრობლემის არასაკმარისი თუ არაჯეროვანი გააზრების შედეგია საგნობრივი კომპეტენციების დამადასტურებელ გამოცდებზე მასწავლებლებისა და საერთაშორისო თუ სახელმწიფო შეფასებებში მოსწავლეთა უაღრესად დაბალი შედეგები. ცხადია, მასწავლებელთა საუნივერსიტეტო მომზადებისა თუ პროფესიული განვითარების საბაზო საგნობრივი პროგრამები ზუსტად და სრულად უნდა ასახავდეს გონივრულ მიდგომებს მასწავლებელთა საგნობრივი კომპეტენციების განვითარებაში. კურიკულუმების, სილაბუსების, მოდულებისა თუ სესიებისთვის თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, რომ გაგვიჩნდეს ეჭვი: არსებობს კი ეს გონივრული მიდგომები მკაფიოდ ფორმულირებული სახით? და თუ არსებობს, იციან მათ შესახებ მასწავლებელთა საწყისი მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მესვეურებმა, პროფესორებმა, ექსპერტებმა და ტრენერებმა? მასწავლებელთა საგნობრივი სტანდარტები და საგამოცდო პროგრამები ხომ არ არის გადასასინჯი? ეგებ ამ დოკუმენტებშია ძაღლის თავი დამარხული? მაშინ რას ვერჩით მათ, ვინც ამ საფუძველმდებელი დოკუმენტების შესაბამისად ამეცადინებს მომავალ თუ მოქმედ მასწავლებლებს და უტარებს მათ გამოცდებს? და პირიქით – თუ მასწავლებელთა საგნობრივ სტანდარტებსა და საგამოცდო პროგრამებში ყველაფერი რიგზეა, მაშინ რატომ არ იღებენ შესაბამის ზომებს მასწავლებელთა საწყისი მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მესვეურები, პროფესორები, ექსპერტები და ტრენერები თავიანთი პროგრამების გასაუმჯობესებლად?

აქ მოკლედ აღვნიშნავთ, რომ მასწავლებლის საგნობრივი სტანდარტები აშკარად დასახვეწია, თუნდაც ეროვნული სასწავლო გეგმის განახლებული ვერსიის ძალაში შესვლასთან დაკავშირებით, თუმცა მოქმედი რედაქციაც შეიცავს აქცენტებს მასწავლებლის საგნობრივი ცოდნის იმ ელემენტებზე, რომლებზეც ზემოთ გავამახვილეთ ყურადღება. ყოველდღიურ პედაგოგიურ პრაქტიკაში მათი იმპლემენტაციის მხრივ კი აღსანიშნავია საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის მიერ გაწეული ძალისხმევა და „მილენიუმის“ პროექტის ფარგლებში მასწავლებლებისთვის ჩატარებული საგნობრივ-მეთოდოლოგიური ტრენინგები. ეს მხოლოდ კარგი დასაწყისია სწორ გზაზე სამოძრაოდ; მას განმტკიცება, განვრცობა და გაძლიერება სჭირდება, თანაც დაუყოვნებლივ და მთელი ქვეყნის, სასკოლო განათლების ყველა საფეხურისა და ყველა საგნის მასშტაბით.

მაია ჯაღიაშვილი

ახალი ცოდნის შეძენის მოდელები

ცოდნა მუდმივად ახალ-ახალი ინფორმაციის მოძიებას, დახარისხებას, კლასიფიკაციას, გადამუშავებას, ინტერპრეტაციას და ამ რიგის გონებრივ-ინტელექტუალური ოპერაციების ჩატარებას მოითხოვს. ინფორმაციის ნაკადებიც თანდათან მრავალფეროვნდება, რადგან ტექნოლოგიების განვითარებამ ძალიან ბევრი წყარო შექმნა - ბეჭდური თუ ელექტრონული. სკოლა მოწოდებულია, ბავშვს ის უნარები განუვითაროს, რომლებიც საჭიროა ზღვა ინფორმაციის სამყაროში გზის გასაკვლევად, სწორი ორიენტირების საპოვნელად. ამ თემაზე ინტენსიურად მუშაობენ განათლების თეორეტიკოსები, ექსპერტები, ფსიქოლოგები, სოციოლოგები თუ პრაქტიკოსი პედაგოგები.

სკოლის მოსწავლეებისთვის შემეცნების პროცესი რთულია და მრავალეტაპიანი. მათ გარკვეული ძალისხმევა სჭირდებათ ამ მნიშვნელოვან გზაზე. პედაგოგის უმთავრესი ამოცანაც ესაა - სწავლების დაწყებითი საფეხურიდანვე განუვითაროს მოსწავლეებს მოვლენათა და ინფორმაციათა ადეკვატური აღქმის უნარი, მერე კი ამ უნარის გაუმჯობესებაში დაეხმაროს. დღეს ამისთვის უკვე არაერთი საგულისხმო მეთოდია შემუშავებული, რომელთა დახმარებითაც მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეს გამოუმუშაოს ორიენტაციის უნარი, რათა მან შეძლოს სასარგებლოს მავნესგან გარჩევა, მერე კი აარჩიოს დასამახსოვრებლად ღირებული.

ადამიანის აღქმის ფენომენს ფსიქოლოგია საუკუნეების განმავლობაში ნაყოფიერად შეისწავლის და მიღწევებიც აქვს. ამ სფეროს ექსპერტთა ვარაუდით, ის ეფუძნება შემდეგ ოთხ კომპონენტს:

- აღმოჩენა;
- გარჩევა;
- იდენტიფიკაცია;
- გააზრება.

ოთხივე განიხილება აღქმის დონეებად, რომლებიც სკოლაში უნდა შეისწავლებოდეს.

ახლის აღმოჩენა – ეს არის პირველი, რასაც ბავშვი სკოლაში შესვლისას ხვდება. ნებისმიერი სენსორული პროცესი ამით იწყება. ძალიან მნიშვნელოვანია, ამ ეტაპზე გაჩნდეს სტიმული და მოტივაცია შემდგომი შემეცნებისთვის, რასაც საგანთა და მოვლენათა გარჩევა მოჰყვება. ამის შემდეგ მოხდება იდენტიფიცირება, რაობის გარკვევა, მეხსიერებაში არსებულ ხატებთან გაიგივება, ხოლო გააზრებისას – კატეგორიზაცია, დახარისხება, მეხსიერებაში ახალი ინფორმაციის შექმნა.

მეცნიერთა ვარაუდით, სკოლაში შესაბამისი მეთოდების საშუალებით შესაძლებელია ინფორმაციის აღქმის უნარის დახვეწა.

თუ რამე საინტერესოა, ის იოლად იზიდავს მოსწავლის ყურადღებას. საგნისა თუ მოვლენის მიმართ ინტერესის გაჩენა უმნიშვნელოვანესია ცოდნის შეძენის გზაზე. ამიტომაც პედაგოგი ყოველგვარი გზით უნდა ეცადოს, მოსწავლისთვის გადასაცემი ინფორმაცია გახადოს საინტერესო და მიმზიდველი, ისევე, როგორც საჩუქარს შეფუთავენ ხოლმე ლამაზად და ბაფთითაც რთავენ, რათა მიმღებმა ნაჩუქარი ნივთის ნახვამდეც განიცადოს სიამოვნება და სიხარული. რაც უფრო მცირე ასაკისაა ბავშვი, მით უფრო მნიშვნელოვანია, როგორ მივაწვდით ინფორმაციას.

მასწავლებელი უნდა ეცადოს, იყოს თანამედროვე, ილაპარაკოს მკაფიოდ, ნათლად, ყველასთვის გასაგებად, ფლობდეს ხმის მოდულაციისა და ჟესტ-მიმიკის ტექნიკას. ინფორმაციის გადაცემისას ნებისმიერ კლასში ყველაფერი ბოლომდე არ უნდა უთხრას მოსწავლეებს, რაღაც გამოსაცნობი, საიდუმლო უნდა დაუტოვოს ინტერესის გასაღვივებლად.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ საშუალო მოსწავლე გაკვეთილზე მიღებული ინფორმაციის მხოლოდ 10%-ს იმახსოვრებს, ამიტომ საჭირო არ არის ერთისა და იმავეს ათასჯერ გადაკითხვა თუ გადაღეჭვა.

ბის, მეორე მხრივ კი კონკრეტული კლასისთვის შესაფერისი ვარიაციული მოდელები. რა თქმა უნდა, სასურველია, მოსწავლეებიც აქტიურად ჩართოს ამ პროცესში. მოსწავლეს, ისევე როგორც ნებისმიერ ადამიანს, ბეზრდება ერთისა და იმავეს განუწყვეტლივ გამეორება და ინტერესს კარგავს. ხანდახან ძველი, დიდი ხნის დავიწყებული რომელიმე მეთოდიც შეიძლება ისე „გააცოცხლოს“ მასწავლებელმა, რომ მოსწავლეებმა ვეღარც კი იცნონ და მობეზრების განცდაც ამგვარად გადაილახება.

მოსწავლეებს ინტერესი არ გაუნელდებათ, თუ მასწავლებელი ერთმანეთს შეუნაცვლებს კითხ-

> სკოლა მოწოდებულია, ბავშვს ის უნარები განუვითაროს, რომლებიც საჭიროა ზღვა ინფორმაციის სამყაროში გზის გასაკვლევად, სწორი ორიენტირების საპოვნელად. ამ თემაზე ინტენსიურად მუშაობენ განათლების თეორეტიკოსები, ექსპერტები, ფსიქოლოგები, სოციოლოგები თუ პრაქტიკოსი პედაგოგები.

ინტერესის გაღვივება შესაძლებელია, თუ მასწავლებელი შემოქმედებით გაკვეთილებს ჩაატარებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მან მუდმივად უნდა ცვალოს სწავლების მეთოდები და სტრატეგიები, ხან წყვილებში ამუშაოს მოსწავლეები, ხან ინდივიდუალურად, ხან ჯგუფებში და ა.შ. ეცადოს, უკვე აპრობირებული მეთოდებიც შემოქმედებითად გამოიყენოს, შექმნას, ერთი მხრივ, თავისი სასწავლო მიზნებისა და ამოცანე-

ვის, წერისა და მოსმენის სტრატეგიებს. მოსწავლე ხომ სხვადასხვა გზით სწავლობს – როგორც დანახვით (ვიზუალური აღქმით), ასევე მოსმენითაც. ცნობილია ერთი ექსპერიმენტი. ამერიკელი ფსიქოლოგის რობერტ სოლსოს აზრით, მოსწავლეთა ვიზუალური აღქმის ინტენსივობა ადვილად შეიძლება შემოწმდეს შემდეგ ნახატით (იმ პირობით, რომ ბავშვებს ის ნანახი არ უნდა ჰქონდეთ):

ცოდნა მუდმივად ახალ-ახალი ინფორმაციის მოძიებას, დახარისხებას, კლასიფიკაციას, გადამუშავებას, ინტერპრეტაციას და ამ რიგის გონებრივ-ინტელექტუალური ოპერაციების ჩატარებას მოითხოვს. ინფორმაციის ნაკადებიც თანდათან მრავალფეროვნდება, რადგან ტექნოლოგიების განვითარებამ ძალიან ბევრი წყარო შექმნა – ბეჭდური თუ ელექტრონული.

მას, ვინც ახალგაზრდა ქალს დაინახავს, ჯერ კიდევ სჭირდება აღქმის განვითარება. ასეთები უფრო მეტი იქნებიან, ვიდრე ისინი, რომლებიც ამ ნახატში მოხუცს ამოცნობენ.

ინფორმაციის აღქმას და გაზრებას აიოლებს დისკუსიები პრობლემურ თემებზე და პრეზენტაციები. ცნობილია, რომ როდესაც მოსწავლე რაიმე საკითხს დამოუკიდებლად ამუშავებს, მას კვლევის უნარებიც უვითარდება და მოპოვებული ინფორმაციაც დიდხანს და მტკიცედ ამახსოვრდება.

ახალი ცოდნის მიღებისა და გადამუშავების პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მასწავლებლის ავტორიტეტსაც. მოსწავლეებს უნდა სჯეროდეთ მასწავლებლისა, პატივს სცემდნენ მის აზრს, ეჭვი არ ეპარებოდეთ მის კომპეტენტურობასა და პროფესიონალიზმში. სხვაგვარად მათ თვალში არავითარ ინფორმაციას არ ექნება წონა და, შესაბამისად, ვერც ვერაფერს აღიქვამენ, დაიმახსოვრებენ თუ გაიაზრებენ სათანადოდ.

უამრავი გამოკვლევა არსებობს იმის თაობაზე, რომელი მეთოდის საშუალებით უფრო მეტს ითვისებენ მოსწავლეები:



რა თქმა უნდა, ყოველგვარი სტატისტიკა პირობითია, მაგრამ მიახლოებით წარმოდგენას მაინც გვიქმნის შესასწავლ მოვლენაზე.

- ლექცია და სახელმძღვანელოს კითხვა – ეს არის მასალის ათვისების ყველაზე უბრალო, მაგრამ, როგორც გაირკვა, ყველაზე ნაკლებად ეფექტური გზა. მოსწავლე მხოლოდ 10%-ს ითვისებს.
- ვიზუალური და აუდიოვიდეომასალის გამოყენება (მაგალითად, სლაიდებისა, ფილმებისა) უფრო ნაყოფიერია – მოსწავლეებს 20-30% ამახსოვრდებათ.
- პრაქტიკული სამუშაო, დაკვირვება კიდევ უფრო შედეგიანია აღმოჩნდა – ამ გზით მოსწავლეებს 50% ამახსოვრდებათ.
- დისკუსია, მოხსენების მომზადება მასალის დამახსოვრების, გააზრების, ანალიზის უნარებს შესანიშნავად ავითარებს. ამ გზით მოსწავლეებს 70% ამახსოვრდებათ.
- ხოლო სწავლების ისეთი არასტანდარტული მეთოდები, როგორებიცაა რეალურ ცხოვრებასთან მისადაგება, იმიტაცია, როლური თამაშები, ყველაზე ნაყოფიერია – მოსწავლეებს 90-100% ამახსოვრდებათ.

პირველი სამი მეთოდი განვითარებულ წარმოსახვას, აბსტრაჰირების უნარს მოითხოვს, რაც ყველას არ გააჩნია, დანარჩენი სამის შემთხვევაში კი მოსწავლეები დამოუკიდებლად წყვეტენ ამოცანებს, რეალურად აღიქვამენ, ხედავენ და, შესაბამისად, გადაწყვეტილებასაც თვითონვე იღებენ.

ასე რომ, მასალის ათვისების პროცესში მასწავლებელმა უპირატესობა ინტერაქციულ მეთოდებს უნდა მიანიჭოს, ხშირად უნდა გამოიყენოს ურთიერთსწავლების ხერხები. ურთიერთთანამშრომლობა, ერთმანეთის საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინება პროცესში მონაწილე ყველა მოსწავლეს ამდიდრებს და განვითარების პერსპექტივას უქმნის.

ანა ჯანელიძე

აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი *ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების* შესახებ, რომელიც წარმოადგენს სამართლებრივ ჩარჩოს სფეროს რეფორმირებისთვის, სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესებისთვის. კანონის მიღებამდე სკოლამდელი განათლების სფეროში არ არსებობდა არავითარი რეგულაცია, რომელიც სავალდებულო იქნებოდა ყველა მუნიციპალიტეტისთვის. შესაბამისად, თოთოეული მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა თავად იღებდა გადაწყვეტილებებს სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობასთან, ხარისხთან, მართვასა და დაფინანსებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე. მიუხედავად იმისა, რომ, კანონის მიხედვით, შენარჩუნებულია მუნიციპალიტეტების მნიშვნელოვანი როლი სკოლამდელი განათლების მართვაში, კანონი გვთავაზობს ახალ სისტემურ ხედვას, სადაც თითოეული მუნიციპალიტეტი ვალდებულია იხელმძღვანელოს მთავრობის მიერ დადგენილი სახელმწიფო სტანდარტებითა და ტექნიკური რეგლამენტებით. კანონი განსაზღვრავს ხუთ სავალდებულო სახელმწიფო სტანდარტს/ტექნიკურ რეგლამენტს შემდეგი მიმართულებებით:

- განათლება;
- აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტები;
- ინფრასტრუქტურა;
- კვება;
- ჰიგიენა და სანიტარია.

სტატიაში მიმოვიხილავთ *აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის* მიერ შემოთავაზებულ სიახლეებს და სტანდარტის ძირითად შინაარსობრივ მიმართულებებს.

აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის მიზანი და სტრუქტურა

აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი (შემდგომში - *სტანდარტი*)საქართველოს მთავრობამ 2017 წლის 27 ოქტომბერს დაამტკიცა (დადგენილება #478). სტანდარტი წარმოადგენს სავალდებულო დოკუმენტს ყველა კერძო და საჯარო ადრეული (0-დან 2 წლამდე) და სკოლამდელი (2 წლიდან სკოლაში შესვლის ასაკამდე) დაწესებულების აღმზრდელ-პედაგოგებისთვის. დოკუმენტი გვთავაზობს სტანდარტებს:

- აღმზრდელ-პედაგოგისთვის;
- მუსიკის აღმზრდელ-პედაგოგისთვის;
- ქართულის როგორც მეორე ენის აღმზრდელ-პედაგოგისთვის.

სტანდარტის ზოგადი მიზანია გააუმჯობესოს ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხი. სტანდარტში „აღმზრდელ-პედაგოგი“ განმარტებულია შემდეგნაირად: „პირი, რომელიც სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში სააღმზრდელო-პედაგოგიურ საქმიანობას ახორციელებს“ (მუხლი 2, „ა“ პუნქტი). კანონისა და სტანდარტის შესაბამისად, აღმზრდელ-პედაგოგის სტატუსის მინიჭება შესაძლებელია მოხდეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული შესაბამისი ტრენინგ-მოდულების გავლის შემდეგ.

> კანონისა და სტანდარტის შესაბამისად, აღმზრდელ-პედაგოგის სტატუსის მინიჭება შესაძლებელია მოხდეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული შესაბამისი ტრენინგ-მოდულების გავლის შემდეგ.

კანონის მიხედვით, აღნიშნული ტრენინგ-მოდულების საფუძველზე აღმზრდელ-პედაგოგთა გადამზადებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი. თუმცა, სტანდარტის მიხედვით, მხოლოდ აღნიშნული გადამზადება არ არის საკმარისი და სტატუსის მისაღებად პირი სხვა მოთხოვნებსაც უნდა აკმაყოფილებდეს, რომელთა შესახებ სტატიის მომდევნო ნაწილში წაიკითხავთ.

სტანდარტები სახელმძღვანელო დოკუმენტია არა მხოლოდ აღმზრდელ-პედაგოგებისთვის, არამედ უნივერსიტეტებისთვის, პროფესიული სასწავლებლებისა თუ ტრენინგ-ორგანიზაციებისთვისაც, რომლებმაც აღმზრდელ-პედაგოგის მომზადებისა და გადამზადებისთვის გამიზნული პროგრამები სწორედ ამ სტანდარტის საფუძველზე უნდა შექმნან.

სტანდარტის დოკუმენტი შედგება ოთხი ძირითადი ნაწილისგან, რომლებსაც ქვემოთ მიმოვიხილავთ:

1. აღმზრდელ-პედაგოგის განათლება;
2. აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული მახასიათებლები – ცოდნა, უნარ-ჩვევები, ღირებულებები და პროფესიული ეთიკა;
3. აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული კომპეტენციები საგანმანათლებლო-სააღმზრდელო გარემოს შექმნისა და პროცესის უზრუნველყოფისთვის;
4. აღმზრდელ-პედაგოგის უწყვეტი პროფესიული განათლებისა და განვითარების მოთხოვნები.

აღმზრდელ-პედაგოგის განათლება

სტანდარტის მეორე თავში მოცემულია აღმზრდელ-პედაგოგთა აუცილებელი მინიმალური განათლება და პროფესიული გამოცდილება. სკოლამდელ დაწესებულებებში ამჟამად დასაქმებულ აღმზრდელთა განათლების გათვალისწინებით, სტანდარტი გვთავაზობს რამდენიმე ვარიანტს, რომელთაგან ერთ-ერთს უნდა აკმაყოფილებდეს აღმზრდელ-პედაგოგი. ამასთანავე, სტანდარტის მიხედვით, გამიჯნულია განსხვავებული მოთხოვნები 2024 წლამდე დასაქმებული (ვინც უკვე მუშაობს ან 2024 წლის 1 სექტემბრამდე დაიწყებს მუშაობას) და 2024 წლის შემდეგ დასასაქმებელი პირებისთვის.

კერძოდ, **2024 წლამდე** დასაქმებული აღმზრდელ-პედაგოგი უნდა აკმაყოფილებდეს ორიდან ერთ-ერთ მოთხოვნას:

ვებლად აუცილებელია, პირი სრულად აკმაყოფილებდეს ერთ-ერთ მოთხოვნას. მაგალითად, იმისთვის, რომ მოთხოვნა 1 დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს, აღმზრდელ-პედაგოგს უნდა ჰქონდეს ერთდროულად ბაკალავრის განათლება (ნებისმიერ დარგში), აღმზრდელად მუშაობის მინიმუმ 4 წლის სამუშაო გამოცდილება და გავლილი ჰქონდეს პროფესიული გადამზადება განათლების სამინისტროს შესაბამისი ტრენინგ-მოდულების მიხედვით.

ამავე მუხლით განსაზღვრულია, რომ 2024 წლის 1 სექტემბრამდე დასაქმებული **მუსიკის აღმზრდელ-პედაგოგი** სრულად უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

განათლება: უმაღლესი ან პროფესიული სამუსიკო განათლება;

პროფესიული განვითარება/გადამზადება: განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულების მიხედვით გადამზადება.

მოთხოვნა I

განათლება: მინიმუმ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ნებისმიერ მიმართულებაში/ დარგში/ სპეციალობაში;

პროფესიული გამოცდილება: აღმზრდელის ან აღმზრდელ-პედაგოგის პოზიციაზე მუშაობის მინიმუმ 4-წლიანი გამოცდილება;

პროფესიული განვითარება/გადამზადება: განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულების მიხედვით გადამზადება;

ან

მოთხოვნა II

განათლება: ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების დამადასტურებელი პროფესიული დიპლომი;

პროფესიული განვითარება/გადამზადება: განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულების მიხედვით გადამზადება.

აღსანიშნავია, რომ აღმზრდელ-პედაგოგის სტატუსის მოსაპო-

ზემოაღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში 2024 წლის 1 სექტემბრამდე დასაქმებული აღმზრდელ-პედაგოგები და მუსიკის აღმზრდელ-პედაგოგები ამ ვადის შემდეგაც შეინარჩუნებენ აღმზრდელ-პედაგოგის სტატუსს. თუმცა 2024 წლის 1 სექტემბრის შემდეგ აღმზრდელ-პედაგოგის პოზიციაზე დასაქმების მსურველმა უნდა დააკმაყოფილოს ერთ-ერთი შემდეგი მოთხოვნა:

მოთხოვნა I

განათლება: ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში;

ან

მოთხოვნა II

განათლება: ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი განათლების, ჰუმანიტარული მეცნიერებების, ფსიქოლოგიის, ხელოვნების მიმართულებით;

პროფესიული განვითარება/გადამზადება: განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულების მიხედვით გადამზადება.

ან

მოთხოვნა III

განათლება: მასწავლებლის განათლებისთვის „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნები;

პროფესიული განვითარება/გადამზადება: განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულების მიხედვით გადამზადება.

რაც შეეხება მუსიკის აღმზრდელ-პედაგოგებს, მათთვის მოთხოვნები იგივე იქნება, რაც 2024 წლამდე: უმაღლესი ან პროფესიული სამუსიკო განათლება და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულების მიხედვით სავალდებულო გადამზადება.

აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული მახასიათებლები

სტანდარტის III თავი განსაზღვრავს ზოგად პროფესიულ მახასიათებლებს აღმზრდელ-პედაგოგისთვის, მუსიკის აღმზრდელ-პედაგოგისთვის და ქართულის როგორც მეორე ენის აღმზრდელ-პედაგოგისთვის. როგორც ზემოთ აღინიშნა, პროფესიული მახასიათებლები აერთიანებს: დარგობრივ ცოდნას, პროფესიულ უნარ-ჩვევებს, ღირებულებებსა და პროფესიულ ეთიკას (თუმცა დოკუმენტში მახასიათებლები არ არის წარმოდგენილი ამ კლასიფიკაციის მიხედვით). აღსანიშნავია, რომ ღირებულებებსა და პროფესიულ ეთიკასთან დაკავშირებული მახასიათებლები მოცემულია მხოლოდ „აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული მახასიათებლების“ ნაწილში და არა მუსიკის და ქართულის როგორც მეორე ენის აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიულ მახასიათებლებში.

სტანდარტი გამოყოფს აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიულ მახასიათებლებს (პირობითად დავაჯგუფეთ ორ მიმართულებად):

1. **სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვისას აღმზრდელ-პედაგოგი:**

   - ითვალისწინებს ჰუმანურობის, თანასწო-

რობისა და ტოლერანტობის პრინციპებს; ავლენს ეფექტური კომუნიკაციის უნარს; არის გაწონასწორებული, კეთილგანწყობილი და ობიექტური; ავლენს ემპათიას და იცავს ეთიკის ნორმებს.

- ავლენს ბავშვის მშობლებსა და ოჯახის წევრებთან ურთიერთობის უნარს.
- ითვალისწინებს ბავშვის ასაკობრივი განვითარების თავისებურებებს, განვითარების სტანდარტებს, ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგიურ პრინციპებს, სწავლების თანამედროვე თეორიებს და პედაგოგიურ მიდგომებს.
- იყენებს თამაშს, როგორც სწავლებისა და განვითარების ძირითად მეთოდს.
- იყენებს მრავალფეროვან აქტივობებსა და რესურსებს; იცავს თანაფარდობას აქტიურ და მშვიდ, მცირე და დიდ ჯგუფებში განსახორციელებელ, ბავშვებისა და უფროსის მიერ ინიცირებულ აქტივობებს შორის.
- ხელს უწყობს თითოეული ბავშვის, მათ შორის – სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების, მრავალმხრივ განვითარებას საგანმანათლებლო/ განვითარების სტანდარტების ყველა სფეროს შესაბამისად.
- ითვალისწინებს თითოეული ბავშვის განვითარების დონეს, შესაძლებლობებს, საჭიროებებს, ინტერესებს.
- უზრუნველყოფს ბავშვზე ორიენტირებულ, ბავშვისადმი კეთილგანწყობილ და ბავშვის მოტივაციისკენ მიმართულ საგანმანათლებლო პროცესს.
- უზრუნველყოფს ბავშვების აქტიურ მონაწილეობას საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვაში.

2. **აღმზრდელ-პედაგოგმა იცის და გააზრებული აქვს:**
   - სწავლისა და განვითარების თეორიები,

> სტანდარტები სახელმძღვანელო დოკუმენტია არა მხოლოდ აღმზრდელ-პედაგოგებისთვის, არამედ უნივერსიტეტებისთვის, პროფესიული სასწავლებლებისა თუ ტრენინგ-ორგანიზაციებისთვისაც, რომლებმაც აღმზრდელ-პედაგოგის მომზადებისა და გადამზადებისთვის გამიზნული პროგრამები სწორედ ამ სტანდარტის საფუძველზე უნდა შექმნან.

განვითარების სფეროები და კანონზომიერებები, განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები, ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია; თამაშის მნიშვნელობა, ტიპები და თამაშის წახალისების სტრატეგიები;

- ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროში არსებული სტანდარტები, მათ შორის – ბავშვის საგანმანათლებლო და განვითარების სტანდარტები, სხვადასხვა პედაგოგიური მიდგომები და პროგრამები, სფეროში არსებული თანამედროვე კვლევები;
- შერეულ ასაკობრივ ჯგუფებთან მუშაობის მეთოდები (რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში იყენებს);
- განათლების უწყვეტობის მნიშვნელობა, ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კლასის საგნობრივი სტანდარტები;
- ინკლუზიური განათლების პრინციპები, შესაბამისი კანონმდებლობა;
- სხვადასხვა სახის სპეციალური საჭიროებები.

სააღმზრდელო-საგანმანათლებლო გარემო და პროცესი

სტანდარტის IV თავში შესულია ის მნიშვნელოვანი კომპეტენციები, რომლებსაც უნდა იყენებდეს აღმზრდელ-პედაგოგი პროფესიული საქმიანობის პროცესში. სწორედ სტანდარტის ეს ნაწილი განავრცობს და აკონკრეტებს, თუ რას მოიაზრებს პრაქტიკაში ის პროფესიული მახასიათებლები, რომლებიც ზოგადი სახით არის ჩამოყალიბებული სტანდარტის III თავში.

ეს თავი წარმოადგენს სტანდარტის დოკუმენტის ყველაზე ვრცელ ნაწილს, სადაც ცალკეული სტანდარტები წარმოდგენილია შემდეგი შვიდი მიმართულების მიხედვით:

1. ჯანმრთელობა და უსაფრთხოება
2. სოციალური გარემო
3. ფიზიკური გარემო
4. დაკვირვება და შეფასება
5. ეფექტური სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესი
6. ინკლუზიური განათლება
7. თანამშრომლობა

თითოეული მიმართულება საშუალოდ 9-10 სტანდარტს მოიცავს. მაგალითისთვის განვიხილოთ მიმართულება „ეფექტური სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესი“ (მუხლი 13), რომელიც აერთიანებს 9 სტანდარტს. სტანდარტები ფორმულირებულია შემდეგი სახით:

- „აღმზრდელ-პედაგოგი ხელს უწყობს თითოეულ ბავშვს დამოუკიდებლად მოქმედებასა და ინიციატივების გამოვლენაში (მუხლი 13, მე-3 პუნქტი)“
- „აღმზრდელ-პედაგოგმა იცის ქცევის პოზიტიური მართვის „გაძღოლის სტრატეგიები“ და სხვადასხვა პოზიტიური მეთოდის მეშვეობით ახდენს ბავშვებში რთული ქცევის პრევენციას; რთული ქცევის შემთხვევაში მიმართავს პოზიტიურ მეთოდებს მის მოსაგვარებლად“ (მუხლი 13, მე-5 პუნქტი).

აღმზრდელ-პედაგოგის უწყვეტი პროფესიული განათლება და თვითგანვითარება

სტანდარტის დოკუმენტის ბოლო თავი მოიცავს პროფესიულ განვითარებასა და უწყვეტ განათლებასთან დაკავშირებულ 11 სტანდარტს შემდეგ საკითხებზე:

- მონაწილეობა სამუშაო შეხვედრებში, სემინარებში, ტრენინგებში და ა.შ.;
- თანამედროვე პროფესიული ლიტერატურის გაცნობა;
- თანამშრომლობა და გამოცდილების ურთიერთგაზიარება კოლეგებთან საკუთარ საბავშვო ბაღში, აგრეთვე – სხვა სკოლამდელ დაწესებულებებში;
- თანამშრომლობა პრაქტიკანტებთან, მოხალისეებსა და მკვლევარებთან და ამ გამოცდილების გამოყენება თვითგანვითარებისთვის;
- რეგულარული თვითშეფასება, პროფესიული განვითარების დაგეგმვა და იდენტიფიცირებული პროფესიული საჭიროებების მიხედვით მოქმედება (მაგ, შესაბამისი ტრენინგპროგრამის მოძიება და გავლა);
- მონაწილეობა სტანდარტებისა და პროგრამების შემუშავების, განხილვისა და დანერგვის პროცესში.

მანანა ბოჭორიშვილი

როგორ ჩავატაროთ საკლასო კვლევა

> კვლევის პროცესი ციკლურია და ყოველი ეტაპის დასრულების შემდეგ, როგორც წესი, ახალი ეტაპი იწყება.

დღეს საკმაოდ ბევრ მასწავლებლს უწევს კვლევის ჩატარება კლასის დონეზე. პრაქტიკულ საკლასო კვლევას ატარებს, როგორც ერთი მასწავლებელი ასევე რამდენიმეს ერთად. ოცდამეერთე საუკუნის პედაგოგიკის გამოწვევაა ის რომ მასწავლებელს მუდმივად უწევს – მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ მონაცემების შეგროვება და შენახვა, მოსწავლეებზე დაკვირვება, ახალი სასწავლო მეთოდების გამოცდა, მაგრამ თუ ამ მოქმედებებს ორგანიზებულ და სტრუქტურირებულ სახეს მისცემს გაცილებით მეტი სასარგებლო ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი, რომელსაც მასწავლებელი გააანალიზებს და სასწავლო პრაქტიკის გასაუმჯობესებლად გამოიყენებს.

ვიდრე მასწავლებელი საკლასო კვლევას დაგეგმავს და წარმართავს მას უნდა ჰქონდეს პასუხები შემდეგ კითხვებზე:

1. რაში მდგომარეობს პრაქტიკული საკლასო კვლევის მიზნები?
2. როგორ უნდა მოვახდინოთ საკვლევი საკითხის იდენტიფიცირება?
3. როგორ უნდა დავგეგმოთ კვლევა?
4. როგორ შევაგროვოთ მონაცემები?
5. როგორ ვაწარმოოთ მონაცემების გაანალიზება?
6. რის საფუძველზე გამოვიტანოთ დასკვნა ?
7. როგორ შევადგინოთ რეკომენდაციები?
8. როგორ დავწეროთ კვლევის ანგარიში?

1. რაში მდგომარეობს პრაქტიკული საკლასო კვლევის მიზნები?

პრაქტიკული კვლევა – ეს არის კლასში მასწავლებლის მიერ გარკვეული მიზნით ინფორმაციის შეგროვებისა და შემდგომი გაანალიზების პროცესია. **საკლასო უმთავრეს მიზანს,** როგორც წესი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამაღლება, მათი სოციალური და სხვა უნარების გაუმჯობესება წარმოადგენს.

კვლევის მიზნების მისაღწევად მასწავლებლებს შეუძლიათ სხვადასხვა სტრატეგიის დასახვა მეთოდის გამოყენება. როგორც წესი, მათ ხშირად უწევთ სწავლების მრავალი სტრატეგიიდან ერთ-ერთის ამორჩევა, რომლის წარმატებაც დამოკიდებულია არაერთ ფაქტორზე მოსწავლეთა რაოდენობაზე, საგანზე და ა.შ. კვლევა სწორედ იმისთვის ტარდება, რომ ახალი სტრატეგია და მეთოდები მოსწავლეთა საჭიროებებს მოერგოს, გათვალისწინებული იყოს მათი გამოყენების მოსალოდნელი რისკები და საფრთხეები. მასწავლებლებს პრაქტიკული კვლევის საშუალებით შეუძლიათ დაადგინონ, რა მუშაობს კლასში და რა – არა. **პრაქტიკული კვლევა მათ საშუალებას აძლევს, სწავლების პროცესში საფუძვლიანი და დასაბუთებული, ინფორმაციაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები მიიღონ.**

2. რატომ არის მნიშვნელოვანი საკვლევი საკითხის იდენტიფიცირება?

იმისათვის, რომ კარგად ჩამოვაყალიბოთ საკვლევი საკითხი, უნდა დავფიქრდეთ:

- რა სახის პრობლემებია ყველაზე მეტად თვალშისაცემი თქვენს კლასში?
- რისი გაუმჯობესება გინდათ?

შეგიძლიათ ჩამოწეროთ ასეთი პრობლემების/გამოწვევების/სუსტი მხარეების სია და შემდეგ შეარჩიოთ ყველაზე პრიორიტეტული.

კარგ საკვლევ საკითხს სამი ძირითადი მახასიათებელი უნდა ჰქონდეს:

- **საკითხი მნიშვნელოვანი უნდა სასწავლო საგნისათვის და სასწავლო პრაქტიკისათვის;**
- **კვლევის შედეგებმა აუცილებლად უნდა მიგიყვანოთ კონკრეტულ ქმედებამდე, უნდა შეცვალოთ ან შეინარჩუნოთ სწავლების არჩეული სტრატეგია;**
- **საკვლევი საკითხი ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ კვლევის განხორციელება შესაძლებელი იყოს დროის, რესურსებისა და ძალისხმევის ოპტიმალური გამოყენების თვალსაზრისით.**

საკვლევი საკითხი შეიძლება აღწერილობითი ხასიათის იყოს. **მაგალითად** – რამდენი მოსწავლე ასრულებს მიცემულ დავალებებს მათემატიკაში რეგულარულად, დროულად და ხარისხიანად.

ზოგიერთი საკვლევი საკითხი შესაძლოა მიზნად ისახავდეს განსხვავებულ ფაქტორებს შორის დამოკიდებულებების შესწავლას. **მაგალითად** – ის ბავშვები, რომლებიც კლასში აქტიურობენ მათემატიკის გაკვეთილზე, იღებენ თუ არა შემაჯამებელ ნაშრომებსა და ტესტებში პასიურ ბავშვებზე უკეთეს ნიშნებს?

ხშირად მასწავლებლების მიერ ჩატარებული კვლევა პასუხობს შეკითხვას:

რა გავლენას ახდენს A ფაქტორი მოსწავლის აკადემიურ მიღწევაზე.

A ფაქტორი შეიძლება იყოს:

- შესრულებული საშინაო დავალების ინტენსივობა;
- მეცადინეობისთვის გამოყოფილი დრო,
- მშობლის ჩართულობა სასწავლო პროცესში
- და ა.შ.

კვლევის გამოყენება, როგორც აღვნიშნეთ, შესაძლებელია ამა თუ იმ სწავლების სტრატეგიის, ახალი მეთოდის გამოსაცდელად. ამ შემთხვევაში, საკვლევი საკითხი შესაბამისად უნდა ჩამოყალიბდეს. **მაგალითად,** თუ თქვენ უცხო ენის მასწავლებელი ხართ და ამჩნევთ, რომ ბავშვებმა გრამატიკული წესები კარგად იციან, მაგრამ უცხო ენაზე ზეპირ კომუნიკაციას ვერ ახერხებენ, საკვლევი საკითხი ასე განვსაზღვროთ:

- როგორ შემიძლია მოსწავლეებს განვუვითარო უცხო ენაზე ზეპირი კომუნიკაციის უნარ-ჩვევები.
- ავითარებს თუ არა დიალოგების ზეპირად სწავლა უცხო ენაზე ზეპირი კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს.

მას შემდეგ, რაც საკვლევი საკითხი ჩამოყალიბებულია, მოვაგროვეთ ინფორმაცია საკვლევი საკითხის ირგვლივ. უნდა მოვიფიქროთ სავარაუდო პასუხი/პასუხები საკვლევ შეკითხვაზე.

1. თუ თქვენი საკვლევი საკითხია: ის ბავშვები, რომლებიც კლასში მათემატიკის გაკვეთილებზე საკლასო აქტივობებში აქტიურობენ, იღებენ თუ არა შემაჯამებელ ნაშრომებსა და ტესტებში პასიურ ბავშვებზე უკეთეს ნიშნებს.
2. საურველია მოიძიოთ პროფესიული ლიტერატურა, რომელშიც საუბარია კლასში აქტიურობასა და ტესტებში მიღებულ ქულებს შორის კავშირზე; შეეცადეთ, გაარკვიოთ, ჩატარებულა თუ არა მსგავსი კვლევა საქართველოში; ვკითხეთ აზრი კოლეგებს და გავიზიარეთ მათი გამოცდილება.
3. თუ თქვენი საკვლევი საკითხია სწავლების რომელიმე სტრატეგიის ეფექტურობის შესწავლა ანუ მაგალითად, ის მოსწავლეები, რომლებიც იზეპირებენ დიალოგებს ინგლისურ ენაში აქვთ უფრო განვითარებული ზეპირი კომუნიკაცია. **მოვიძიოთ პროფესიული ლიტერატურა ამ საკითხის ირგვლივ,** განიხილეთ ეს საკითხი უცხო ენის სხვა მასწავლებლებთან ერთად. შეგიძლიათ მოიძიოთ, გამოუყენებიათ თუ არა ეს მეთოდი სხვა სკოლებში, სხვა მასწავლებლებს და ა.შ.

3. როგორ დავგეგმოთ მარტივი საკლასო კვლევა

შეადგინეთ კვლევის გეგმა, სადაც ჩამოაყალიბებთ საკვლევ შეკითხვას და ასევე იმას, თუ როგორ აპირებთ სასურველი მონაცემების შეგროვებას. აუცილებლად დაფიქრდით შემდეგ კითხვებზე:

- რამდენი დრო დასჭირდება მონაცემების შეგროვებას.
- რა ინსტრუმენტებს გამოიყენებთ კვლევის დროს.
- როგორ შეინახავთ მონაცემებს.

კვლევის ჩატარების არაერთი გზა არსებობს. მაგალითად:

- შეგიძლიათ უბრალოდ ჩაიწეროთ თქვენი მოსაზრებები თითოეული გაკვეთილის შემდეგ,
- შეადგინოთ კითხვარები,
- ჩაატაროთ საკლასო დაკვირვება,
- ჩაიწეროთ აუდიო-მასალა
- და ა.შ.

სანამ უშუალოდ მონაცემების მოგროვებაზე გადახვალთ, აუცილებლად კარგად ჩამოაყალიბეთ, რა ტიპის მონაცემები გჭირდებათ, რა სიხშირით უნდა შეაგროვოთ ისინი და ა.შ.



თუ სწავლების ახალი მეთოდის, ან სტრატეგიის ეფექტურობის კვლევა გსურთ, ახალი მასალის ახსნის დროს შეგიძლიათ ერთი მეთოდი ერთ კლასში გამოიყენოთ, მეორეში კი ახსნა ძველი მეთოდით განაგრძოთ. **როგორ?** ის კლასი, სადაც ახალ მეთოდს იყენებთ, **ექსპერიმენტული კლასი** იქნება, ხოლო ის, სადაც ძველი მეთოდით აგრძელებთ მუშაობას, **საკონტროლო კლასად** დარჩება. ახალი მასალის დამუშავების შემდეგ შეადარეთ ერთმანეთს ექსპერიმენტული და საკონტროლო კლასის მოსწავლეთა მიერ მასალის ათვისების დონე და სათანადო დასკვნაც გამოიტენეთ გაამართლა თუ არა სწავლების ახალმა მეთოდმა. **მნიშვნელოვანია,** რომ ექსპერიმენტულ და საკონტროლო კლასებში მოსწავლეებს დაახლოებით ერთნაირი აკადემიური მოსწრება და მოტივაცია უნდა ჰქონდეთ.

მასწავლებელს იოლად შეუძლია ახალი მიდგომები სხვადასხვა პერიოდში გამოიკვლიოს. **მაგალითად,** თუ სურს, გამოსცადოს, რამდენად ამართლებს ჯგუფური მუშაობის პრინციპი ამა თუ იმ საგანში, ეს მიდგომა ერთი თვის განმავლობაში შეუძლია გამოიყენოს მომდევნო თვეში კი არა. შემდეგ შედეგები ერთმანეთს შეადაროს.

საკლასო კვლევის დროს მონაცემები შესაძლოა იყოს:

- **რაოდენობრივი** – მაგ. ტესტებში მიღებული ნიშნები, გამოკითხვის შედეგები
- **თვისებრივი** – მაგ. დიალოგები, ფოკუსჯგუფებსა თუ კლასში ჩატარებული განხილვების ჩანაწერები

მასწავლებელს ყოველთვის აქვს შემდეგი მონაცემები:

- საშინაო დავალებების ნიშნები,
- ბავშვთა დასწრების მაჩვენებლები,
- საკლასო წერის ნიშნები,
- შემაჯამებელი წერის ნიშნები,
- და ა.შ.

ხშირად დამატებითი ინფორმაცია სჭირდება მასწავლებელს. **მაგალითად**:

- თუ მასწავლებელს სურს დაადგინოს რა გავლენას ახდენს ოჯახური პირობები ბავშ-

ვის აკადემიურ მოსწრებაზე, უნდა დაუსვათ შეკითხვები მშობლებს.

- თუ გსურთ კლასში აქტიურობასა და ტესტებში მიღებულ ქულებს შორის კავშირის დადგენა, შეადგინეთ ბავშვებზე დაკვირვების ფორმა, რომლის მიხედვითაც გაარკვევთ, რამდენად აქტიურად ებმებიან ისინი საკლასო განხილვებში მოსწავლის აქტიური მონაწილეობა შეგიძლიათ გაზომოთ არა მხოლოდ იმით, თუ რა სიხშირით პასუხობს იგი დასმულ შეკითხვებს, ან თავად სვამს მათ, არამედ იმით, თუ რა ტიპის შეკითხვებს სვამს და რამდენად კარგად პასუხობს.

ზოგადად, მნიშვნელოვანია, სხვა-დასხვა ტიპის მონაცემები შეაგროვოთ, რათა დარწმუნდეთ, რომ თანმიმდევრული ხართ. ეს საშუალებას მოგცემთ, შედეგი სხვადასხვა წყაროდან გადაამოწმოთ, რაც თქვენს კვლევას მეტ სანდოობას შესძენს. მაგალითად, თუ გსურთ, გამოიკვლიოთ, რამდენად ეფექტური იყო სწავლების ესა თუ ის მეთოდი, შეგიძლიათ დასკვნა გამოიტანოთ საგამოცდო ნიშნებზე, გაკვეთილის განმავლობაში აქტიურობაზე, დასმულ შეკითხვებზე, მოსწავლეთა ქცევაზე დაკვირვების შედეგად. ასევე საინტერესო ინფორმაციას მიიღებთ, თუ მოსწავლეებს სწავლების მეთოდის შეფასებას სთხოვთ. მონაცემების გაანალიზება მონაცემთა ანალიზის მიზანს საინტერესო ტენდენციების აღმოჩენა წარმოადგენს, მაგალითად:

- სწავლების ახალი მეთოდის გამოყენების შედეგად გაუმჯობესდა თუ არა მოსწავლეების შედეგები.
- არის თუ არა კავშირი სასწავლო პროცესში მშობლების ჩართულობასა და მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას შორის.

მონაცემთა ანალიზის შედეგად თქვენ კვლევის დასაწყისში დასმულ შეკითხვაზე პასუხი უნდა მიიღოთ.

მნიშვნელოვანია, კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები აუცილებლად გამოიყენოთ პრაქტიკაში. მაგალითად, თუ სწავლების ახალი მეთოდის გამოყენება მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას ზრდის, განაგრძეთ ამ მეთოდის გამოყენება და უფრო ფართოდ დანერგეთ იგი. თუ აღმოჩნდა, რომ ესა თუ ის მეთოდი არ ამართლებს და მისი დახმარებით ვერ აღწევთ იმ მიზანს, რომელიც დასახული გქონდათ, დაუბრუნდით ძველ მეთოდებს.

> მასწავლებლებს პრაქტიკული კვლევის საშუალებით შეუძლიათ დაადგინონ, რა მუშაობს კლასში და რა –არა. პრაქტიკული კვლევა მათ საშუალებას აძლევს, სწავლების პროცესში საფუძვლიანი და დასაბუთებული, ინფორმაციაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები მიიღონ.

მნიშვნელოვანია, დასკვნების გაზიარება კოლეგებთან. შეგიძლიათ კვლევის შედეგების განხილვა მოაწყოთ საგნობრივ კათედრებზე, სხდომებზე, მშობლებთან და ბავშვებთან. ამ ეტაპზე კარგი იქნება, თუ საკუთარ კვლევას გადახედავთ და ნახავთ, რამ იმუშავა კარგად და რამ – არა. შესაძლოა, კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, სხვა, ახალი კვლევის საჭიროებაც გაჩნდეს. კვლევის პროცესი ციკლურია და ყოველი ეტაპის დასრულების შემდეგ, როგორც წესი, ახალი ეტაპი იწყება.

მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა შეადგინოს მის მიერ დაგეგმილი და განხორციელებილი კვლევის ანგარიში. **როგორ მოვამზადოთ და დავწეროთ კვლეევის ანგარიში?**

სათაური – კვლევის ანგარიშის სათაური შემდეგ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს: მან უნდა ასახოს კვლევის საგანი, ზუსტად უნდა გადმოსცეს ნაშრომის ფოკუსი არც ზედმეტად ფართო უნდა იყოს, არც ზედმეტად ვიწრო.

სარჩევი – უნდა მოიცავდეს ნაშრომის ძირითადი პარაგრაფებს; ცხრილების და გრაფიკების ჩამონათვალს ასეთის არსებობის შემთხვევაში იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს ტექსტშია მოცემული.

ანოტაცია – კარგი ანოტაცია ეს არის მთელი ნაშრომის ერთ პარაგრაფში მიმოხილვა. არსებობს ორი სახის ანოტაციას: პირველი კონცენტრირებას ახდენს მიღებულ შედეგებსა და მათგან გამომდინარე დასკვნებზე; მეორე კი ნაშრომის 4 ძირითადი ნაწილის: შესავალი, მეთოდები, შედეგები, დისკუსია. თითო-თითო წინადადებით შეჯამებას ახდენს.

პრობლემის დასმა – ამ ნაწილში მნიშვნელოვანია მასწავლებელმა მოახდინოს კვლევის ხასიათისა და მისი განხორციელების გზების მოკლე მიმოხილვა, აგრეთვე გამოკვლევის მიზნებისა და ჰიპოთეზების ნათლად ფორმულირება.

ლიტერატურის მიმოხილვა – აუცილებელია საკვლევ საკითხთან მიმართებაში შერჩეული პირველადი და მეორადი წყაროების მიმოხილვა და მათი ორიგინალური და კრიტიკული ანალიზი.

კვლევის დიზაინი – ამ ნაწილში აუცილებელია იმ თეორიული სტრუქტურისა და მეთოდების მითითება, რომლის ფარგლებში და რომელთა გამოყენებითაც უნდა შემოწმდეს ჰიპოთეზები.

გამოყენებული მეთოდოლოგია – ანგარიშის ამ ნაწილში უნდა მოხდეს მონაცემების სანდოობისა და ვალიდურობის ჩვენება, აგრეთვე იმ ანალიზის განხილვა, რომელიც ჰიპოთეზების შემოწმებას უნდა ემსახურებოდეს.

შედეგები – ინფორმაცია და მონაცემები, რის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება გადაწყვეტილების მიღება ჰიპოთეზების მიღებისა თუ უკუგდების შესახებ.

რეკომენდაციები – მიღებული შედეგებით ნაკარნახევი პრინციპების, კავშირების, კორელაციებისა და განზოგადებების პრეზენტაცია; შედეგების ინტერპრეტაცია და საკვლევ პრობლემასა და ჰიპოთეზებთან მათი კავშირის ჩვენება; დედუქციურ- ინდუქციური დასკვნების გამოტანა და რეკომენდაციების შემუშავება.

დასკვნა – მიღებული შედეგებისა და მათგან გამომდინარე დასკვნების მოკლედ შეჯამება.

ბიბლიოგრაფია – ყველა გამოყენებული წყაროს მითითება ანბანური თანმიმდევრობით, ერთი არჩეული ფორმატის ფარგლებში.

დანართი – მნიშვნელოვანი მონაცემები და საილუსტრაციო მასალა, მოთავსებული ძირითადი ტექსტის ფარგლებს მიღმა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://mastsavlebeli.ge/?action=news&lang=geo&npid=270
2. The Survey Research Handbook. Homewood: Irwin. Babbie, E. (1998).
3. Survey Research Methods (2nd ed.). Belmont: Wadsworth. Bernard, H. R. (200

მაია ფირჩხაზე

ქრონოლოგიური ცოდნისა და უნარების ფორმირება ისტორიის გაკვეთილზე

> კარნახი ასტიმულირებს მოსწავლის წარმოსახვას, რაც ეხმარება მას, შესასწავლი საგნები საკუთარ დროსა და სივრცეს დაუკავშიროს.

თანამედროვე მსოფლიო გამუდმებით განიცდის ცვლილებებს. მასთან ერთად იცვლება ადამიანის ცხოვრებაც. დღევანდელი ვითარება ხვალ ისტორიის ნაწილი ხდება. ადამიანიც ჩართულია ამ ფერხულში, დროთა განმავლობაში უამრავი კითხვა უჩნდება წარსული მოვლენებისა და მომავლის შესახებ და მუდმივად ეძიებს პასუხებს მათზე: როდის მოხდა ესა თუ ის მოვლენა... რამდენი წლის წინ დაიბადა... რამდენი წელი გავიდა... როდის იქნება... როდის მოხდება... – და ა.შ. ასე იყო წინათ, ასე იქნება მომავალშიც. მაგრამ ქრონოლოგიასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხის მიღება ყოველთვის არ არის ადვილი, რადგან ისტორიულ ქრონოლოგიას თავისი სპეციფიკა აქვს. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის სასკოლო საისტორიო კურსის სწავლებისას, როდესაც მოსწავლეებს პირველად უყალიბდებათ ქრონოლოგიასთან დაკავშირებული ცოდნა და უნარები. მნიშვნელოვანია, რომ ისტორიული ქრონოლოგია ეხმარება მოსწავლეებს არა მარტო წყაროში მოცემული თარიღების შემოწმებასა და დაზუსტებაში, არამედ ისტორიული მოვლენების შემეცნებასა და აღქმაშიც.

მასწავლებელს შეუძლია, თანამედროვე მიდგომებიდან და მეთოდებიდან შეარჩიოს მეტ-ნაკლებად ოპტიმალური ვარიანტი, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს, გაეცნონ ისტორიული ქრონოლოგიის სპეციფიკას, გაუმკლავდნენ ისტორიის „გრადუსთა ბადეს“, „რომელზეც კაცობრიობის ისტორია ქრონოლოგიურადაა განლაგებული“ და მაღალ შედეგებს მიაღწიონ სწავლაში. ამისთვის შეიძლება, პირველივე გაკვეთილებიდან, როდესაც მოსწავლეს ისტორიის სახელმძღვანელოში თარიღები შეხვდება, მას შევურჩიოთ მრავალფეროვანი დავალებები, რომელთა მეშვეობითაც:

- მოსწავლე მოახერხებს მასალის ორგანიზებასა და ზოგადსასწავლო კომპეტენციების ათვისებას;
- აუმაღლდება მოტივაცია და გაუღვივდება საგნობრივი ინტერესი;
- გამოავლენს ინდივიდუალურ შესაძლებლობებს;
- განუვითარდება დაკვირვების, ყურადღებისა და ანალიზის უნარები;
- ჩაერთვება შემოქმედებით საქმიანობაში;
- გაკვეთილზე პასიური პოზიციიდან გადავა აქტიურში;
- აქტიურად გამოიყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს

და ა.შ.

ისტორიულ ქრონოლოგიაზე მუშაობის მრავალფეროვანი მიდგომებიდან და აქტივობებიდან მნიშვნელოვანია:

1. „დროის ხაზზე“ ორიენტაციის ათვისება. ქრონოლოგიის შესწავლისთვის საჭირო დავალებების ტიპებსა და ვარიანტებს შორის მას უმთავრესი ადგილი უჭირავს, რადგან გარკვეული თემების გავლის შემდეგ მოსწავლეს უკვე შეუძლია, ვიზუალურად აღიქვას, წარმოისახოს და დააკავშიროს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროს მიმდინარე მოვლენები. ამისთვის მასწავლებელმა მას უნდა

> მასწავლებელს შეუძლია, თანამედროვე მიდგომებიდან და მეთოდებიდან შეარჩიოს მეტ-ნაკლებად ოპტიმალური ვარიანტი, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს, გაეცნონ ისტორიული ქრონოლოგიის სპეციფიკას, გაუმკლავდნენ ისტორიის „გრადუსთა ბადეს“, „რომელზეც კაცობრიობის ისტორია ქრონოლოგიურადაა განლაგებული“ და მალე შედეგებს მიაღწიონ სწავლაში.

მისცეს ისეთი დავალებები, რომლებიც მოსწავლეს შეაძლებინებს:

- განსაზღვროს მოვლენათა ხანგრძლივობა;
- დაადგინოს მოვლენათა შორის დროითი კავშირები;
- დაადგინოს მოვლენების სინქრონულობა.

2. **დროში უკეთესად ორიენტირებისთვის შეგვიძლია მოსწავლეებს შევთავაზოთ ისტორიული ამოცანებიც** და ამ გზით დავეხმაროთ, სრულყოფილად გაერკვიონ წელთაღრიცხვის სისტემაში. ასეთი ამოცანების მაგალითებია:

- რამდენი წლის წინ გაიმართა ლაიფციგის „ხალხთა ბრძოლა“?
- დაადგინე სიმართლე: არქეოლოგებმა იპოვეს ორი მონეტა, ერთს აწერია თარიღი: „ძვ.წ. 324 წელი“, მეორეს – „მოიჭრა ალექსანდრე მაკედონელის დროს“. რომელი იქნება მათ შორის ყალბი?
- რომელი უფრო ადრე იყო – ძვ.წ.-ის 65 წელი თუ ახ.წ.-ის 144 წელი?
- თუ ტომის ბელადი დაკრძალეს ძვ.წ.-ის 2600 წელს და მხოლოდ შარშან აღმოაჩინეს მისი სამარხი არქეოლოგებმა, რამდენი წელი ყოფილა მიწაში ჩაფლული მისი ფარი და შუბი?

და ა.შ.

3. **ყურადსაღებია მოსწავლეთა მუშაობა ტესტურ დავალებებზე. მოტივაციის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა „ეროვნული გამოცდების“ ფორმატით შედგენილი ტესტების შეთავაზება.**

4. **შედეგიანია ქრონოლოგიასთან დაკავშირებული ისეთი შემოქმედებითი დავალებები, როგორებიცაა მოხსენების ან რეფერატის მომზადება მნიშვნელოვან მოვლენებზე, მსოფლიო ომებზე, პოლიტიკურ მოღვაწეთა ბიოგრაფიებზე და სხვ.**

5. **ეფექტურია გაკვეთილზე სათამაშო ტექნოლოგიის გამოყენებაც – ისეთისა, როგორიცაა, მაგალითად, „ისტორიული ლოტო“.** თამაშში მონაწილეობს ორი გუნდი, თითოეულში დაახლოებით 5 მოსწავლეა. მონაწილეები თამაშის სახელწოდების მიხედვით რიგრიგობით ასახელებენ ასო-ბგერებს, რომელთაგან თითოეულს ესა თუ ის რიცხვი შეესაბამება. რიცხვები წერია ბარათებზე, რომლებიც ორ პატარა ყუთშია ჩაყრილი. თითოეულ ციფრს შეესაბამება თამაშის საკუთარი სქემა, რომელიც ათეულობით კითხვას შეიცავს. თამაშის წამყვანი (ის შეიძლება იყოს მოსწავლეც და მასწავლებელიც) ხსნის ყუთს და ასახელებს ციფრს, ხოლო პასუხობს ის გუნდი, რომლის სქემაზეც მითითებულია მოცემული ციფრი. თითოეული სწორი პასუხისთვის გუნდი ქულას მიიღებს, არასწორი პასუხისას კი ქულა დააკლდება. ამავე დროს პასუხის გაცემის საშუალება ეძლევა მეორე გუნდს და მას შეუძლია გაზარდოს თავის ქულათა ჯამი. გამარჯვებულია ის, ვინც სქემის ყველა კითხვას უპასუხებს და მეტ ქულას დააგროვებს.

6. **მოსწავლეებს აინტერესებთ ისტორიული მოვლენების გამოთვლასთან დაკავშირებული დავალებები,** რომლებიც ეფუძნება ისეთ მონაცემებს, როგორებიცაა:

- დროის გაზომვა და დაყოფა ინტერვალების მიხედვით, მაგალითად, სხვადასხვა კალენდარული დროის სკალის (იულიუსისა და გრეგორიანული კალენდრები, მთვარის კალენდარი და სხვ.) გამოყენებით.

7. **პრაქტიკულობითა და მოქნილობით გამოირჩევა მარტივი ქრონოლოგიური ცხრილები,** რომლებიც თვალსაჩინოს ხდის ფაქტებისა და მოვლენების თანხვედრასა და თანმიმდევრობას. ამ დროს აქცენტი დაისმის მნიშვნელოვან თარიღებზე, ხოლო მოვლენის მასშტაბზე ყურადღება არ მახვილდება. ცხრილები შეიძლება შედგენილი იყოს თემატური პრინციპით, მაგალითად, დინასტიების მიხედვით, მნიშვნელოვანი მოვლენების მიხედვით, ომების ეტაპების მიხედვით და ა.შ.

8. **ძალიან ეფექტურია სინქრონიული და დიაქრონიული ცხრილების გამოყენებაც.** სინქრონიული მიდგომა ეთნიკური და პოლიტიკური ისტორიისთვის საჭირო დიდი და აუცილებელი მასალის შეკრებას გულისხმობს და მოსწავლეს საშუალებას აძლევს, უზარმაზარ პერიოდს დინამიკაში გაადევნოს თვალი, **ხოლო** როდესაც ემპირიული და კონცეპტუალური ცოდნა თანაბრად არ არის განაწილებული და პრობლემური კითხვები გაკვეთილზე დიდი რაოდენობით ჩნდება, დიაქრონიული სკალის მოშველიებით მასწავლებელი ადვილად გაართმევს თავს სირთულეს. ასეთ სკალაზე თარიღებთან ერთად შეიძლება შეგვხვდეს, მაგალითად, ინფორმაცია ეთნოსის ზრდის, დამცრობისა თუ ხელახალი რეალიზების შესახებ, რაც უფრო მეტად შეუწყობს ხელს მასალის აღქმასა და დამახსოვრებას.

ძვ. წ. III -I ს.ს. სინქრონიული ცხრილი:

თარიღი ძვ. წ.	რომი	ელინიზმის ხანა	თურანი	ჰუნი და ჰანი	ბუნებრივი პირობები
220-210	ჰანიბალი იტალიაში	საბერძნეთ-ბაქტრიის გამოყოფა სირიისგან	სოგდების ჰეგემონობა აღმოსავლეთ აზიაში	ჩინეთის დიდი კედლის მშენებლობა	კლიმატის მაქსიმალური ხელსაყრელობა
209-200	რომის გამარჯვება კართაგენზე	ანტიოქოსის მიერ პართიელების განდევნა მიდიიდან და ბაქტრიის აღება	ჰუნების დამარცხება; სოგდები ჰუნების წინააღმდეგ	ჰუნთა სახელმწიფოს ორგანიზება. ხანის იმპერია	კასპიის დაბალი ზღვრული მაჩვენებლები
....	.....	.....	.....	.....	.....
89-80	სამოქალაქო ომი. მარიუსი და სულა		პართიისა და რომის ზავი	ჰუნების დაპირისპირებები ერთმანეთთან	სტეპის „გადახმობის“ დაწყება
....	.....	.....	.....	.....	.....

დიაქრონიული ცხრილის მაგალითი:

ბიზანტია და გოთურ-სლავური „ბარბაროსები“:

N	ბიზანტია	ხანგრძლივობა	გოთები და ლიტები	ხანგრძლივობა
1.	ნიკეის კრება 325 წ., წარმართებზე გამარჯვება	დავა ერეტიკოსებსა და გნოსტიკოსებთან	გოთების გადასახლება; ვანდალები. სლავებისა დროსომონების გამოჩენა	ჰუნების გადაადგილება აზიაში
2.	კრებების ეპოქა (325-630 წ.წ.). საზღვრების დაცვა, იტალიისა და კართაგენის დაბრუნება	სპარსეთთან ომი	ალარიხი, გოთები ესპანეთში, იტალიის განადგურება	ჰუნები გოთების წინააღმდეგ. ბერძნები ოსტგოთების წინააღმდეგ
....	.....	.....	.....	.....

სინქრონიული და დიაქრონიული ცხრილები დროსა და ფაქტებთან დაკავშირებული მასალების დალაგებისას ყველაზე უკეთ გადმოგვცემს მოვლენათა კონტექსტს და მასალის გაგებასაც აადვილებს. შეიძლება, მასწავლებელმა ასეთი ცხრილის შედგენა მოსწავლეებს დაავალოს ან თვითონვე შეადგინოს ის და დატოვოს ცარიელი გრაფები, რომლებსაც შემდეგ მოსწავლეები შეავსებენ.

სინქრონიული ცხრილის მაგალითი:

9. **საინტერესო შედეგებს იძლევა თემატური კარნახი,** როდესაც ცოდნა მოწმდება კითხვების დასმის გზით და უნდა შეესაბამებოდეს შესასწავლ თემას, სახელმძღვანელოს და პროგრამას. კარნახი ასტიმულირებს მოსწავლის წარმოსახვას, რაც ეხმარება მას, შესასწავლი საგნები საკუთარ დროსა და სივრცეს დაუკავშიროს. კითხვები ძირითადად დახურული ტიპისა უნდა იყოს, უნდა გულისხმობდეს მკაფიო, ერთმნიშვნელოვან პასუხებს, ნათლად იყოს ფორმულირებული და მოსწავლე არ დააბნიოს. შემოწმებისას თითო სწორი პასუხისთვის მოსწავლე მიიღებს თითო ქულას, ნახევარი პასუხი კი შეფასდება 0.5 ქულით. ისტორიული კარნახის დროს კითხვები სხვადასხვანაირია, მაგრამ როგორც არ უნდა აიგოს ისინი, მათში აუცილებლად უნდა შედიოდეს **კითხვითი სიტყვა – „როდის?“**

ამ ფორმით დალაგებული მასალები სახალისოა, ხელს უწყობს მეხსიერების განვითარებას, საგნობრივი კომპეტენციების ათვისებას, კომუნიკაციური უნარების ფორმირებას და მოსწავლეთა შედეგების ამაღლებას.

მანანა სეხნიაშვილი

სამოქმედო გეგმა საგაკვეთილო დაკვირვებისთვის

> თუ კლასში 2-3 მოსწავლეა, მაშინ ჯგუფებს დავალებას ეტაპობრივად ვუნაწილებთ. მართალია, სრულყოფილი ჯგუფი ვერ შეიქმნება, მაგრამ მთავარია, რომ მოსწავლეები დამოუკიდებლად შეასრულებენ დავალებებს, იფიქრებენ, იმსჯელებენ და თავად მიიღებენ გადაწყვეტილებას.

საგაკვეთილო დაკვირვება, გარე დაკვირვება, სამოდელო გაკვეთილი – ეს ის მოთხოვნებია, რომლებიც დღეს ყველას აინტერესებს. ჩემი სამსახურიდან გამომდინარე, საქართველოს სხვადასხვა მხარეში მიხდება პედაგოგებთან შეხვედრა. როგორი მრავალფეროვანიცაა ჩემი მოგზაურობა, პრობლემებიც ასეთივე მრავალფეროვანებით ხასიათდება. განსაკუთრებით მცირეკონტინგენტიანი სკოლების პედაგოგები წუხან. ჯგუფური მუშაობის გაგონებაზე მწარედ ეღიმებათ. არადა, ჯგუფური მუშაობის მიზანი ხომ მოსწავლის პიროვნული და თანამშრომლობითი სოციალური უნარების ჩამოყალიბება, შემეცნებითი და კომუნიკაციური უნარების განვითარებაა. მცირეკონტინგენტიანი სკოლების პედაგოგებს გაკვეთილის გეგმას შევპირდი. გთავაზობთ ჩემ მიერ ჩატარებულ ჩვეულებრივ სამუშაო გაკვეთილს, რომლის გამოყენება საგაკვეთილო დაკვირვებისთვისაც შეიძლება.

თუ კლასში 2-3 მოსწავლეა, მაშინ ჯგუფებს დავალებას ეტაპობრივად ვუნაწილებთ. მართალია, სრულყოფილი ჯგუფი ვერ შეიქმნება, მაგრამ მთავარია, რომ მოსწავლეები დამოუკიდებლად შეასრულებენ დავალებებს, იფიქრებენ, იმსჯელებენ და თავად მიიღებენ გადაწყვეტილებას.

გთავაზობთ მე-8 კლასის 2 გაკვეთილის სამოქმედო გეგმას. პირველ გაკვეთილზე მოხდება ქვეყნების დაჯგუფება და გაიმართება მინიდისკუსია, მეორეზე კი ახალი კრიტერიუმები შეირჩევა.

თემა: განვითარებული და განვითარებადი მსოფლიო

მიზანი: მოსწავლემ უნდა შეძლოს მსოფლიოში რეგიონების გამოყოფის პრინციპებისა და ქვეყნების კლასიფიკაციის მნიშვნელოვანი კრიტერიუმების დახასიათება.

გეო.VIII.9. მოსწავლეს შეუძლია დაახასიათოს მსოფლიოში რეგიონების გამოყოფის პრინციპები და ქვეყნების კლასიფიკაციის მნიშვნელოვანი კრიტერიუმები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აკვირდება ქვეყნების ჩრდილოეთად და სამხრეთად დაყოფის (ეკონომიკური განვითარების დონის მაჩვენებელ) რუკას და ცხრილში ქვეყნებს განვითარების დონის მიხედვით აჯგუფებს;
- ილუსტრაციების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს ქვეყნის განვითარების დონის მაჩვენებელ საკუთარ კრიტერიუმებს (სამუშაო ადგილები, სავაჭრო ობიექტები, საშუალო ხელფასი, ტრანსპორტი, საცხოვრებელი) და გამოთქვამს მოსაზრებებს.

აქტივობა №1. გეოგრაფიულ საშუალებებზე მუშაობა

მიზანი: მოსწავლემ უნდა დააჯგუფოს ქვეყნები მოცემული კრიტერიუმების მიხედვით.

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ქვეყნების (მშპ-ის საერთო მოცულობა ან მშპ 1 სულ მოსახლეზე) რუკებს და სთხოვს, დააჯგუფონ ცხრილში ქვეყნები განვითარების დონის მიხედვით;

მდიდარი	ღარიბი

შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს სახელმძღვანელოში მოცემულ გაეროს მიერ შემუშავებული კრიტერიუმების ჩამონათვალს და სთხოვს, ეს ქვეყნები დააჯგუფონ ახალ ცხრილში:

განვითარებული	გარდამავალი	განვითარებადი

აქტივობა №2. მინიდისკუსია

მასწავლებელი სვამს სადისკუსიო კითხვას:

1. როგორ გგონიათ, რის საფუძველზე იქნა შერჩეული ის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრება ქვეყნის განვითარების დონე?
2. რატომ უწოდებენ ამ კრიტერიუმებს ადამიანის განვითარების ინდექსს?

აქტივობა №3. შეჯამება

დისკუსიის შეჯამებისთვის მოსწავლეები აკეთებენ SWOT ანალიზს.

ძლიერი მხარე	სუსტი მხარე
საფრთხე	შესაძლებლობა

მეორე გაკვეთილი

მიზანი: მოსწავლემ უნდა დაახასიათოს მსოფლიოს განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები, შეიმუშაოს ქვეყნის განვითარების დონის მაჩვენებლის საკუთარი კრიტერიუმი და არგუმენტირებულად (მინიმუმ 2 არგუმენტი) დაასაბუთოს საკუთარი პოზიცია.

აქტივობა №4. როლური თამაში

მოსწავლემ უნდა დაახასიათოს მსოფლიოს განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები. ჯგუფებმა ტექსტისა და რუკების გამოყენებით უნდა წარმოაჩინონ ამ ორი ტიპის ქვეყნების თავისებურებები და განსხვავებები.

პირველი ეტაპი: მასწავლებელი მოსწავლეებს უცხადებს, რომ ისინი არიან ქვეყნების განვითარების შემსწავლელი ორგანიზაციის წევრები და ყოფს მათ ჯგუფებად.

1. განვითარებადი ქვეყნების შემსწავლელი ჯგუფები (3 ჯგუფი);
   მოსწავლეებმა უნდა „შეიმუშაონ“ საკუთარი კრიტერიუმები, რომლებსაც საჭიროდ მიიჩნევენ ქვეყნის განვითარების დონის დასადგენად და დაასაბუთონ საკუთარი პოზიცია.
2. ექსპერტთა ჯგუფი, რომელშიც შედიან ევროკავშირის, გაეროსა და ნატოს წარმომადგენლები.

ტექსტი. ტერმინი „განვითარებადი“ გულისხმობს ისეთ ქვეყნებს, სადაც შედარებით დაბალია ცხოვრების დონე, განუვითარებელია ინდუსტ-

რიული ბაზა და საშუალო ან დაბალია ჰუმანური განვითარების ინდექსი (HDI). ტერმინმა ხმარებიდან განდევნა შედარებით ადრინდელი, ცივი ომის პერიოდში გამოყენებული ტერმინი – „მესამე მსოფლიო“, რომელმაც დროთა განმავლობაში ნეგატიური შეფერილობა შეიძინა.

განვითარება მოიცავს თანამედროვე ინფრასტრუქტურას (ფიზიკურსა და ინსტიტუციურს), ასევე – დაბალი დამატებითი ღირებულების სექტორებიდან, როგორებიცაა სოფლის მეურნეობა და ბუნებრივი რესურსების წარმოება, უფრო მაღალტექნოლოგიურ და ინტელექტუალურ სფეროებზე გადანაცვლებას. განვითარებული ქვეყნების ეკონომიკა ემყარება მუდმივ, თვითუზრუნველყოფად ეკონომიკურ ზრდასა



რუკა: ჰუმანური განვითარების ინდექსი

და ცხოვრების მაღალ დონეს. თუმცა „განვითარებად ქვეყნად“ მსოფლიოს ყველა ნაკლებად განვითარებული ქვეყნის მოხსენიება მიზანშეწონილი არ არის: ზოგიერთი ღარიბი ქვეყანა საკუთარ ეკონომიკურ სიტუაციას ვერ აუმჯობესებს, პირიქით, ხანგრძლივ ეკონომიკურ კრიზისს განიცდის.

მსოფლიოს ფერადი რუკა ჰუმანური განვითარების ინდექსის მიხედვით. მწვანე ფერით აღნიშნულია ქვეყნები, სადაც ჰუმანური განვითარების მაჩვენებელი მაღალია, ყვითელი/ნარინჯისფერი მიუთითებს საშუალო ჰუმანურ განვითარებაზე, ხოლო წითელი – დაბალზე.

აქტივობა №5. დისკუსია

მოსწავლემ უნდა შეძლოს ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან ოპტიმალური ვარიანტების შერჩევა.

დისკუსიის შედეგად შესაძლებელია საერთო კრიტერიუმების დადგენა და გაეროში წარსადგენი პროექტის დაგეგმვა და მომზადება.

პრეზენტაცია:

ჯგუფები წარმოადგენენ ნამუშევარს და მსჯელობენ მოცემული დავალების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფის წევრებს აქვთ უფლება, ჩაეძიონ კითხვებს და რეკომენდაციები მისცენ მოპასუხეებს. ჯგუფებმა უნდა ახსნან და დაამტკიცონ, რამდენად ზუსტად განსაზღვრავს მათ მიერ შერჩეული კრიტერიუმები ქვეყნის განვითარების დონეს.

მოსწავლეს ევალება, მოიფიქროს რამდენიმე კრიტერიუმი, სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით შეარჩიოს ერთი და დაასაბუთოს, რატომ მიანიჭა აღნიშნულ კრიტერიუმს უპირატესობა, რით არის ის მნიშვნელოვანი.

შეფასება: განმავითარებელი და განმსაზღვრელი- შეფასების რუბრიკა

შეფასების კრიტერიუმები	მიღწევის დონეები			
	1	2	3	4
მოცემული კრიტერიუმების მიხედვით ქვეყნების დაჯგუფების უნარი	ვერ აჯგუფებს ქვეყნებს მოცემული კრიტერიუმების მიხედვით.	მოცემული კრიტერიუმების მიხედვით ქვეყნების დაჯგუფებისას უშვებს ბევრ უზუსტობას.	მოცემული კრიტერიუმების მიხედვით ქვეყნების დაჯგუფებისას უშვებს მცირე უზუსტობებს.	უშეცდომოდ აჯგუფებს ქვეყნებს მოცემული კრიტერიუმების მიხედვით.
არგუმენტირებული დასაბუთების უნარი	ვერ ასაბუთებს არგუმენტირებულად.	ცდილობს, მოიყვანოს არგუმენტები, თუმცა ვერ ასაბუთებს.	მოჰყავს ორი არგუმენტი, თუმცა ვერ ასაბუთებს.	მოჰყავს ორი არგუმენტი და ასაბუთებს.

www.mastsavlebeli.ge

ეროზარ ეროზარაშვილი

მაგათგან ყველაფერი მოსალოდნელია!

მეტალი ბენზინის ნაცვლად – მითი თუ სინამდვილე?

უცნაური არსებაა ადამიანი. ქედმაღალი, ამპარტავანი, მეამბოხე, თავისად – თავისუფლების და სხვისი დამონება-დამორჩილების მოსურნე, დრო-ჟამთან ერთად ცვალებადი და მოცადი... ჩვენი მოდგმის გაჩენის დღიდან სამყარო გამუდმებით იცვლება და ჩვენც ყოველთვის ვპოულობთ შეცვლილ გარემოში არსებობის საშუალებას. რით? – პროფესიების გამოგონებით.

პირველი პროფესია, რომელიც გამოვიგონეთ, ალბათ მონადირეობა იყო. მშიერ კუჭს ამოვსება სჭირდებოდა და მარტო მცენარეების იმედად ვერ დავრჩებოდით. მონადირეობას მალევე მოჰყვებოდა კულინარიული ოსტატობა – მრავალფეროვნების მოტრფიალე ადამიანს მოსწყინდებოდა ერთფეროვანი უმი ხორცის დაგემოვნება. საკუთარ თავს, ტომსა და ნანადირევს დაცვა სჭირდებოდა, ამიტომ ბრძოლისა და თავდაცვის ხერხებიც მალევე უნდა გაჩენილიყო. მით უფრო – ნადირობიდან ომამდე ერთი ნაბიჯია.

ნადირობაც, ბრძოლაც და კერძის მომზადებაც შიშველი ხელებით საკმაოდ უხერხული და ნაკლებად ეფექტური იყო და ადამის მოდგმამ უმალ ახალი პროფესია - მჭედლობა გამოიგონა, რასაც მადნეულის მოპოვება, აგრონომია, მშენებლობა და სხვა დარგების ჩანასახები მოჰყვა.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ასე ნაბიჯ-ნაბიჯ იქმნებოდა ახალი პროფესიები და ადამიანებიც უფრო და უფრო იწაფებოდნენ. და რაც უფრო დიდ სიმაღლეზე აჰყავდათ ესა თუ ის ტექნოლოგია, მით უფრო უმჯობესდებოდა მათი ყოფაც. მაგრამ ეს მიღწევები მხოლოდ ხორციელ საზრდოს იძლეოდა. რა გასაკვირიც უნდა იყოს, ფიზიკურთან ერთად ადამიანი დასაბამიდანვე განიცდიდა სულიერ შიმშილს. პირველს ტექნოლოგიების განვითარებით უმკლავდებოდა, მეორისთვის კი ხელოვნება მოიგონა, რაზეც გამოქვაბულებში აღმოჩენილი კედლის „მხატვრობა“ მეტყველებს.

ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ დღეს პროფესიებს ორ დიდ ჯგუფად ყოფენ – სახელოვნებოდ (შემოქმედებითად) და არასახელოვნებოდ. ხელოვანის სტატუსს ატარებს ის, ვისაც კალამი, ფუნჯი, საჭრეთელი, სიტყვა და ტორსის პლასტიკა უჭრის. რას მივიჩნევთ დღეს ხელოვნების ნიმუშად? სიმღერას, ლექსს, ნახატს, ქანდაკებას, არქიტექტურულ ნაგებობას. უცხოელებს ქვეყნის გასაცნობად, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ ღირშესანიშნაობებს ვაჩვენებთ ხოლმე. მაგრამ განა შემოქმედებითი წვის ნაყოფი მხოლოდ ეს არის?

რომელ ტურისტულ სააგენტოს მოუვა აზრად, ტურისტული მარშრუტების ნუსხაში ფაბრიკა-ქარხნები შეიტანოს?

შემოქმედებასულის შიმშილის გამოძახილია და ის მეტ-ნაკლებად ყოველ ჩვენგანს აწუხებს. სამწუხაროდ, ინჟინრებს, მეცნიერებს, მასწავლებლებს შემოქმედებით ადამიანებად არ მიიჩნევენ, თუმცა ვინ იცის, რამდენი მათგანია საქვეყნოდ ცნობილ ხელოვანთა ტოლ-სწორი.

ვინ თქვა ინჟინრის შემოქმედებითობა? იმ ქალაქის სავიზიტო ბარათად, რომელსაც საკრე-კერის ტაძარი და მონმარტრი აქვს, უბრალო „რკინის კონსტრუქცია“ იქცა, რომელიც საინჟინრო თვალსაზრისით უფრო საინტერესოა, ვიდრე სანახაობრივად. აშენებითაც სწორედ ამ დარგის მიღწევათა სადემონსტრაციოდ ააშენეს. ბევრი ძირძველი პარიზელი დიდხანს ამრეზით უყურებდა ეიფელის კოშკს, მაგრამ ნაგებობის კონტურმა ნელ-ნელა შეიძინა ხელოვნების ნიმუშის სტატუსი და დღეს ის პარიზის სიმბოლოა.

რა გასაკვირიც უნდა იყოს, ისტორიული ძეგლებით საკმაოდ მდიდარი თბილისის სიმბოლო მთაწმინდა და სატელევიზიო ანძაა, თუმცა ის ვერც ეიფელს დაუდებს ტოლს და ვერც ტორონტოსა თუ შანხაის ტელეანძებს, რადგან მოკლებულია ორიგინალურობას – მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა სერიული წარმოების პროდუქტია.

თუმცა ეიფელის მაგალითიც საკმარისია იმისთვის, რომ ბევრ ქმნილებას სხვა თვალით შევხედოთ – აღმოვაჩენთ, რომ ინჟინრები და გამომგონებლები ხშირად არანაკლები შემოქმედები არიან, ვიდრე ხელოვანთა ოლიმპოს თავშეფარებულნი.

დასასრული 28-ე გვერდზე

მაგათგან ყველაფერი მოსალოდნელია!

დასაწყი 27-ე გვერდზე

პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომით თავი გამოიჩინეს მაკგილის უნივერსიტეტის მკვლევრებმაც.

გლობალური პრობლემაა ენერგეტიკა. ნავთობი ილევა. არ ვიმჩნევთ, მაგრამ პანიკამდე შორი არ არის. დროდადრო შეფარვით შეგვახსენებენ, რომ „ტყე შეუნახე შვილებსა" კონცეფციაში, დროა, „ტყე" „ენერგომატარებლებით" შეიცვალოს, რადგან ნავთობის ამოწურვის შემდეგ, თუ ენერგიის ალტერნატიული წყარო არ მოვიძიეთ, პირველი სწორედ ტყე განადგურდება.

ამიტომ მეცნიერები და მკვლევრები დიდი ხანია ფიქრობენ, რით შეიძლება შეიცვალოს ნავთობი. მოისინჯა თითქმის ყველა მასალა, რომელიც ხელმისაწვდომია და იწვის. გამალებით მუშაობენ წყალბადის, ბიოეთანოლის, ბიოდიზელის მიღების მეთოდების გამარტივებაზე... უკვე მზის შუქისა და ქარის დაჭერა-გარდასახვასაც ვახერხებთ. მზისა და ქარისგან სუფთა ელექტროენერგიის მიღების ტექნოლოგიები სწრაფად ვითარდება. მაგრამ ისინი მთლიანად ვერ ჩაანაცვლებს ბენზინს და დიზელს. ბიოდიზელი, მართალია, მნიშვნელოვანი ალტერნატივაა, მაგრამ სოფლის მეურნეობის შესაძლებლობები ჩამორჩება მასზე მოთხოვნის დონეს, ამიტომ ნახშირწყალბადოვან საწვავს ის მხოლოდ ნაწილობრივ თუ ჩაანაცვლებს. წყალბადს დიდი და მძიმე საცავები სჭირდება, ამასთან, მაღალია მისი აფეთქების რისკი.

ასე რომ, თავის დამშვიდება ნაადრევია. ჯერ ისევ აქტიური ძიების ფაზაში ვართ.

მაკგილის უნივერსიტეტის მკვლევრები ცდილობენ, გარე წვის ძრავებში საწვავად მეტალის ფხვნილი გამოყენონ. მეტალის წვის ენერგიის გამოყენება ახალი არ არის – მას XX საუკუნის შუა წლებიდან აქტიურად იყენებენ სარაკეტო საწვავებში.

მეტალის წვით დიდი რაოდენობის სითბოს მიღებაა შესაძლებელი, მარტივდება რეციკლიზაციის პროცესი, არ ხდება CO_2-ის ემისია.

მოცემული ტექნოლოგია ჯერ დახვეწის სტადიაზეა, თუმცა უკვე მოახერხეს სტაბილური ცეცხლის ალის მიღება მეტალის წვრილდისპერსიულ ფხვნილსა და ჟანგბადის ნარევის ნაკადში. გამოყენების ერთ-ერთი პირველი კანდიდატი რკინაა. დღეს ის მეტალებს შორის ყველაზე მეტი იწარმოება. მისი რეგენერაციის ტექნოლოგიაც უფრო დახვეწილი და იაფია, ვიდრე სხვა მეტალებისა. ტექნოლოგიის ავტორები გვპირდებიან, რომ მალე პროტოტიპული დანადგარის აგებასაც შეძლებენ.

რეზო გაბრიაძისა და ელდარ შენგელაიას „შერეკილებიც" ჩემთვის ყველაზე მეტად სწორედ სამეცნიერო თვალსაზრისით არის საინტერესო. ალბათ გახსოვთ: „ადამიანს რა ჭირი გააფრენს ცაში, მაგრამ მაგათგან ყველაფერი მოსალოდნელია!"

ერთ-ერთ სტატიაში ვწერდი, რა მნიშვნელოვნად მიმაჩნია, ნაწარმოებები ეპოქების კი არა, თემების, პრობლემების მიხედვით ისწავლებოდეს. დარწმუნებული ვარ, მოსწავლეს ნაწარმოებთა ასეთი თემატურ-პრობლემური კავშირი გაცილებით მეტს მისცემს, ვიდრე ქრონოლოგიური ხაზის მიყოლა. ძალიან მნიშვნელოვანია, ამა თუ იმ ეპოქის ნაწარმოები მოსწავლისთვის არ დარჩეს მხოლოდ იმ ეპოქის ნაწილად, პრობლემად, საფიქრალად. მას აუცილებლად უნდა გავაცნობიერებინოთ, რომ ესა თუ ის ნაწარმოები იმიტომ უძლებს დროს, რომ ყოველთვის აქვს სათქმელი ყველაზე თანამედროვე მკითხველისთვისაც კი.

იმ სტატიაში თამაზ ვასაძის შედგენილი სახელმძღვანელოებიც ვახსენე, რომლებიც სწორედ ამ პრინციპითაა აწყობილი და არა ქრონოლოგიის მიხედვით. ამ ავტორის მე-10 კლასის სახელმძღვანელოში „წამებაი წმიდისა და ნეტარისა ჰაბოისი" შეტანილია თავში „ადამიანი საზოგადოების პირისპირ". იმავე თავში შედის ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაური", „სტუმარ-მასპინძელი", ქარჩხაძის „იგი", კლდიაშვილის „შერისხვა" და სხვები.

ამ თემის ერთგვარი გამოხმაურებაა ჩემი წერილიც, ოღონდ მინდა, ვისაუბრო არა

მანანა მენაბდე

აბოს თავისუფალი ნება

პიროვნებასა და საზოგადოებაზე, არამედ თავისუფალი ნების, შინაგანი თავისუფლების ჩამოყალიბებაზე, გზაზე, რომელსაც გაივლის ადამიანი, რომ საკუთარი მე, საკუთარი თავისუფლება მოიპოვოს. ვფიქრობ, ძალიან კარგად ჩანს ეს „აბოს ცხოვრებაში" და ყველაფერი ალუდათი არ დაწყებულა.

„გაგება თავისუფლებისა მნიშვნელობათა საკმაოდ დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. აქ მხოლოდ სამს აღვნიშნავთ. პირველი – მეტაფიზიკურია, როცა თავისუფლებაში იგულისხმება კაცობრივი ბუნების ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური თვისება – **ნების თავისუფლება**, *რომელიც გამოიხატება პიროვნების შინაგანი თვითგამორკვევით სიკეთისა და ბოროტების წინაშე. ნების თავისუფლება ისეთ თვისებას წარმოადგენს, რომლის დაკარგვას პიროვნება სრულ დეგრადაციამდე მიჰყავს. ქრისტიანული სწავლებით, ადამიანის ამ თავისუფლებაზე არავინ უფლობს: არც სხვა ადამიანი, არც საზოგადოება, არც კანონები, არც ნებისმიერი მთავრობა, არც დემონები, არც ანგელოზები და არც თვით ღმერთი.*

მაგრამ როცა პიროვნების ნების აქტის „მატერიალიზება", განხორციელება გარეთ, სოციალურ გარემოში უნდა მოხდეს, იგი უამრავ შეზღუდვას აწყდება. ასე წარმოიქმნება ადამიანის **გარეგანი თავისუფლებისა** *და უფლებათა პრობლემა, ანუ პრობლემა (კანონით, ჩვეულებებით, საზოგადოებრივი მორალით) ნებადართული საქციელისა გარემომცველ სამყაროში, საზოგადოებაში.*

და მესამე კატეგორია – ეს არის **სული-ერი თავისუფლება**. *იგი ნიშნავს ადამიანის უფლობას თავის ეგოიზმზე, თავის ვნებებზე, ცოდვილ გრძნობებზე, სურვილებზე – თავისავე თავზე. ასეთი თავისუფლება მოიპოვება მხოლოდ სწორი ქრისტიანული ცხოვრებით, რომლითაც ქრისტიანს ღმერთთან ურთიერთობის უნარი ენიჭება, ამიტომაც წერს მოციქული პავლე: „სადაც არის სული უფლისა, იქვეა თავისუფლება" (2 კორ. 3:17)" (ალექსი ოსიპოვი – „თავისუფლება ქრისტიანისა, თავისუფლება ეკლესიისა და რელიგიური თავისუფლება").*

ამსამივე ტიპის თავისუფლების მომპოვებელი და მფლობელი გახდა აბო და მისი გზა სწორედ ძიებითა და თვითგამორკვევით დაიწყო.

17 წლის ბიჭი, უცნაური ხელობისა (მენელსაცხებელე) და სათუთი ხელების (ალბათ) პატრონი, ადგა და ვიღაც გადამთიელს გამოჰყვა „ქრისტ[illegible]ს სიყუარულისათ[illegible]ს". ეს რელიგიურად რომანტიკული ავანტიურა მალე გვეცლება ხელიდან და თვალს ვადევნებთ, როგორ ნაბიჯ-ნაბიჯ, სავსებით გაწონასწორებულად და გააზრებულად შეიცნობს აბო ერთდროულად საკუთარ თავსა და ქრისტეს.

თავისი განსაკუთრებული თვისებებით თავიდანვე შეაყვარა თავი უცხოტომელმა, ალბათ, მაშინაც უცხოთმოძულე ქართველებს. მერე ქართულის სწავლა დაიწყო, წერა-კითხვა ისწავლა და დაუბრკოლებლად საუბრობდაო.

მერე შეცნობის მომდევნო ეტაპი დადგა: ძველი და ახალი აღთქმის წიგნების შესწავლა დაიწყო, „რამეთუ უფალი მეცნიერ-ჰყოფდა მას". მერე ეკლესიაში დაიწყო სიარული, სახარებასა და სამოციქულოებს უსმენდა, რჯულის მცოდნეებს ელაპარაკებოდა. შემეცნების უცნაური გზა ჰქონდა არჩეული: განგებ ეწინააღმდეგებოდა ხოლმე ზოგიერთს, კამათი უფრო ეხმარებოდა უცხო რჯულის შეცნობასა და გათავისებაში *(„მრავალთაგან შჯულის მეცნიერთა იკითხავნ და ისწავებნ. ხოლო რომელთამე რეცათუ ცილობით წინააღუდგებიან, არამედ მიზეზ სწავლისა ექმნებინ მას").* ასესრულყოს საკუთარი თავიც და ქრისტიანული მოძღვრების ცოდნაც.

მერეღა უარყო ის რჯული (რომელიც ასევე ძალიან კარგად იცოდა) და თავდა-



პირველად ფარულად იწყო ლოცვა. ნების თავისუფლების ერთგვარ გვირგვინად მისი მონათვლა იქცა. თითქოს ესღა იყო საჭირო მეორე, **გარეგანი თავისუფლებისთვის**. ეს ის გარეგანი თავისუფლებაა, აბოს რომ შეაცნობინებს: ის არდასამალი ნათლის მფლობელია და სხვებსაც უნდა მოჰფინოს. ლეონს შეახსენებს მაცხოვრის სიტყვებს: *არავინ აღანთის სანთელი და შედგის იგი ქუეშე მირსა, არამედ ზედა სასანთლესა დადგიან, რა თა ჰნათობდეს ყოველთაო,* – და მიდის უფლეზების მოსაპოვებლად.

აბოს უფლება აქვს, უყვარდეს ყველა თავის გარშემო და თვითონაც უანგარო სიყვარულს იმსახურებდეს.

აბოს უფლება აქვს, აღფრთოვანდეს თავისი „ნაპოვნი“ ჭეშმარიტებით და ამ პოვნის სიხარული სხვასაც გადასდოს. ამიტომაც არ იმალება, როცა აფრთხილებენ კეთილისმყოფელნი.

აბოს უფლება აქვს, არ ეშინოდეს არც გინების, არც მუქარის, არც მაცდურად ტკბილი სიტყვების.

აბოს უფლება აქვს, უარი თქვას ყველაზე არაძვირფას ოქრო-ვერცხლზე და იყოს სახიფათოდ თამამი მსაჯულის წინაშე.

აბოს უფლება აქვს, იყოს იმდენად მართალი და თავისუფალი თავის რწმენაში, რომ ცრუ მოძღვარნი იქმნენ „სირცხვილეულნი“.

აბოს უფლება აქვს და უნდა, მოკვდეს ქრისტესთვის, თუკი ქრისტესთვის სიცოცხლის უფლებას ჩამოართმევენ.

და სწორედ აქ ერწყმის აბოს გარეგანი თავისუფლება მესამე, **სულიერ თავისუფლებას,** როცა ადამიანის სხეული დაცლილია ვნებებისგან, სურვილებისგან, ცდუნებებისგან. და სულიერი თავისუფლების საოცარ გამოხატულებას აღწერს იოანე საბანისძე: *„ხოლო იგი მივიდოდა, ვითარცა ვინ მოგზაურ ექმნის მკუდარსა, ეგრე ხედვიდა თ სსა მას გუამსა; და სულითა თ სითა მოგზაურ ქმნული თ თ იტყოდა ფსალმუნსა ამას ას და მეათრვამეტესა: „ნეტარ არიან უბიწონი გზასა, რომელნი ვლენან რჯულსა უფლისასა...“*

აღესრულა აბო თავისუფალი და დაიმსახურა ნათელი ღვთისგან, ქება იოანე საბანიძისგან და ხსოვნა ქართველი ხალხისგან.

* * *

დარწმუნებული ვარ, მხოლოდ ჩემს მოსწავლეებს არ უჩნდებათ კითხვა: აბო რომ ქართველი ყოფილიყო, მოღალატე ხომ იქნებოდაო. პირველად რომ დამისვეს, მახსოვს, შევკრთი. ახლა ისე დარწმუნებით ვპასუხობ ხოლმე, იქით აკრთობთ ჩემი თავდაჯერება. არა, არ იქნებოდა! რადგან მოღალატეები რჯულს იცვლიდნენ კეთილდღეობის, ძლიერთა ამა ქვეყნისათა კეთილგანწყობის მოსაპოვებლად, თუნდაც საკუთარი ტყავის გადასარჩენად (მოღალატე იყო ვარსქენი, რომელმაც მაზდეანობა მხოლოდ იმისთვის მიიღო, *„რაითამცა სათნო ეყო მეფესა“* და ამით თავისი ძალაუფლება განემტკიცებინა). როგორ მოექცეოდნენ ქართველები? ზუსტად ისე, როგორც არაბები მოექცნენ აბოს. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი მართლები იქნებოდნენ. არც მაშინ და არც, მით უმეტეს, ჩვენს ეპოქაში. მაშინ, როცა ჩვენი თანამედროვეობის, დემოკრატიის მთავარი მონაპოვარი სწორედ **რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებაა** და საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

დიახ, აბომ მოიპოვა უფლება, 21-ე საუკუნეშიც ვკითხულობდეთ, ვფიქრობდეთ და განვიცდიდეთ მისი თავისუფლების ამბავს.

ნანა ღიხამინჯია

მედიაძალადობის გავლენა ბავშვზე

დღევანდელი სატელევიზიო გადაცემებისა და ფილმების დიდი ნაწილი შეიცავს ძალადობისა და აგრესიის კადრებს. დღისა თუ საღამოს შოუების უმეტესობა, პოლიტიკური იქნება თუ კომედიური, გაჯერებულია უხეში ემოციური, ფსიქოლოგიური და ფიზიკური შეურაცხყოფით, რომელსაც გადაცემის მონაწილეები ერთმანეთს ან სხვებს აყენებენ. საინფორმაციო გადაცემები სავსეა მკვლელობის, მოტაცების, ავტოსაგზაო შემთხვევების, ტერორისტული აქტებისა და მსოფლიოს რომელიმე წერტილში მიმდინარე ომის ამბებით. პოპულარული ფილმები და სერიალები ხშირად წარმოაჩენენ ძალადობას როგორც კონფლიქტის მოგვარების ნებადართულ ხერხს: კარგი ბიჭები ცუდ ბიჭებს ხოცავენ, ზოგჯერ - იარაღის უზარმაზარი არსენალის გამოყენებით. რა გავლენას ახდენს ეს ყველაფერი ჩვენს შვილებზე? როგორ ცვლის ტელევიზორიდან განუწყვეტლივ მომდინარე ძალადობის ნაკადი ბავშვების ღირებულებებს, ქცევას და დამოკიდებულებებს? ამსაკითხებს ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში უამრავი სამეცნიერო კვლევა მიეძღვნა, რომელთა დიდი ნაწილი თანხმდება, რომ მედიაძალადობა ბავშვებზე უარყოფით გავლენას ახდენს.

სხვადასხვა კვლევის თანახმად, ამერიკელი მოზარდი, ყველაზე მსუბუქი შეფასებით, კვირაში 21-დან 23-მდე საათს უთმობს ტელევიზორს. ხუთ წლამდე ასაკის ბავშვები, საშუალო შეფასებით, დღეში 2.5 საათის განმავლობაში უყურებენ ტელეგადაცემებს, ხუთიდან თორმეტ წლამდე ასაკისანი – 4 საათის განმავლობაში. სატელევიზიო გადაცემები და შოუები საათში 3-დან 20-მდე ძალადობრივ აქტს აჩვენებენ (დაცინვას, დამცირებას, შეურაცხყოფას, ფიზიკურ ძალადობას). აშშ-ის ფსიქიატრთა ასოციაციის ანგარიშის თანახმად, 18 წლის ამერიკელს საშუალოდ 16 000 სიმულირებული მკვლელობა და ძალადობის 200 000 კადრი აქვს ნანახი. ამ შეფასებას ამძიმებს ის, რომ ფიზიკური ძალადობის ამსახველი მხატვრული თუ დოკუმენტური კადრები წლიდან წლამდე სულ უფრო რეალისტური და შთამბეჭდავი ხდება.

აშშ-ის მენტალური ჯანმრთელობის ნაციონალური ინსტიტუტის შეფასებით, მედიაძალადობა ბავშვებზე ორგვარ გავლენას ახდენს:

1. ძალადობის კადრების მუდმივი ყურება ძალადობის მიმართ მგრძნობელობის დაქვეითებას იწვევს. ეს ნიშნავს, რომ ბავშვები უფრო იოლად იღებენ სხვის ძალადობრივ აქტს და თავადაც უფრო ხშირად მიმართავენ ძალადობას;

2. ძალადობის კადრების გადაჭარბებული ყურება, განსაკუთრებით – რეალისტურად ასახული ძალადობისა, არწმუნებს ბავშვებს, რომ მათი გარემო სახიფათოა. ამის შედეგად ზოგს შფოთვა და სტრესის შეგრძნება უჩნდება.

ბევრი სამეცნიერო კვლევა უკავშირებს სატელევიზიო ძალადობას ბავშვების აგრესიულ ქცევას. ყველაზე ადრეული და ცნობილი კვლევა ბანდურამ ჩაატარა 1963 წელს. მან ბავშვების ერთ ჯგუფს აჩვენა ვიდეო, რომელშიც მსახიობი გასაბერ თოჯინას ურტყამდა. ამის შემდეგ ბავშვები სათამაშო ოთახში შეიყვანეს სხვა ბავშვებთან ერთად, რომლებსაც ეს ვიდეო არ უნახავთ. მათ, ვინც ვიდეოს უყურეს, გაცილებით მეტი აგრესია გამოამჟღავნეს, ვიდრე დანარჩენებმა.

ბანდურას დასკვნას არაერთი სხვა კვლევაც ადასტურებს. მაგალითად, ლიბერტმა და ბარონმა 1972 წელს დაასკვნეს, რომ აგრესიული გადაცემის ყურების შემდეგ ბავშვები უფრო იოლად აყენებდნენ ტკივილს სხვა ბავშვებს თამაშის დროს. იგივე შედეგი აჩვენა აგრესიული მულტფილმების შემსწავლელმა სხვა კვლევებმაც.

მედიაძალადობის ხშირ ყურებას მყისიერთან ერთად ხანგრძლივი გავლენაც აქვს, თუმცა უნდა ითქვას, რომ მედიაძალადობა ბავშვების აგრესიის ზრდის მხოლოდ ერთ-ერთი ფაქტორია და სხვადასხვა ბავშვზე სხვადასხვანაირად მოქმედებს.

რაც უფრო მცირეწლოვანია ბავშვი, მით უფრო მეტ ზიანს აყენებს მედიაძალადობა. 8 წლამდე ასაკის ბავშვებს, საზოგადოდ, უჭირთ ფანტაზიის სინამდვილისგან გარჩევა. გარდა ამისა, მცირეწლოვნებს საკმარისად არ აქვთ განვითარებული აბსტრაქტული აზროვნება, რომ ნანახი კადრები გააანალიზონ და რეალობას შეადარონ. ისინი პირდაპირ ისრუტავენ მიწოდებულ ინფორმაციას.

მიუხედავად იმისა, რომ მედიაძალადობა ბავშვების აგრესიის ზრდის მხოლოდ ერთ-ერთი ფაქტორია, მისი გავლენის შემცირება და თავიდან აცილებაც კი გაცილებით ადვილია, ვიდრე სხვა ფაქტორებისა.

რჩევები მშობლებს:

* შეუზღუდეთ ბავშვებს ტელევიზორის ყურების ხანგრძლივობა დღეში 1-2 საათამდე, ასაკის მიხედვით. გაითვალისწინეთ, რომ, აშშ–ის პედიატრთა ასოციაციის რეკომენდაციით, 2 წლამდე ასაკის ბავშვებმა საერთოდ არ უნდა უყურონ ტელევიზორს. ასევე, გახსოვდეთ, რომ გადაცემების შინაარსი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ხანგრძლივობა.

* წინასწარ გადაავლეთ თვალი იმ გადაცემებს და ფილმებს, რომელთა ყურებაც სურთ თქვენს შვილებს და ინფორმირებული გადაწყვეტილება მიიღეთ. სადღეღამისო საბავშვო არხებზე განუსაზღვრელი წვდომის ნაცვლად ბავშვებს შეურჩიეთ სასარგებლო გადაცემები.

* გულწრფელად ესაუბრეთ შვილებს ნებისმიერ ძალადობრივ კადრზე, რომელიც კი მათი მხედველობის არეში მოხვდება. დარწმუნდით, რომ ისინი ხვდებიან განსხვავებას რეალობასა და ფანტაზიას შორის. ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, რამდენ პრობლემას წარმოშობს ძალადობა, მაშინაც კი, თუ მედიაში ის წარმოჩენილია პრობლემის გადაწყვეტის მისაღებ გზად.

* წაახალისეთ ბავშვები, უყურონ სოციალური უნარების განვითარებისა და განათლებისთვის სასარგებლო გადაცემებს. შეურჩიეთ მათი ინტერესების შესაბამისი არაძალადობრივი გადაცემები.

* გამორთეთ ტელევიზორი. უპოვეთ შვილებს უფრო სასარგებლო გასართობი. შეაყვარეთ წიგნების კითხვა, წააქეზეთ სპორტული აქტივობებისკენ, მიეცით სხვადასხვა კლუბში გაწევრების შესაძლებლობა ან ეთამაშეთ სამაგიდო თამაშები.

* რაც შეიძლება მეტი დრო გაატარეთ შვილებთან ერთად. ასწავლეთ მათ პრობლემებისა და კონფლიქტების არაძალადობრივი გზით და ეფექტური კომუნიკაციით მოგვარება. კვლევები მოწმობს, რომ ბავშვები, რომლებსაც ახლო ურთიერთობა აქვთ მშობლებთან, დარწმუნებულნი არიან მათ სიყვარულში და დაცულობის განცდა აქვთ, გაცილებით ნაკლებად განიცდიან მედიაძალადობის ნეგატიურ გავლენას, ვიდრე ის ბავშვები, რომლებიც თავს იზოლირებულად და უგულებელყოფილად გრძნობენ.

* ნუ დააკისრებთ ტელევიზორს ძიძის როლს. ბევრი მშობელი იყენებს ტელევიზორს ჩვილის ერთ ადგილას გასაჩერებლად, რომ სადილობაში, სახლის დალაგებაში ან სამსახურის საქმეების დასრულებაში ხელი არ შეეშალოს, მაგრამ სწორედ ამ დროს ეჩვევიან ბავშვები ტელევიზორს ყველაზე იოლად და მედიაძალადობაც ამ ასაკში ყველაზე ღრმა და სახიფათო გავლენას ახდენს მათზე.

* ცნობილია, რომ ბავშვები თავისდა უნებურად ბაძავენ მშობლებს. დააკვირდით, რა მაგალითს აძლევთ შვილებს. თუ სახლში ტელევიზორი მუდმივად ჩართულია, თქვენი შვილებიც უფრო ხშირად დაიოლად აღმოჩნდებიან მედიაძალადობის გავლენის ქვეშ.

მარიამ გოდუაძე

„შავი ყუთი“ და ფორმატული შეფასების უპირატესობანი

ჩვენი მეხსიერება ერთგვარი „შავი ყუთია“. მისი წყალობით მთელი სიცოცხლე დავატარებთ ინფორმაციას, რომელსაც საჭიროებისამებრ ვიყენებთ. თუმცა ყუთი, რომელსაც პირობითად „შავს“ ვუწოდებთ, სინამდვილეში სულაც არ არის შავი და მისი მთავარი დანიშნულებაა ინფორმაციის მიღება იმაზე, რაც ფრენის დროს ხდება. გამოგონება, რომელიც ძმები რაიტების ჩამწერ აპარატზე დაყრდნობით 50 წლის შემდეგ შექმნა დოქტორმა უორენმა, ამავე სახელდებით განათლებაში პირველად **პოლ ბლეკმა** და **დილან უილიამმა** შემოიტანეს – იმდენადვე პირობითად, რამდენადაც ნარინჯისფერ ყუთს შეიძლება შავი ეწოდოს. მათ სავსებით ნათელი გახადეს ერთი რამ: ნარინჯისფერი ადვილი აღსაქმელია და განათლების „ყუთიც“ ისევე იოლად ამოსაცნობი უნდა იყოს ყველა დაინტერესებულისთვის, როგორც დოქტორ უორენის გამოგონება.

ქართული შემთხვევა

რამდენიმე წელია, რაც ქართული სასკოლო განათლების სისტემაში მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა და სკოლებში ელექტრონული ჟურნალების შემოღება დაისახეს მიზნად. ჯერ LeMill.ge შეიქმნა. აქ მასწავლებლები აქტიურად აკეთებდნენ პორტფოლიოებს, აზიარებდნენ ღია გაკვეთილების გეგმებს, სლაიდებსა თუ სხვა სიახლეებს. მალე LeMill-ის ადგილი უცხო თვალისთვის შეუვალმა და შინაურისთვის გართულებულმა E-Shool.Emis.ge-მ დაიკავა. ახლა ამ საიტის ათვისებას ეწირება ძვირფასი დრო და ფინანსები. „დიადი მიზნების“ მიუხედავად, ელექტრონული ჟურნალებიც ჯერჯერობით მხოლოდ ცალკეულ, ე.წ. საპილოტე სკოლებში დაინერგა და თითოეული სკოლის 100-მდე და მეტ მასწავლებელს 6, 7, 10 კომპიუტერით სარგებლობის საშუალება მიეცა. სკოლის გარეთ ისინი ამ სისტემით ვერ სარგებლობენ. სამაგიეროდ, ფირზე აღბეჭდილი „სამოდელო“ თუ „გარე დაკვირვების გაკვეთილები“, რომლებსაც სპეციალური ჯგუფი შეაფასებს, ალბათ სარკულად ასახავს მთელ საგაკვეთილო პროცესს და მასწავლებელსაც ნანატრი კრედიტით გააბედნიერებს. კიდევ კარგი, ჩვენს სკოლებში ბევრი ისეთი მასწავლებელიც ასწავლის, რომლებიც მხოლოდ კრედიტების გამო როდი ზრუნავენ საკუთარი და კლასის განვითარებაზე! ნაბეჭდ ჟურნალებთან ერთად პედაგოგები ყოველდღიურად ელექტრონულ ვერსიასაც ავსებენ, აღრიცხავენ გაცდენებს, თუმცა ბავშვებს ვერ უწერენ განმავითარებელ შეფასებას, მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად ელექტრონულად ვერ მიმართავენ მათ მშობლებს; სამაგიეროდ, წერენ ქულებს, ამასთან, აქტიურად აწარმოებენ თვითშეფასებისა და სხვა რუბრიკებს, რომლებმაც, იმ იმედით, რომ ამდენ მონაცემს ვერავინ დაამუშავებს, უმთავრესად copy-paste-ის სახე მიიღო და მეხსიერების ეს სისტემა მანკიერების ყუთად გადააქცია. ჩანს, ზევსი პრომეთეზე ისევ ბრაზობს და ცნობისმოყვარე პანდორაც ქართველებს ახალ-ახალ სიურპრიზებს გვიმზადებს.

ეს ყუთის ერთ-ერთი შემადგენელია. აქ სკოლის შეფასების რეალური ბერკეტი თითქმის უხილავი და გამოუყენებელია და შედეგები, რომლებსაც მოსწავლეები აჩვენებენ საატესტა-

ტო თუ ეროვნულ გამოცდებზე და რომელთათვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიონობით ლარი იხარჯება, სულაც არ ასახავს სასკოლო პროცესის რეალურ შედეგებს.

მასწავლებლები, ფორმალურად თუ არაფორმალურად, ყოველდღიურად ვაფასებთ მოსწავლეებს, თუმცა ჩვენი შეფასება იშვიათად ახდენს გავლენას მათ აკადემიურ მოსწრებაზე. უფრო მეტიც – ხშირად ზედაპირულია და, რა სამწუხაროც უნდა იყოს, ზოგჯერ დამსჯელობითი ხასიათიც აქვს. პედაგოგები ამას ხმამაღლაც აღიარებენ, თუმცა ყოველდღიური განმსაზღვრელი შეფასების აუცილებლობის პირობებში ალტერნატივის გამოძებნა ჭირს.

მოწაფეები იმგვარ შემთხვევებსაც ჰყვებიან, როდესაც თანაკლასელების მიერ სიტყვასიტყვით გადაწერილ საკონტროლო ნაშრომებს მასწავლებელი სხვადასხვა ქულით აფასებს და ის, ვისგანაც იწერენ, გაცილებით დაბალ შეფასებას იღებს, ვიდრე ის, ვინც სხვისი აზრები მიითვისა. ეს საგანგაშო მოვლენაა, რომელიც ძირეულად ეწინააღმდეგება შეფასების პრინციპებს – **სანდოობას, ობიექტურობასა და გამჭვირვალობას** და ისევე უგულებელსაყოფია, როგორც მისი მესაფუძვლენი უგულებელყოფენ შეფასებაში ყველაზე მნიშვნელოვანს. **თუ მოსწავლეს საკუთარი ცოდნის შეფასების მიმართ სამართლიანობის გრძნობა არ ჩამოუყალიბდა, ის დაბალი თვითშეფასებისა და მოტივაციის კლებისთვისაა განწირული. ეს კი, ყველამ ვიცით, სწავლის შედეგებზე სავალალო გავლენას ახდენს.**

უცხოური შემთხვევა

ზემოხსენებულმა განათლების მკვლევრებმა, პოლ ბლეკმა და დილამ უილიამმა, ნაშრომში **„შავი ყუთის შიგნით: სტანდარტების ამაღლება სასკოლო შეფასებისას“**[1] „შეფასების“ ცნება სწორედ **შეფასების მეხსიერებას** დაუკავშირეს. **ასევე – მასწავლებლისა და მოსწავლეების მიერ შესრულებულ აქტივობათა წყებას, რომელიც მასწავლებლებისთვის სასწავლო აქტივობათა მოსარგებად საჭირო ინფორმაციას წარმოადგენს.** მათი აზრით, ასეთი **შეფასება „ფორმატული“** ხდება, როდესაც არსებულ მონაცემებს მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით სწავლის ადაპტაციისთვის იყენებენ.



მკვლევრები **ფორმატული შეფასების მთავარ მიზნად ისეთი ინფორმაციისა და მონაცემების მოპოვებას მოიაზრებენ, რომლებიც მოსწავლეებს საგანმანათლებლო მიზნების მიღწევაში დაეხმარება.** მათი აზრით, სწავლების სტანდარტების ამაღლება ეროვნული პრიორიტეტი უნდა იყოს და მთავრობები ძალას არ უნდა იშურებდნენ სასურველი შედეგების მისაღწევად, თუმცა რეფორმებს სასურველი შედეგები არ მოჰყვება, რადგან ასეთი შეფასება ფორმალური ხდება, როდესაც არსებულ მონაცემებს მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით სწავლის ადაპტაციისთვის ნაკლებად იყენებენ. საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად კი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა სწავლების პროცესის და ამ პროცესში ჩართული პირების საქმიანობის (სწავლა-სწავლება) შესახებ დადებითი თუ არც ისე დადებითი ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი. ის მოსწავლეებს და მასწავლებლებს ერთნაირად დაეხმარება შედეგების გაუმჯობესებაში. სწორედ ეს განიხილება ფორმატული შეფასების მთავარ მიზნად და წარმატების წინაპირობად.

მეოცე საუკუნის 90-იანი წლებისთვის ახალმა კონცეფციამ ევროპასა და ამერიკაშიც საკმაოდ მოიკიდა ფეხი. წინა საუკუნის ბოლოს შოტლანდიის, ინგლისის, უელსისა და ჩრდილოეთ ირლანდიის განათლების პროფესორთა ჯგუფმა შეფასების რეფორმის ჯგუფი ჩამოაყალიბა. მათი შრომის შედეგად წარმოიშვა გამოკვლევა, ლიტერატურა და საკონფერენციო ჩანაწერები, რაც ფორმატული შეფასებისა და სწავლისთვის შეფასების საფუძველს წარმოადგენს. ყურადღება გაამახვილეს შეფასებაზე როგორც კლასში აწმყოში მიმდინარე პროცესზე. მათი თქმით, **ფორმატული შეფასება არის „მონაცემების მოძიებისა და დამუშავების პროცესი, რომელსაც მოსწავლეები და მასწავლებლები იყენებენ, რათა დაადგინონ, რას სწავლობენ მოსწავლეები, სად უნდა მივიდნენ და რომელია საუკეთესო გზა“** (ARG, 2006). ამ განმარტების თანახმად, სწავლა სამეტაპიანი პროცესია:

- პირველი ეტაპი მოსწავლის მიერ საბოლოო მიზნის მისაღწევ გზაზე უკვე ნასწავლის დადგენას მოიცავს;
- მეორე ეტაპი მოსწავლის მიერ სასწავლო მიზნის გაცნობიერებას გულისხმობს;
- ხოლო უკანასკნელი ეტაპი შედეგამდე მისაღწევი სტრატეგიის არჩევა ან უკვე გამოყენებული გზის ამოცნობაა.

ამ სამ ეტაპს **უკუკავშირის, ზემოთ კავშირისა და წინ კავშირის სახელითაც** მოიხსენიებენ (Hattie 2009).

დიდი ხანია, რაც სასწავლო მიზნების ამოცანების ანალიზი სსსმ მოსწავლეების სწავლის მხარდამჭერ მეთოდად აღიარეს (Courtade, Browder, Spooner & Dibiase 2010, Eng & Rose, 2012). ბევრი მკვლევარი და პრაქტიკოსი ფორმატული შეფასების უპირატესობას ვიგოტსკის სკაფოლდინგის (1978) მეთოდით ხსნის. მათი დაკვირვებით, მოსწავლეები უკეთ სწავლობენ, როდესაც აქტივობებში სხვა, უფრო კომპეტენტურ და მცოდნე, ან განსხვავებული კომპეტენციების მქონე მონაწილეებთან ერთად ერთვებიან. საკლასო ოთახში მასწავლებლები და თანატოლები დამხმარე მონაწილეების როლს ასრულებენ. ამ პროცესის ყველა მონაწილე იდეებისა და თვალსაზრისის გაზიარებით სწავლობს.

ევროპელი და ამერიკელი განმანათლებლები თანხმდებიან, რომ შეფასებას ყოველთვის უნდა მოჰყვებოდეს მასწავლებლის პედაგოგიური მეთოდების ცვლილება. ჩვენშიც და უცხოეთშიც მოსწავლეები ხშირად აღნიშნავენ, რომ მასწავლებლები იშვიათად მიუთითებენ გამოსწორების გზებზე და ძალიან იშვიათად ახდენენ ხარისხიანი სამუშაოს დემონსტრირებას. „როდესაც მხოლოდ სწავლისთვის ვაფასებთ, მასწავლებლის მიზანია, მოსწავლემ მიიღოს კონკრეტული ცოდნა სასწავლო მიზნის შესახებ და მასწავლებელი დაეხმაროს ამ მიზნის მიღწევაში. მაგალითად, დასწავლის უნარის დაქვეითების მქონე ზოგიერთ მოსწავლეს სასწავლო მიზნის შესახებ ინფორმაცია შეიძლება მიეწოდოს წერილობითი ფორმით, ნათლად გამოხატული მიზნების სახით. ამ ფორმით ჩამოყალიბებული მიზნები მოსწავლეებს გაკვეთილიდან გაკვეთილამდე დააქვთ“[2].

კითხვაზე: არსებობს თუ არა იმის დამამტკიცებელი მონაცემები, რომ ფორმატული შეფასება სტანდარტებს აუმჯობესებს? – ორასი კვლევითი ნაშრომის განხილვის შედეგად ბლეკისა და უილიამის პასუხი მკვეთრად დადებითია და მათი პოზიციისა მტკიცედ სჯერა არაერთ ავტორს. ეს პოზიცია კი შემდეგია: **ფორმატული შეფასების კულტურის დანერგვისა და დამკვიდრებისთვის მასწავლებელს ხარისხიანი გაძღოლა სჭირდება**, რადგან **ფორმატული შეფასების დანერგვა იმთავითვე გულისხმობს კლასში არსებული სასწავლო გარემოს ცვლილებას.** გამოცდილება აჩვენებს, რომ კლასებში, სადაც მასწავლებელი ყოველდღიურ პრაქტიკაში ინტეგრირებულად აფასებს, მოსწავლეები უფრო აქტიურად ერთვებიან სწავლისა და შეფასების აქტივობებში. იმისთვის, რომ ვასწავლოთ სწავლა, საჭიროა, მივაწოდოთ ჯეროვანი უკუკავშირი. ამას მხოლოდ მასწავლებელი არ ასრულებს. აქტიური მონაწილეობის მეშვეობით, შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმების არსებობის პირობებში, მოსწავლეები თანატოლების სამუშაოს აკვირდებიან და სასარგებლო უკუკავშირს იძლევიან. გარდა იმისა, რომ კრიტერიუმი წარმატების ინდიკატორია, ჯერ მიუღწეველი მიზნების შემთხვევაში ის ყურადღების ფოკუსსაც წარმოადგენს. მკვლევართა აზრით, საგანმანათლებლო გეგმებისადმი ასეთი გაფართოებული მიდგომა ძალიან

> ფორმატული შეფასების კულტურის დანერგვისა და დამკვიდრებისთვის მასწავლებელს ხარისხიანი გაძღოლა სჭირდება, რადგან ფორმატული შეფასების დანერგვა იმთავითვე გულისხმობს კლასში არსებული სასწავლო გარემოს ცვლილებას.

მნიშვნელოვანია. ზოგიერთი მოსწავლისთვის საგანმანათლებლო გეგმა შესაძლოა მათი უნარებისგან დაშორებული და, აქედან გამომდინარე, მიუღწეველი იყოს. როდესაც მიზნის მისაღწევი გზები ნათელი, მკაფიო და ხელმისწვდომია, მოსწავლეებისთვის ამოცანები უფრო რეალისტური ხდება.

გვირჩევენ, ვიგოტსკის მიდგომებზე დაყრდნობითა და შემაჯამებელი ტექნიკის გამოყენებით მასწავლებლები მოსწავლეთა განვითარების უახლეს ზონას მივუახლოვდეთ. ვიგოტსკის მიხედვით, განვითარების უახლესი ზონა მოსწავლის უნარებისა და ცოდნის ნამდვილი პოტენციალის მატარებელია. და ვინაიდან სკაფოლდინგის კონცეფციას დასწავლის სოციალურკოგნიტიური თეორიაც უჭერს მხარს, მხოლოდ სწორი ან არასწორი პასუხის გაცემა საკმარისი არ არის (Bandura, 1986). **საჭიროა დიალოგი, ანალიზი და ბავშვებისთვის იმის გაგებინება, რომ ცუდი შედეგების მიღწევისას დაშვებული შეცდომებისა და სტრატეგიის გარჩევა უკეთესი შესრულების საწინდრად მიიჩნევა.**

შეფასება მეტაკოგნიტიური პროცესია. ამ პროცესის წამოსაწყებად კი საჭიროა ცნებების, სწავლის სტრატეგიების, წარმატებული შედეგისთვის საჭირო რესურსების, ამოცანის ამოხსნისას წინა გამოცდილების გათვალისწინება, მოსწავლეების მიერ სხვადასხვა სტრატეგიისა და რესურსების გამოყენების გათვალისწინება. უცხოელი ექსპერტები თანხმდებიან, რომ ფორმატული შეფასებისას შესრულების დონეს ამაღლებს:

- ქებისა და მაღალი ნიშნების მსგავსი დადებითი განმამტკიცებლები;
- დასწავლის სოციალურ-კოგნიტიურ თეორიაზე დაფუძნებული, ოპტიმალური დასწავლისკენ მიმართულ ამოცანებზე მუშაობა;
- ცოდნა მოსწავლეების წინსვლისა და სირთულეების შესახებ მათი წინასწარ გამოუცნობი და ყოველი მოსწავლისთვის განსხვავებული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად;
- დიალოგური შეფასება, რაც სასარგებლო უკუკავშირის გაცემაში გვეხმარება;
- აზრიანი უკუკავშირი მოსწავლის ნებისმიერი მოსაზრების საპასუხოდ, თუნდაც ისეთისა, რომელიც უადგილო ან სულელური გვეჩვენება;
- უკუკავშირის გააზრება (მეტაკოგნიცია), რაც დროს მოითხოვს;
- დისკუსია მოსწავლეების მიერ მათი ნააზრევისა და მასწავლებლისგან წამოსული უკუკავშირის გარშემო. ამ დროს მიიღწევა უნარის განვითარებისა და კომპეტენციის უფრო მაღალი დონე. დროის დაზოგვის მიზნით ამ წამოწყებაში საჭიროა თანატოლების ჩართვა;
- დაგეგმვისა და შეფასების პროცესში მასწავლებლისა და მოსწავლის თანაბარი ჩართულობა (ენგი და როუზი, 2012);
- მოსწავლისთვის მისაღწევი და არა მიუღწეველი მოთხოვნების წაყენება[3] (Cefai and Cooper, 2010);
- მთელ ამ პროცესში დაუშვებელია მოსწავლეთა აზრის უგულებელყოფა;
- ინტერაქციული სწავლა და სწავლება, რაც მოსწავლეს ინიციატივის გამოჩენისა და ავტონომიისკენ უბიძგებს (Beuhl, 2009).

სწორედ ამ თეორიებთან შეთანხმებით გამოყოფენ ფუნქციებს, რომლებსაც ფორმატული შეფასება ემსახურება. ფორმატული შეფასების მეშვეობით ხდება მოსწავლეთა იმ წარმოდგენის განმტკიცება /გაუმჯობესება, რომელიც სასწავლო მიზნებს შეესაბამება. **უკუკავშირი ახალი ინფორმაციის ცოდნაში გადატანასა და მოსწავლეების მოტივირებას ემსახურება.** მოსწავლეთა თვითშეფასების ფორმატული უკუკავშირი მასწავლებელს ხელს უწყობს, უკეთ გაიცნოს მოსწავლეები, აამაღლოს დავალებების შესრულების დონე და დაინახოს სწავლების მორგების ეფექტური გზა.

მასწავლებლები ხშირად ხვდებიან მოსწავლეებს, რომლთა ტრადიციული მიდგომებით სწავლებაც გამოწვევაა. **გაცილებით მოსალოდნელია, მასწავლებელმა შეცვალოს სწავლების სტილი, ვიდრე ინდივიდუალურმა მოსწავლემ – დასწავლისა.** მასწავლებლის მიერ არჩეულ მიდგომაზე მასალის მორგება ხშირად უშედეგოა, რადგან არ ხდება იმის გაცნობიერება, რომ, მიუხედავად მოსწავლეების უნარისა – ისწავლონ, ეფექტური სწავლისთვის მათ საკუთარი მიდგომების პოვნა სჭირდებათ. **ინდივიდუალურობის აღიარება წარმატებული მასწავლებლის ერთერთი მთავარი მახასიათებელია** (ენგი და როუზი, 2012). ამ პრინციპების გათვალისწინებით, სწავლისთვის შეფასე-

ბის შემდეგ მახასიათებლებს გამოყოფენ:

- მოპოვებული ინფორმაცია მასწავლებელს ეხმარება, თავად დაეხმაროს მოსწავლეს სწავლაში შემდგომი ნაბიჯების გადადგმაში;
- ეხმარება მოსწავლეებს, დაეხმარონ ერთმანეთს სწავლაში შემდგომი ნაბიჯების გადადგმაში;
- ეხმარება მოსწავლეებს, დაეხმარონ საკუთარ თავს სწავლაში შემდგომი ნაბიჯების გადადგმაში (Wiliam, 2011[4]).

შეფასების რეფორმის ჯგუფი გამოყოფს 10 პრინციპს, რომლებსაც უნდა დაეფუძნოს **სწავლისთვის და არა მხოლოდ შეფასებისთვის შეფასება**. ესენია:

1. ყურადღებას ამახვილებს იმაზე, როგორ სწავლობენ მოსწავლეები;
2. მნიშვნელოვან როლს ასრულებს საკლასო პრაქტიკაში;
3. მნიშვნელოვანი პროფესიული იარაღია;
4. კონსტრუქციულია;
5. აღვივებს მოტივაციას;
6. ხელს უწყობს მიზნებისა და კრიტერიუმების გაცნობიერებას;
7. ეხმარება მოსწავლეებს, გაიგონ, როგორ იმუშაონ უკეთ;
8. ავითარებს თვითშეფასებას და თანატოლების შეფასებას;
9. აღიარებს ყოველგვარ სასწავლო მიღწევას (ARG, 2006).

ცხადია, სკოლას ბავშვების განათლებასთან, ცოდნისა და უნარების დაგროვებასთან ერთად სხვა მიზნებიც აქვს, მაგრამ უდავოა, რომ სწავლა სასკოლო პროცესის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ეფექტური სწავლის ყველა შესაძლო გზის მოძიება და ისეთი აქტივობებისთვის თავის არიდება, რომლებიც ხელს არ უწყობს ან ხელს უშლის სწავლას. გამოცდილი სპეციალისტები შეჯამებითი ტესტებისთვის თავის არიდებასაც კი გვირჩევენ. ამის მიზეზად ასახელებენ მრავალ მონაცემს „მოსწავლეების დიდ ნაწილთან შეჯამებითი ტესტების დემოტივაციისა და სწავლებისთვის განკუთვნილი დროის არაეფექტური ხარჯვის შესახებ. თითქმის არ არსებობს იმის დამამტკიცებელი მონაცემები, რომ ტესტები ხელს უწყობს გრძელვადიანი უნარებისა თუ კომპეტენციის ამაღლებას, თუმცა უამრავი კვლევა მოწმობს, რომ ფორმატული შეფასება სასწავლო შედეგებზე დადებით გავლენას ახდენს“ (Black and Wiliam, 1998; Black et al., 2003; Hattie, 2008[5])

იმისთვის, რომ შეფასება საკლასო ოთახში წარმატებით გამოვიყენოთ, ხუთი პირობა უნდა დაკმაყოფილდეს (Engh, 2011[6]). მასწავლებელი უნდა:

1. ავლენდეს კურიკულუმით გათვალისწინებული პროფესიული კომპეტენციის ღრმა ცოდნას;
2. ყურადღებას ამახვილებდეს სწავლაზე;
3. იცოდეს, როგორ დაამყაროს კარგი და პოზიტიური ურთიერთობა ყველა მოსწავლესთან;
4. იცოდეს, ცოდნის რა ეტაპზე იმყოფებიან მისი მოსწავლეები;
5. იცოდეს, როგორ უხელმძღვანელოს თითოეული მოსწავლის წინსვლას.

თვითშეფასების ფორმატი:



ევროპელი და ამერიკელი განმანათლებლები თანხმდებიან, რომ შეფასებას ყოველთვის უნდა მოჰყვებოდეს მასწავლებლის პედაგოგიური მეთოდების ცვლილება. ჩვენშიც და უცხოეთშიც მოსწავლეები ხშირად აღნიშნავენ, რომ მასწავლებლები იშვიათად მიუთითებენ გამოსწორების გზებზე და ძალიან იშვიათად ახდენენ ხარისხიანი სამუშაოს დემონსტრირებას.

„ხილვადი სწავლის“ პრინციპი

ახალ ზელანდიაში მცხოვრებმა ჯონ ჰეტიმ სწავლების დროს **„ხილვადი სწავლის“ პრინციპი** გამოიყენა. როდესაც მოსწავლეები დავალების შესრულებისას საუბრობენ, მასწავლებლისთვის ხილვადი ხდება მათ მიერ ნასწავლი სტრატეგიებისა და პროფესიული ტერმინების გამოყენება. დისკუსიაში მონაწილეობის, ამოცანის ამოხსნისა და წერითი დავალებების მეშვეობით მასწავლებელი აზროვნების უნარს „ხედავს“. ინკლუზიურ საკლასო ოთახში აუცილებელია მოსწავლის მიერ მიღებული ცოდნისა და გააზრებული ინფორმაციის სხვადასხვა გზით გამოხატვის შესაძლებლობის უზურუნველყოფა. მაგალითად, თუ ისტორიული მოვლენის შესახებ ცოდნის გამოსახატავად კლასის მოსწავლეთა უმეტესობას მოკლე ესეს დაწერა ევალება, კითხვის პრობლემების მქონე მოსწავლემ შესაძლოა ამავე ცოდნის გამოსახატავად აუდიოჩანაწერი გამოიყენოს. მასწავლებლის ფუნქცია ისტორიული მოვლენის შესახებ არსებული ცოდნის შეფასებაა და არა წერის უნარის შეფასება. წიგნიერების მაღალი დონე, რა თქმა უნდა, უპირატესობაა, მაგრამ ამ სფეროში ნაკლები უნარის არსებობა მოსწავლეს ცოდნისა და გააზრებულის გამოხატვაში ხელს არ უშლის.

ფორმატული შეფასების „მოძრაობის“ მიხედვით, ინფორმაციის შეგროვებით, მისი განხილვით და შედეგად სასწავლო აქტივობათა გაუმჯობესებით მხოლოდ მასწავლებლები კი არა, მოსწავლეებიც კავდებიან. უნდა გავითვალისწინოთ, რომ უკუკავშირს წარმოადგენს მოსწავლეების ნამუშევრებში არეკლილი ცოდნაც. მასწავლებელმა სწავლების მეთოდი ამ უკუკავშირზე დაყრდნობით უნდა შეცვალოს.

ფორმატულ შეფასებას განიხილავენ როგორც დიდაქტიკურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს კარგ სწავლებასა და ხარისხის შეფასების პრაქტიკას. ის კლასის სასწავლო კულტურისა და მოსწავლის სწავლის შედეგის გათვალისწინებით მასწავლებლის მიერ სწავლების გაუმჯობესებას გულისხმობს. ის აღწერს განსაზღვრულ დიდაქტიკურ პრაქტიკას, რომლის მიზანია, გააუმჯობესოს მასწავლებლის უნარი, მოარგოს სწავლების ტექნიკა მოსწავლეთა საჭიროებებს, ხოლო მოსწავლეებს განუვითაროს აზროვნებისა და სწავლების სტრატეგიის შემუშავების უნარი.

და ვინაიდან ეს მისაღწევი, შესაძლებელი და არცთუ ძნელად განსახორციელებელია, ამიტომ მიჩნეულია, რომ „შავ ყუთში“ მთავარია სწავლისთვის და არა შეფასებისთვის შეფასება. უამრავი ასეთი „ყუთია“ საჭირო იმისთვის, რომ მნიშვნელოვნად ავამაღლოთ სწავლის ხარისხი და სტანდარტი, თუნდაც უკვე დახურული „ყუთიდან“ კი ყოველ ჯერზე მრავალი ნათელი მოგონება, სწორი აზრი და გეზი გამოჩნდება სამართლიან მოტივატორად წარმატებისკენ მიმავალ გზაზე.

შენიშვნები

1 Black and Wiliam, „Inside the Black Box”. 1998

2 კნუტ როარ ენგი რიჩარდ როუზი, შეფასება განათლებისთვის, 2012, 29-30.

3 Cefai, C., & Cooper, P. (2010). Students without voices: the unheard accounts of secondary school students with social, emotional and behaviour difficulties 25 (2) European Journal of Special Needs Education , 183-198

4 Williams, D. (1994). Somebody, Somewhere. Sydney: Doubleday

5 Hattie, J. & Timperley, H. (2007). The power of feedback. Review of Educational research, 7 (1), 81-112.

6 Engh, R. (2011). Vurdering for læring i skolen (Assessment for learning in Schools). Kristiansand. Høyskoleforlaget.

ქეთევან ოსიაშვილი

მეტყველების განვითარების დარღვევები
და რეკომენდაციები გართულებების თავიდან ასაცილებლად

> მეტყველების განვითარებაში მოსალოდნელი სირთულეების თავიდან ასაცილებლად საჭიროა, უფროსებისგან ბავშვს ესმოდეს სწორი, გამართული მეტყველება. ბავშვთან ურთიერთობისას უფროსების მიერ სიტყვების გამარტივება, ენის მოჩღექა მეტყველების განვითარების დარღვევის კიდევ ერთი შესაძლო მიზეზია.

იმ პრობლემათაგან, რომლებსაც ბავშვის აღზრდის პროცესში აწყდებიან მშობლები, ყველაზე მტკივნეულად მეტყველებასთან დაკავშირებული პრობლემები აღიქმება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ინტელექტუალური განვითარება პირდაპირ კავშირშია მეტყველების განვითარებასთან, მშობლების წუხილი, ვფიქრობ, გასაგები იქნება.

მეტყველების ყველა ცნობილი დარღვევა შეიძლება დაიყოს ოთხ ძირითად ჯგუფად:

- ბგერათწარმოთქმის დარღვევა;
- მეტყველების რიტმისა და ტემპის დარღვევა;
- სმენის დაქვეითებასთან დაკავშირებული დარღვევა;
- მეტყველების განუვითარებლობა ან ადრე დაუფლებული მეტყველების უნარის დაკარგვა.

ამის გათვალისწინებით, გამოყოფენ მეტყველების დარღვევის შემდეგ სახეებს:

- **დისლალია** – მეტყველების ყველაზე გავრცელებული დარღვევაა. ის უკავშირდება ბგერების წარმოთქმას. ამ დარღვევის მქონე ბავშვი სიტყვებში ტოვებს ბგერებს ან არასწორად წარმოთქვამს მათ, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, კარგი ლექსიკური მარაგი ჰქონდეს, სიტყვებსაც სწორად ათანხმებდეს და წინადადებებსაც სწორად აგებდეს;
- **დიზართრია** – დარღვეულია დანაწევრებული მეტყველების უნარი, გაძნელებულია ცალკეული სიტყვების, მარცვლებისა და ბგერების წარმოთქმა, დარღვეულია მეტყველების რიტმი, ინტონაცია და ტემპი;
- **რინოლალია** – ხმის ტემბრის ან ბგერათწარმოთქმის დარღვევა. დამახასიათებელი ნიშნებია: ჯუჯღუნი, ცხვირში ლაპარაკი, ბგერების, განსაკუთრებით – თანხმოვნების, წარმოთქმის გაძნელება ან დამახინჯებულად წარმოთქმა;
- **აღალია** – მეტყველების სრული ან ნაწილობრივი უუნარობა ნორმალური სმენისა და ინტელექტის ფონზე. ერთმანეთისგან განასხვავებენ მოტორულ ალალიას და სენსორულ ალალიას. მოტორულ ალალიასთან გვაქვს საქმე, როცა ბავშვს ესმის მეტყველება, მაგრამ თავად ვერ ლაპარაკობს. სენსორული ალალიის შემთხვევაში ბავშვს სხვისი მეტყველება არ ესმის. შეინიშნება სხვისი სიტყვების ავტომატური გამეორება, კითხვაზე პასუხის გაცემის ნაცვლად ბავშვი იმეორებს კითხვას;
- **მუტიზმი** – მეტყველების განვითარების შეწყვეტა. განასხვავებენ ზოგად მუტიზმს და შერჩევით მუტიზმს. ზოგადი მუტიზმის დროს ბავშვი საერთოდ არ ლაპარაკობს, გარშემო მყოფებთან მეტყველებით ურთიერთობას ვერ ამყარებს, კითხვებზე არ პასუხობს. ასეთი რამ უმეტესად ემართებათ ყრუ-მუნჯებს ან ტვინის დაზიანების მქონე, ასევე ფსიქიკური ტრავმის შედეგად დეპრესიულ მდგომარეობაში მყოფ ბავშვებს. შერჩევითი მუტიზმის დროს ბავშვი დუმილით გამოხატავს პროტესტს რაიმე ვითარების ან ადამიანების მიმართ.

მეტყველების გამოსასწორებლად აუცილებელია მისი დარღვევის ჭეშმარიტი მიზეზის პოვნა.

მეტყველების დარღვევის მიზეზებია:

- ორსულობისა და მშობიარობის პერიოდში ნეგატიური ფაქტორების ზემოქმედება. ტოქსიკოზი, ჰემოგლობინის დაბალი დონე, წნევის მოუწესრიგებლობა, ვირუსული და ენდოკრინული დაავადებები, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტრავმები, ნაყოფის დაკარგვის საფრთხე – ყველაფერი ეს შესაძლოა მომავალში ბავშვს მეტყველების განვითარების შეფერხების მიზეზად იქცეს;
- თავის ტვინის დაზიანება მშობიარობამდე, მშობიარობის დროს და მშობიარობის შემდეგ. თავის ტვინის ჰემისფეროების სამეტყველო არეების ორგანული დაზიანება ან თავის ტვინის სამეტყველო ზონის განუვითარებლობა, რაც, თავის მხრივ, შესაძლოა გამოწვეული იყოს ორსულობის რთული მიმდინარეობით, შინაგანი პათოლოგიებით, დაბადების დროს თავის ტვინის ტრავმით ან დაბადების შემდგომი ასფიქსიით, ზრდასრულ პერიოდში დაცემის დროს მიღებული თავის ტრავმით, თავის ტვინის ინსულტით ან ორგანული დაავადებით;
- სამეტყველო აპარატის ანატომიურ-ფიზიოლოგიური დეფექტი (ე.წ. მგლის ხახა, კურდღლის ტუჩი, უკბილობა);
- სმენის დაქვეითება:
- ორენოვან გარემოში აღზრდა;
- ხშირი ავადმყოფობა, ინფექციური დაავადებები, ტრავმები 3 წლამდე;
- მემკვიდრეობითი, გენეტიკური ფაქტორები;
- „პედაგოგიური მიშვებულობა“, არასათანადო ყურადღება და მეტყველებითი ურთიერთობის დეფიციტი.

რეკომენდაციები მეტყველების განვითარებაში მოსალოდნელი გართულებების თავიდან ასაცილებლად და არსებული დარღვევების დასაძლევად

- ბავშვის მეტყველების განვითარებაზე ჯერ კიდევ მის დაბადებამდე ვიზრუნოთ. მეტყველება ფორმირებას პირველი სიტყ-

> მეტყველების დარღვევის კორექტირება, როცა ის ბგერების წარმოთქმის უკავშირდება, შესაძლებელია ბავშვისთვის ბგერების სწორად წარმოთქმის სწავლებით, აქტიური მეტყველებითი ურთიერთობით, წვრილი მოტორიკის განვითარებით, ენის კუნთების გასამაგრებელი ვარჯიშებით.

ვების წარმოთქმამდე გაცილებით ადრე იწყებს.

- დადგენილია, რომ მუცლად ყოფნის პერიოდში ბავშვი გრძნობს დედის განწყობას, მასთან ერთად განიცდის ყველა ემოციას. ამ დროს ის კარგად ვითარდება, თუ მშობლები ესაუბრებიან, უკითხავენ წიგნებს, ღიღინებენ საყვარელ მელოდიებს. ორსულის სიმშვიდე, მყუდრო, კომფორტული გარემო მუცლად მყოფი ბავშვის განვითარებაში ბევრი პრობლემის თავიდან აცილების საუკეთესო გზაა.
- წინასამეტყველო პერიოდში მნიშვნელოვანია ძუძუთი კვებაზე დაკვირვება. დედამ ყურადღება უნდა მიაქციოს, როგორ წოვს ბავშვი – აქტიურად თუ დუნედ, აფიქსირებს თუ არა მზერას დედაზე წოვის დროს, ულიმის თუ არა მას 2 თვიდან. თუ ეს ყველაფერი არ ხდება, საჭიროა, მივმართოთ ექიმს. 2-4 თვიდან პატარა ცდილობს მოკლე მარცვლების წარმოთქმას, იწყებს ღუღუნს. თუ 5-6 თვის ასაკში ჩვილი ჯერ კიდევ არ ღუღუნებს, ეს მიუთითებს დარღვევაზე, რამაც შესაძლოა მეტყველების პათოლოგიამდე მიგვიყვანოს. ასეთ დროს აუცილებელია, მივმართოთ ნევროლოგს.
- მეტყველების დარღვევის კორექტირება, როცა ის ბგერების წარმოთქმას უკავშირდება, შესაძლებელია ბავშვისთვის ბგერების სწორად წარმოთქმის სწავლებით, აქტიური მეტყველებითი ურთიერთობით, წვრილი მოტორიკის განვითარებით, ენის კუნთების გასამაგრებელი ვარჯიშებით.
- მოსალოდნელი გართულებების თავიდან ასაცილებლად ნუ მოვთხოვთ ბავშვს რთული სიტყვების წარმოთქმას, მოვერიდოთ მეცადინეობით მის გადატვირთვას, ნუ ვეჩხუბებით სიტყვების წარმოთქმისას დაშვებული შეცდომების ან არასწორად წარმოთქმული სიტყვების გამო. ჩხუბმა შესაძლოა პროვოცირება გაუწიოს ნევროზულ რეაქციებს. ბავშვი ჩაიკეტება, შეწყვეტს ლაპარაკს და ახალი სიტყვების სწავლას.
- ნევროზული გარემო, ოჯახური პრობლემები, მუდმივად მოჩქარე, მოჩხუბარი უფროსები ის მიზეზებია, რომლებსაც ენაბლუობის პროვოცირება შეუძლია. ბავშვის ნორმალური მეტყველების აღსადგენად შეიძლება 7-10 დღით შემოვიღოთ „დუმილის რეჟიმი". გამოვრიცხოთ ბავშვზე ყოველგვარი ემოციური ზემოქმედება, მინიმუმამდე დავიყვანოთ მასთან საუბარი, აუცილებლობის შემთხვევაში მივმართოთ ძალიან ხმადაბლა, დასვენებისთვის გამოვიყენოთ მშვიდი თამაშები. თუ ამ ყველაფერმა არ გვიშველა, მივმართოთ ნევროლოგს.
- მეტყველების განვითარებაში მოსალოდნელი სირთულეების თავიდან ასაცილებლად საჭიროა, უფროსებისგან ბავშვს ესმოდეს სწორი, გამართული მეტყველება. ბავშვთან ურთიერთობისას უფროსების მიერ სიტყვების გამარტივება, ენის მოჩლექა მეტყველების განვითარების დარღვევის კიდევ ერთი შესაძლო მიზეზია.

გავითვალისწინოთ, რომ ზემომოყვანილი ინფორმაცია მხოლოდ გაცნობით ხასიათს ატარებს. ნუ ვეცდებით დიაგნოზის დამოუკიდებლად დასმას. ნურც „კეთილმოსურნეების" რჩევას დავუჯერებთ – „ჩემი შვილიც ზუსტად ასე იყო და შემდეგ ერთბაშად ალაპარაკდაო". რასაკვირველია, ბავშვი ლაპარაკს დაიწყებს; მთავარია – როგორ. გვახსოვდეს, რომ მეტყველების ნებისმიერი დარღვევა შეიძლება გამოვასწოროთ. მთავარია, არ დავკარგოთ ძვირფასი დრო. წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული და განმტკიცებული დეფექტების გამოსწორება ძალიან ძნელია. გავითვალისწინოთ ისიც, რომ სამეტყველო ფუნქციის დარღვევის მკურნალობა უნდა ჩატარდეს კომპლექსურად, პედიატრის, ფსიქიატრის, ნევროლოგის, დეფექტოლოგის, ლოგოპედის, ფსიქოლოგის მონაწილეობით. შესაძლოა, საჭირო გახდეს სურდოლოგის, ოკულისტის, ენდოკრინოლოგის, გენეტიკოსის დახმარებაც. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ბავშვის სამეტყველო ფუნქციების აღდგენის პროცესში სპეციალისტებსა და თანამედროვე საკორექციო მეთოდებზე დამოკიდებულია ბევრი რამ, მაგრამ არა ყველაფერი. ძირითადი როლი ეკუთვნით მშობლებს, ოჯახს. ისინი ექიმების მოკავშირეებად უნდა იქცნენ, შეასრულონ ყველა დანიშნულება, საშინაო დავალებები, იმოქმედონ შეთანხმებულად, განუხრელად იარონ დასახული მიზნისკენ. კომპლექსური სამედიცინო მიდგომა და მშობლების აქტიური მონაწილეობა ბავშვის სამეტყველო ფუნქციის განვითარების პროცესში აუცილებლად შედეგიანი იქნება.

ნინო კაპანაძე

როგორ მოვემზადოთ საგაკვეთილო დაკვირვებისთვის

> ამჯერად ჩვენი საუბრის თემა შიდა საგაკვეთილო დაკვირვებაა, რომელიც წარმოადგენს სავალდებულო აქტივობას პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის, როცა ის უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოპოვებაზე ზრუნავს და უფროსი მასწავლებლისთვის, როცა მისი მიზანი ამ სტატუსის შენარჩუნებაა.

მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში საგაკვეთილო დაკვირვების ორი ფორმა გვხვდება – შიდა საგაკვეთილო დაკვირვება და გარე საგაკვეთილო დაკვირვება. ამჯერად ჩვენი საუბრის თემა შიდა საგაკვეთილო დაკვირვებაა, რომელიც წარმოადგენს სავალდებულო აქტივობას პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის, როცა ის უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოპოვებაზე ზრუნავს და უფროსი მასწავლებლისთვის, როცა მისი მიზანი ამ სტატუსის შენარჩუნებაა.

როგორ შევუდგეთ ამ აქტივობისთვის მზადებას? რა თქმა უნდა, ყველას თავისი მიდგომა და ხერხი აქვს, მაგრამ ამ სამზადისში არ უნდა გამოგვრჩეს საგაკვეთილო დაკვირვების სტანდარტიზებული რუბრიკისა და რეფლექსიის შეფასების რუბრიკის დეტალური გაცნობა. ასევე უნდა ვიცნობდეთ მთელ პროცედურას, რომელიც შეფასების ჯგუფისთვის თქვენი განაცხადის წარდგენით იწყება და შეფასების ჯგუფის ოქმის ატვირთვით მთავრდება.

გაკვეთილის სავარაუდო თარიღსა და თემას თქვენ ირჩევთ და ამ საკითხზე შეგიძლიათ ითანამშრომლოთ თქვენს ფასილიტატორთან. შეფასების ჯგუფს წარუდგენთ განაცხადს საგაკვეთილო დაკვირვების გავლის სურვილის შესახებ. ეს პროცესი სკოლის მიერ დადგენილ ვადაში წარიმართება, რომელიც თქვენთვის წინასწარვე უნდა იყოს ცნობილი. გაკვეთილის ჩატარების გრაფიკის დამტკიცების შემდეგ შეფასების ჯგუფს უნდა წარუდგინოთ გაკვეთილის გეგმა – ყველა კომპონენტის გათვალისწინებით.

გაკვეთილის **თემა** უკვე შერჩეული გვაქვს. საჭიროა, ჩამოვაყალიბოთ გაკვეთილის **მიზანი**, რომელიც მკაფიოდ და ნათლად უნდა იყოს ფორმულირებული და უნდა უკავშირდებოდეს მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. მიზანი ასევე კავშირში უნდა იყოს ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით მისაღწევ მიზნებთან და ეს მიზანი/მახასიათებელი გეგმაშიც უნდა ჩანდეს.

გაკვეთილის გეგმის მთავარი ღერძი მიზნისკენ მიმავალი საგაკვეთილო **აქტივობებია**. ისინი ლოგიკურ კავშირში უნდა იყოს ერთმანეთთან და თავ-თავისი შედეგით გაკვეთილის ერთიან შედეგს ქმნიდეს.

თუ დაგეგმვას გაკვეთილის სამფაზიანი მოდელის მიხედვით ვახდენთ (რაც არ წარმოადგენს აუცილებლობას), აქტივობები ამ ფაზებში ნაწილდება. სათითაოდ განსაზღვრეთ, რით დაგეხმარებათ ესა თუ ის აქტივობა მიზნის მიღწევაში; ამ აქტივობაში ფუნქციებს როგორ გაინაწილებთ თქვენ და მოსწავლე; რომელი **მეთოდით** წარმართავთ ამ აქტივობას და რატომ; **კლასის ორგანიზების რომელი ფორმას** შეარჩევთ ამ აქტივობისთვის; რა **რესურსი** დაგჭირდებათ; რამდენი დრო; როგორ შეაჯამებთ ამ აქტივობას.

მასწავლებელს მოუწევს, წინასწარ ჩამოაყალიბოს იმ კითხვათა ფორმა და შინაარსი,

რომლებიც მოსწავლეს ახალი ცოდნისკენ სვლაში, ახალი და ძველი ცოდნის გამთლიანებაში დაეხმარება. ბლუმის ტაქსონომიის გათვალისწინებით, კითხვების მარტივიდან რთულისკენ დალაგება მოსწავლის მაღალი საზროვნო უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს.

გეგმაში გასათვალისწინებელი მნიშვნელოვანი კომპონენტია **შეფასება,** რომელიც გაკვეთილის მიზანთან უნდა იყოს კავშირში. მოსწავლეები შეფასების კრიტერიუმებს თავიდანვე უნდა იცნობდნენ. მასწავლებელი გეგმავს შეფასების პროცესში მოსწავლეთა ჩართვასაც.

დასასრულ, გეგმაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს **მასწავლებლის თვითშეფასება** – კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც მოცემულ გაკვეთილზე ის საკუთარ კომპეტენციებს შეაფასებს.

გეგმის წარდგენა სკოლის მიერ განსაზღვრული ვადაში უნდა მოხდეს. შეფასების ჯგუფის წევრები გაეცნობიან გეგმას და თავიანთ კითხვებსა და რეკომენდაციებს წინასაგაკვეთილო შეხვედრაზე ერთმანეთს გაუზიარებენ. ამ შეხვედრაზე მასწავლებელსაც შეუძლია მიაწოდოს ჯგუფის წევრებს დამატებითი ინფორმაცია, განუმარტოს გეგმის დეტალები, კლასის მახასიათებლები. გაკვეთილამდე კიდევ შეგიძლიათ გადახედოთ გეგმას, გაითვალისწინოთ ან არ გაითვალისწინოთ მიღებული რჩევები თუ რეკომენდაციები.

დათქმულ დროს უკვე ხორციელდება საგაკვეთილო დაკვირვება, როცა შეფასების ჯგუფის წევრები გაკვეთილს ესწრებიან/აკვირდებიან.

რა საკითხებზე უნდა გაამახვილოს მასწავლებელმა ყურადღება? რა თქმა უნდა, იმ კრიტერიუმებსა და მახასიათებლებზე, რომლებიც სტანდარტიზებულ რუბრიკაშია ჩამოყალიბებული. რუბრიკა ორ ნაწილად არის წარმოდგენილი. პირველი

მნიშვნელოვანია საგაკვეთილო დაკვირვების სტანდარტიზებული რუბრიკისა და რეფლექსიის შეფასების რუბრიკის დეტალური გაცნობა. ასევე უნდა ვიცნობდეთ მთელ პროცედურას, რომელიც შეფასების ჯგუფისთვის თქვენი განაცხადის წარდგენით იწყება და შეფასების ჯგუფის ოქმის ატვირთვით მთავრდება.

ნაწილი სასწავლო გარემოს აფასებს სამი კრიტერიუმით, ხოლო მეორე ნაწილში სწავლება ხუთ კრიტერიუმად არის მოცემული. ამ კრიტერიუმებში ქვეკომპონენტებია გამოყოფილი. კრიტერიუმები ოთხ დონედ ჩამოშლილი მახასიათებლებით ზუსტდება. უმრავლეს შემთხვევაში, უმაღლესი 4 ქულის შესაბამისი მახასიათებელი მოსწავლის აქტიურობაზე და იმაზე მიუთითებს, რომ კონკრეტული ქცევა ან მოქმედება ჩვეული პრაქტიკაა.

გვაქვს კარგი გეგმა. ვიცით, რომელი კრიტერიუმებით შეგვაფასებენ და როგორ. ამის შემდეგ უნდა ვიზრუნოთ, რომ ნებისმიერი ჩვენი გაკვეთილის ჩარჩო ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით ავაგოთ და ასევე წარვმართოთ გაკვეთილებიც. ეს გულისხმობს, რომ მასწავლებელმა გაკვეთილზე დათმოს დომინანტის როლი და ფასილიტატორისას დასჯერდეს; რომ „განსხვავებული მოსაზრებების გამოხატვა ჩვეულ პრაქტიკად“ იქცეს; რომ მოსწავლე ინდივიდად იყოს აღქმული, ფიზიკური გარემო შეესაბამებოდეს კლასის ორგანიზების ფორმას, რესურსი ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს (ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით). რაც შეეხება სწავლების ნაწილს, აქაც დეტალებზე გავამახვილოთ ყურადღება და ეს დეტალები ყოველ გაკვეთილზე ვაკონტროლოთ: დავამყაროთ მიმართებები გაკვეთილის მიზანსა და სწავლების გრძელვადიან მიზნებს შორის, ინსტრუქციები გავცეთ ნათლად და ამომწურავად, საგნობრივი ინფორმაცია იყოს ზუსტი და გასაგები... აღარ გადაგტვირთავთ იმ დეტალებით, რომლებიც შეფასების რუბრიკის მახასიათებლებში კარგად არის აღწერილი. თუ ამ მახასიათებლების გათავისებას ყოველ გაკვეთილზე ეცდებით, ეს მართლაც ჩვეულ პრაქტიკად იქცევა თქვენთვისაც და მოსწავლეებისთვისაც და საგაკვეთილო დაკვირვებაც განსაკუთრებულ მღელვარებას აღარ გამოიწვევს.

გაკვეთილის შემდეგ მოგიწევთ რეფლექსიის მომზადება, რომელიც მისი შეფასების რუბრიკის კრიტერიუმების გათვალისწინებით უნდა შეადგინოთ. რეფლექსია უნდა გადასცეთ შეფასების ჯგუფს გაკვეთილის შემდგომ შეხვედრამდე. ამ შეხვედრაზე ჯგუფის წევრები მოისმენენ თქვენს დამატებით განმარტებებს (თუ კითხვები გაჩნდება), გაგაცნობენ წინასწარ შეფასებას (ანუ საორიენტაციო შეფასებას) და გაკვეთილსა და რეფლექიასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს.

თქვენს ელექტრონულ საქაღალდეში უნდა ატვირთოთ მხოლოდ ორი დოკუმენტი: გაკვეთილის გეგმა და რეფლექსია.

საბოლოოდ შეფასების ჯგუფი გააკეთებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს. შედეგების საფუძველზე მომზადდება შეფასების ჯგუფის ოქმი და აიტვირთება.

წარმატებას გისურვებთ!

თამთა ჯოღიძე

„მიხშეული წედეგების ანგარიწი“ ანუ ძნელად აღსაზრდელი საზოგადოების შესახებ

ბოლო დროს ჩვენს საზოგადოებაში ძალიან გახშირდა დამნაშავეების უჩვეულო გზით გამართლების შემთხვევები. ძალადობა მოხდა? – მსხვერპლია დამნაშავე. მოკლეს ვინმე? – ალბათ მკვლელს მიზეზი ჰქონდა. საბავშვო ბაღის ფანჯრიდან აღსაზრდელი გადახტა? – აუტისტი იყო და ხომ იცით, როგორც „ასეთებს“ სჩვევიათ, ჩანაფიქრი წარმატებით „დააგვირგვინა“...

სპეციალური საჭიროების მქონე ადამიანებზე საქართველოში ბევრს წერენ. ითარგმნება მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა. აღნიშნულ თემას ხშირად აშუქებს მედია. და მაინც, როცა ქუჩაში, საზოგადოებრივ ტრანსპორტსა თუ თავშეყრის ადგილებში აუტისტური სპექტრის აშლილობის, დაუნის სინდრომის, გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე თუ ეტლით მოსარგებლე ადამიანებს ვხვდებით, არ ვიცით, როგორ ვიურთიერთოთ მათთან და განზრახ თუ უნებლიეთ თავს ვარიდებთ.

ფაქტია, ინკლუზიური განათლება ზოგიერთ სკოლაში ჯერ კიდევ ლამაზი ფასადია, რომლის მიღმაც სიცარიელე იმალება. ან როგორ შეიძლება ასწავლო სხვას განსხვავებულობის მიღება, როცა თავადაც ვერ უსწორებ თვალს ნაიარევ სხეულს თუ სულს.

ჩემი აზრით, მოტივირებული მასწავლებელი აუცილებლად მოახერხებს, აღსაზრდელებს განსხვავებული შესაძლებლობები მრავალფეროვანი სიცოცხლის ერთ-ერთ ფორმად აღაქმევინოს და უმცირესობის წარმომადგენლებად შერაცხილი თანატოლების პატივისცემა ასწავლოს. შესაძლოა, პირიქითაც მოხდეს და რომელიმე მოსწავლემ თავად ჩაგიტაროს გაკვეთილი თემაზე „ძნელად აღსაზრდელი საზოგადოება“. ერთი ასეთი გაკვეთილი ჩემი მოგონებების სკივრშიც ინახება.

ამასწინათ შევნიშნე, რომ ერთ-ერთი მოსწავლე გაკვეთილებზე მერხის ქვეშ ხშირად აპარებდა თვალს. როცა მიხვდა, რომ გამოიჭირეს, დარცხვენილმა სამალავიდან ავგუსტ პულმანის საოცარი ისტორია ამოაცოცა. მოგვიანებით ამ წიგნმა კლასის ყველა მერხის სამალავი მოიარა. აღსანიშნავია, რომ „უსახო ბიჭის“ მონათხრობი ჩემი აღსაზრდელებისთვის საქილიკო თემად კი არა, დამაკავშირებელ რგოლად იქცა. წიგნის რიგში ბოლო ადგილი დავიკავე და მალევე მივხვდი, რატომ გახდა „საოცრება“ კლასის ფავორიტი. ავგუსტ პულმანის თავგადასავალი ფანტაზიის ფარდის მიღმა არსებულ სამყაროს კი არ აღწერს, არამედ რეალურ დროში, თანამედროვე მკითხველის მსგავსი მოზარდების თავს გადახდენილ ამბებს გვიყვება. ყველაზე გავრცელებული შეცდომა, რომელსაც საზოგადოება განსხვავებული ინდივიდების მიმართ უშვებს, სიბრალულია. ამიტომაც „საოცრების“ ავტორი ბავშვებს სიბრალულის ნაცვლად მეტი სიკეთის გამომჟღავნებისკენ მოუწოდებს, თან საკმაოდ დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ სიმახინჯე პირობითი ცნებაა და ხშირად ვიზუალურ მხარეს სულაც არ უკავშირდება. კვაზიმოდოს გაკვეთილები მკითხველს

> ინკლუზიური განათლება ზოგიერთ სკოლაში ჯერ კიდევ ლამაზი ფასადია, რომლის მიღმაც სიცარიელე იმალება. ან როგორ შეიძლება ასწავლო სხვას განსხვავებულობის მიღება, როცა თავადაც ვერ უსწორებ თვალს ნაიარევ სხეულს თუ სულს.

დიდი ხანია მიავიწყდა. იმედია, თანამედროვე საზოგადოებას „ჩვენი დროის გმირი“ ავგუსტ პულმანი მაინც გამოაცოცხლებს.

მოგვიანებით კიდევ ერთ შესანიშნავ ნამუშევარს გავეცანი. „რა შეემთხვა ღამით ძაღლს და სხვა უცნაური ამბები“ (მარკ ჰედონი) სსსმ პირების შესახებ დაწერილი წიგნებიდან ყველაზე დამაჯერებლად აღვიქვი, რადგან ქრისტოფერ ბუნი ისეთი პერსონაჟია, არასდროს რომ არაფერს ამლაშებს. მწერალი აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებთან მუშაობის გამოცდილებას მაქსიმალურად იყენებს და ასპერგერის სინდრომის მქონე ბიჭის ცხოვრების სტილს მაქსიმალური სიზუსტით აღწერს. კრიტიკოსთა ნაწილი ვარაუდობს, რომ მოზარდებს ზემოაღნიშნულ ტექსტში დასმული პრობლემის აღქმა გაუჭირდებათ. მე კი ვფიქრობ, რომ წიგნის მთავარ აუდიტორიას სწორედ მოზარდები უნდა წარმოადგენდნენ, რადგან კომუნიკაციის სირთულეებსა თუ სამყაროს განსხვავებულად აღქმის შემთხვევებს ყველაზე ხშირად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ვხვდებით.

კრისტოფერ ჯონ ფრენსის ბუნი მათემატიკური ნიჭითა და ბრწყინვალე მეხსიერებით დაჯილდოებული ბიჭია, თუმცა ვერ იტანს ტყუილს, ხმაურს, შეხებას და ყვითელ ფერს. მიუხედავად იმისა, რომ უჩვეულო გამოძიებას ბიჭი ძვირფასი ადამიანის მიერ ჩახლართულ ადამიანურ ტყუილთან მიჰყავს, ის ნელ-ნელა სწავლობს „სუპერ ცუდ“ დღეებთან, ანუ რეალურ პრობლემებთან შეჭიდებას და, რაც მთავარია, ადამიანური გამოცდის ჩაბარებასაც ახერხებს. ბუნის მიერ განცდილი, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი, ადამიანური ტკივილები, თითქოს რადიოტალღებს სუსტად იჭერსო, შიში(ნი)ს ფონზე იწერება და მკითხველი მხოლოდ ქრისტოფერისთვის გასაგებ, უჩვეულო აღქმის სამყაროში გადაჰყავს.

ცოტამ თუ იცის, სინამდვილეში რას გრძნობენ ასპერგერის სინდრომის მქონე ადამიანები. განვითარების ეს დარღვევა პირველად 1944 წელს ავსტრიელმა ფსიქიატრმა ჰანს ასპერგერმა აღწერა. ამ ჯგუფში შედიან ადამიანები, რომლებსაც უჭირთ კომუნიკაციის დამყარება და გა-



> ჩემი აზრით, მოტივირებული მასწავლებელი აუცილებლად მოახერხებს, ალსაზრდელებს განსხვავებული შესაძლებლობები მრავალფეროვანი სიცოცხლის ერთ-ერთ ფორმად აღაქმევინოს და უმცირესობის წარმომადგენლებად შერაცხილი თანატოლების პატივისცემა ასწავლოს.

მოირჩევიან ექსცენტრული ქცევით, თუმცა მათი ინტელექტუალური შესაძლებლობები ხშირად საშუალოზე მაღალია. შემთხვევითი არც ისაა, რომ ასპერგერის სინდრომის მქონე პერსონაჟები ხშირად მამრობითი სქესის წარმომადგენლები არიან, რადგან აღნიშნული სინდრომი უმეტესად მამაკაცებთან გვხვდება.

ქრისტოფერ ბუნის მსგავსად, ასპერგერის სინდრომის მქონე ბავშვებს უჭირთ თანატოლებთან ურთიერთობის გაბმა და შენარჩუნება. მათ არ შეუძლიათ დიალოგის წარმართვა, რადგან ვერ ახერხებენ სხვისი აზრებისა და ემოციების აღქმას. ასევე უძნელდებათ წაკითხულის გააზრება, მსჯელობა და დასკვნების გამოტანა. ცვლილებებისადმი შეუგუებლობა იწვევს ყოველდღიური რიტუალის ზედმიწევნით დაცვის მოთხოვნილებას, რაც ადამიანის პიროვნულ ზრდას მნიშვნელოვნად აფერხებს. გარდა ამისა, უჭირთ მეტყველების უნარის მიზნობრივად, სიტუაციის შესაბამისად გამოყენება, თუმცა მათთვის საინტერესო, აკვიატებულ საკითხებზე გაუთავებლად ლაპარაკობენ.

გარდა გააზრებული სამეტყველო კომუნიკაციისა, ხარვეზები შეინიშნება მოტორული უნარების განვითარებაშიც. ამიტომაც ასპერგერის სინდრომის მქონე ადამიანებს არ უყვართ მოტორული თამაშები და წერითი სავარჯიშოები. ასევე ძნელად აღიქვამენ „უესტების ენას“ და თავს არიდებენ არავერბალურ კომუნიკაციას, რაც გამოიხატება თვალებით კონტაქტის არარსებობით, სახის გამომეტყველებით, სხეულის პოზით და სხვ.

აუტიზმს და ასპერგერს ხშირად ერთმანეთს ადარებენ, რადგან ორივეს სოციალური ურთიერთობების დეფიციტი ახასიათებს. მეცნიერთა ნაწილი ასპერგერს მაღალფუნქციურ აუტიზმს უთანაბრებს, თუმცა მკვლევართა უმრავლესობას მიაჩნია, რომ, მათი განმასხვავებელი ნიშნების გათვალისწინებით, სინდრომთა იგივეობაზე საუბარი მიზანშეუწონელია. მაგალითად, ასპერგერის სინდრომის მქონე ბავშვებს აქვთ მაღალი **ვერბალური** IQ, აუტისტებს კი – **არავერბალური**. ორივე შემთხვევაში აუცილებელია სწორი დიაგნოზის დასმა, რათა აღნიშნული სინდრომის მქონე ადამიანებმაც გაიაზრონ, თუ როგორ მუშაობს მათი ტვინი და ახლობლებმაც სწორი რჩევები მიიღონ კომუნიკაციის ეფექტურად დასამყარებლად.

ეჭვი მეპარება, მოზარდებმა სინდრომის ზემოაღნიშნული განმარტების საფუძვლიანად გააზრება შეძლონ. ამიტომ რაც შეიძლება მეტი უნდა დაიწეროს კრისტოფერ ბუნის მსგავსი ადამიანების შესახებ. ასეთი წიგნები განსხვავებულ ადამიანებთან ურთიერთობის შესანიშნავ სახელმძღვანელოს წარმოადგენს.

ალბათ ერთხელ მაინც შეხვედრიხართ უბნის, სოფლისა თუ ქალაქის ე.წ. კოლორიტებს – ადამიანებს, რომლებიც თავიანთი ასაკისთვის შეუფერებელი ქცევით გამოირჩევიან. თანამედროვე „ჩანჩურებს“ უჭირთ საკუთარი საზოგადოებრივი მდგომარეობის სრულფასოვნად აღქმა და მთელი ძალით ცდილობენ, არსებულ სოციუმში თუნდაც უმნიშვნელო ადგილი დაიკავონ.

გონებრივი ჩამორჩენილობა (ფსიქიკური განვითარების დარღვევის ფორმა) ადრეულ ასაკში ვლინდება და ადამიანის განვითარებაზე მთელი სიცოცხლის განმავლობაში ახდენს გავლენას. ასეთი ადამიანის ინტელექტის კოეფიციენტი ნორმაზე (70-ზე) დაბალია. გონებრივი ჩამორჩენილობა გამოიხატება როგორც სწავლის უნარის, ასევე პიროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალურ პასუხისმგებლობის შეზღუდვით.

დღეს მოზარდები ხშირად მიმართავენ ერთმანეთს სიტყვებით: ,,რა ვერ გაიგე, დებილი ხარ?!“ მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მიმართვის ადრესატებად უმეტესად ნორმალური განვითარების ინდივიდები გვევლინებიან, მოზარდების უმეტესობამ არც კი იცის, რომ მართლა არსებობენ ადამიანები, ვისთვისაც, ერთი შეხედვით, უმარტივესი ცნებები გაუგალი ბურუსითაა მოცული. ასეთ დროს ძალიან მინდა, ბავშვებს ჩარლი გორდონი (დენიელ კიზი, „ყვავილები ელჯერნონისთვის“) გავაცნო. ჩარლის მსგავსი ადამიანების ერთადერთი ოცნება გონებრივი ჩამორჩენილობიდან აზროვნების უმაღლესი მწვერვალისკენ სწრაფვაა. თამამი ექსპერიმენტი და თვითგანვითარების დაუცხრომელი სურვილი მაინც ვერ აჩერებს შეუქცევად პროცესს და აღმართს დაღმართი მოსდევს. თუმცა დაბინდული გონება ელჯერნონის ერთადერთი მეგობრის პიროვნულ ღირსებებს ვერ ჩრდილავს. დაბალი IQ-ს მიუხედავად, ჩარლის დამცირებაზე მეტად ადამიანთა სიბრალული სტკივა და „თავისნაირების“ საზოგადოებაში ეძებს სიმშვიდეს. მე კი, მკითხველი, გულმოკლული დავჩერებივარ წიგნის უკანასკნელ გვერდს და ვცდილობ, წარმოდგენის ძალით მაინც დავანგრიო ყველა „განსაკუთრებული საჭიროების“ დაწესებულება და მის ნაცვლად ამოვიკითხო „ერთიანი საზოგადოება“, ყოველგვარი იარლიყის გარეშე.

ქეთევან კობაღაძე

გზა ბავშვის გულისაკენ

> სიყვარული მშვიდი ბავშვობის ყველაზე საიმედო საძირკველია. თუ ეს კარგად ესმით უფროსებს, ბავშვი გაიზრდება და კეთილ, გულისხმიერ ადამიანად ჩამოყალიბდება.

მინდა, წარმოგიდგინოთ ნაწყვეტები წიგნიდან „ბავშვის გულისკენ მიმავალი ხუთი ბილიკი". წიგნში აღწერილია მშობლების ქცევის ხუთი მოდელი. ეს მოდელები ეხმარება მშობლებს, იპოვონ ბილიკი, რომელიც მათი შვილის გულისკენ მიდის. მას შემდეგ, რაც მშობელი გაარკვევს, რომელი მიმართულება დაეხმარება მასა და მის შვილს, აუცილებელია, დანარჩენი ოთხიც შეისწავლოს, რადგან არის შემთხვევები, როდესაც საჭირო ხდება სიყვარულის გამოხატვის ხერხების შეცვლა: ბავშვი იზრდება, ესე იგი, იცვლება.

წიგნის ავტორები როს კემპბელი და ჰარი ჩეპმენი ხშირად აღნიშნავენ, რომ ბავშვის აღზრდის პროცესში უმთავრესია სიყვარული. ბავშვის რომელი თვისების განვითარებაზეც უნდა მუშაობდეს მშობელი, უმნიშვნელოვანესია, აღზრდა სიყვარულზე იყოს დაფუძნებული. ბავშვი ყოველთვის შეისმენს მშობლის რჩევა-დარიგებას, თუ მის სიყვარულში დარწმუნებულია.

როგორ გამოვძებნოთ ბავშვთან საერთო ენა

ყველა უფროსს მოუსმენია ბავშვების საუბარი. დამეთანხმებით, რომ ხშირად დაბნეულხართ და გიფიქრიათ: „რა თქვეს? ვერაფერი გავიგე". ჩვენი შვილები ზოგჯერ ისეთ ენაზე საუბრობენ, რომ ძნელია მათი გაგება. ბავშვებსაც ზუსტად ასევე უჭირთ უფროსების გაგება, რადგან ისინი ვერ ახერხებენ აზრების ნათლად და მკაფიოდ გადმოცემაც. თუმცა უარესია, როდესაც უფროსები ვერ გადასცემენ შვილებს საკუთარ ემოციებს, განცდებსა და სიყვარულს. თქვენ შეგიძლიათ შვილთან მისთვის გასაგებ „სიყვარულის ენაზე" საუბარი?

ყველა ბავშვს თავისებურად ესმის მშობლების სიყვარულის ენა. და თუ მშობლებმაც იციან ეს ენა, მათ კარგად ესმით ერთმანეთის. სიყვარული ნებისმიერ ბავშვს სჭირდება, მის გარეშე ის ვერასოდეს გახდება სრულფასოვანი პიროვნება. სიყვარული მშვიდი ბავშვობის ყველაზე საიმედო საძირკველია. თუ ეს კარგად ესმით უფროსებს, ბავშვი გაიზრდება და კეთილ, გულისხმიერ ადამიანად ჩამოყალიბდება.

როგორ ფეიგრძნობენ სიყვარულს ბავშვები

ჩვენს დროში ემოციურად ჯანსაღი ბავშვის აღზრდა სულ უფრო და უფრო რთული ამოცანა ხდება. საგანმანათლებლო სისტემა იმდენად არასრულყოფილია, რომ მშობლები შვილებისთვის ხშირად კერძო სკოლებს ირჩევენ. მშობლებს აშფოთებთ ნარკომანიის პრობლემა, დანაშაულის ზრდა. ჩვენს დაუნდობელ სამყაროში არავინაა დაცული ძალადობისგან.

მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ გვინდა, დავაიმედოთ მშობლები. ჩვენი სურვილია, არაფერმა მიაყენოს ჩრდილი შვილებთან თქვენს ურთიერთობას. მშობლების ძირითადი მოვალეობაა, დააკმაყოფილონ შვილების მოთხოვნილება - იყვნენ სიყვარულით გარემოცული. როცა ბავშვები გრძნობენ, რომ ისინი ნამდვილად უყვართ, უფრო მეტად იჯერებენ უფროსების რჩევა-დარიგებას. ვიმედოვნებთ, ეს წიგნი დაეხმარება მშობლებს, უფრო სიღრმისეულად შეისწავლონ ბავშვის ფსიქოლოგია და შეძლონ, აჩვენონ შვილებს, რა ძლიერ უყვართ ისინი. ამისთვის აუცილებელია, უფროსებმა იცოდნენ სიყვარულის გამოხატვის ის ფორმა, რომელსაც ბავშვი ადვილად გაიგებს.

იმისთვის, რომ შვილმა თქვენი სიყვარული შეიგრძნოს, საჭიროა, იპოვოთ მისი გულისკენ მი-

მავალი განსაკუთრებული გზა. ამავე დროს უნდა ისწავლოთ სიყვარულის გამოხატვა. ბავშვები სხვადასხვანაირად შეიგრძნობენ სიყვარულს. საერთოდ, არსებობს ხუთი საშუალება, რომლებითაც ბავშვები (და უფროსებიც) სიყვარულს გამოხატავენ. კერძოდ: შეხება, გამამხნევებელი სიტყვები, დრო, საჩუქრები და დახმარება. ერთი ოჯახის შვილებსაც კი სიყვარულის განსხვავებული ენა აქვთ. ყველა ბავშვს სხვადასხვანაირი ხასიათი აქვს და სიყვარულსაც სხვადასხვანაირად აღიქვამს. ამიტომაცაა აუცილებელი, ყოველ მათგანს მისთვის გასაგებ ენაზე ესაუბროთ.

უპირობო სიყვარული

უპირობო სიყვარული – ეს თქვენი გზამკვლევი შუქურაა და თუ ეს შუქი ჩაგიქრათ, სიბნელეში ხელების ცეცებით მოგიწევთ გზის გაკვლევა.

მაინც რა არის უპირობო სიყვარული? მას ვერაფერი შეარყევს. ყველა მშობელს უყვარს შვილი, მაშინაც, როცა ის ვარსკვლავებს არ წყვეტს; მაშინაც, როცა ის ვერ ამართლებს მშობლების მოლოდინს. მისი ნაკლოვანებები და ღირსებები არავითარ როლს არ ასრულებს. მშობლებს უყვართ შვილები ისეთები, როგორებიც არიან და, რაც მთავარია, უყვართ მაშინაც, როცა ისინი ცუდად იქცევიან. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მშობლებმა უნდა გაამართლონ შვილის არასწორი საქციელი. ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ მათ უყვართ ბავშვი მაშინაც კი, როცა მისი საქციელი ბოლომდე მისაღები არ არის.

აქ შესაძლოა ვინმემ იკითხოს: „ხომ არ ვუბიძგებთ ბავშვს, იფიქროს, რომ მისთვის შეზღუდვები არ არსებობს?“ არა. უბრალოდ, ყველაფერში თანმიმდევრულობაა საჭირო. თავდაპირველად მშობლები ბავშვის გულს სიყვარულით ავსებენ და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებენ მის აღზრდა-განათლებას, რადგან მათი შეგონებები ბავშვში ძლიერ პროტესტს აღარ გამოიწვევს.

ზოგიერთი მშობელი შიშობს, რომ ასეთმა მიდგომამ შესაძლოა ბავშვი „გააფუჭოს“. ეს შეცდომაა. ბავშვებს უმალ მშობლების არასაკმარისი ყურადღება „აფუჭებს“. გვინდა გითხრათ, რომ სიყვარულსაც შეუძლია ზიანის მოტანა – მაშინ, როდესაც მშობლებს არ ძალუძთ მისი სწორად გამოხატვა. უპირობო სიყვარულს ჯერ არც ერთი ბავშვი არ „გაუფუჭებია“. ის არ შეიძლება „მეტისმეტად ბევრი“ იყოს.

შესაძლოა, უპირობო სიყვარულის პრინციპები ეწინააღმდეგებოდეს ბავშვის აღზრდაზე თქვენს წარმოდგენას. თუ ასეა, მოგიწევთ, დაამსხვრიოთ სტერეოტიპები. ეს უდავოდ ძნელია, მაგრამ მაინც უნდა სცადოთ. შედეგის დანახვისთანავე გულზე მოგეშვებათ. ნუ დაივიწყებთ – თქვენი შვილების კეთილდღეობისთვის წვალობთ ამდენს. შვილებს უპირობო სიყვარული სჭირდებათ და მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული, როგორი გაიზრდება თქვენი შვილი: საზოგადოების სრულფასოვანი წევრი გახდება თუ საკუთარ თავში ჩაიკეტება და მერყევ, გაბოროტებულ და უპასუხისმგებლო ადამიანად იქცევა.

თუ მიეჩვიეთ, სიყვარული ბავშვს რამეში „გაუცვალოთ“, თავდაპირველად გაგიჭირდებათ განსხვავებული მიდგომით ხელმძღვანელობა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ და-

> ყველა ბავშვს თავისებურად ესმის მშობლების სიყვარულის ენა. და თუ მშობლებმაც იციან ეს ენა, მათ კარგად ესმით ერთმანეთის. სიყვარული ნებისმიერ ბავშვს სჭირდება, მის გარეშე ის ვერასოდეს გახდება სრულფასოვანი პიროვნება.

ნებდეთ, ისწავლეთ უპირობო სიყვარული. ეფექტი გაგაოცებთ: გაგიუმჯობესდებათ ურთიერთობა შვილთან, ოჯახის სხვა წევრებთან, მეგობრებთან და, თქვენ წარმოიდგინეთ, კოლეგებთანაც კი.

ჩვენ არ ვართ სრულყოფილი არსებები და ამიტომ ყოველთვის არ გამოგვდის უპირობო სიყვარული, მაგრამ ამისკენ უნდა ვისწრაფოდეთ. რაც უფრო მეტად შეეცდებით, მით უფრო მიუახლოვდებით უპირობო სიყვარულის იდეალს.

შესაძლოა, ბანალურად ჟღერდეს, მაგრამ ბავშვებთან ურთიერთობისას კარგი იქნება, თუ საკუთარ თავს ხშირ-ხშირად შეახსენებთ:

1. ჩემ წინაშე ბავშვია;
2. ის ბავშვივით იქცევა;
3. თუ მე შევასრულებ მშობლის მოვალეობა და მეყვარება შვილი, მიუხედავად მისი კაპრიზებისა, ის გაიზრდება და გამოსწორდება;
4. თუ შვილს ჩემი სიყვარულის მოსაპოვებლად ჩემთვის „თავის მოქონვა“ დასჭირდა, გამოდის, ჩემი სიყვარული არ ყოფილა უპირობო და ბავშვი მას ვერ შეიგრძნობა. ამის გამო ის საკუთარი თავის რწმენას დაკარგავს და ვერ შეძლებს თავისი ქცევის ადეკვატურ შეფასებასა და გაკონტროლებას. ესე იგი, მის ქცევასა და განვითარებაზე პასუხისმგებლობა ნებისმიერ შემთხვევაში მე მეკისრება;
5. თუ სიყვარულის დასამსახურებლად ბავშვი უნდა გახდეს ისეთი, როგორიც მშობლებს სურს, ის ვერასოდეს გახდება დამოუკიდებელი. ანუ მის მიმართ მოთხოვნები მეტისმეტად მაღალია. და შედეგად ვიღებთ: შფოთვას, დაბალ თვითშეფასებას, გაღიზიანებას. ასე რომ არ მოხდეს, მშობლებს მუდამ უნდა ახსოვდეთ: ბავშვის განვითარებაზე პასუხისმგებლობა მათ ეკისრებათ;
6. თუ მშობელს, მიუხედავად ყველაფრისა, უყვარს შვილი, ის მშვიდი და გაწონასწორებული გაიზრდება. შეძლებს, აკონტროლოს თავისი ქცევა და მუდმივად უსარგებლო შფოთვაში არ იქნება.

რა თქმა უნდა, ქცევა ასაკზეც არის დამოკიდებული. ცამეტი წლის ასაკში ბავშვები სხვანაირად იქცევიან, ვიდრე თუნდაც შვიდი წლის ასაკში. ზოგჯერ მოზარდს შეუძლია ზრდასრულივით მოქცევა, მაგრამ მაინც მუდამ უნდა გახსოვდეთ, რომ თქვენ წინაშე ცამეტი წლის ბავშვია და არა სრულწლოვანებას მიღწეული ადამიანი.

სიყვარული... და არა მხოლოდ

ბავშვებს სჭირდებათ სიყვარული. სწორედ ამაზეა ეს წიგნი. სიყვარულის მოთხოვნილება უმთავრესია. ჩვენ გასწავლით, როგორ დააკმაყოფილოთ ბავშვების ეს მოთხოვნილება და ამავე დროს დაამყაროთ მათთან სწორი ურთიერთობა. სიყვარულის მოთხოვნილება ერთადერთი არ არის, მაგრამ დანარჩენი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება გაცილებით ადვილია, განსაკუთრებით – ფიზიკურისა. მშობლებმა უნდა უზრუნველყონ შვილები ტანსაცმლით, ჯანსაღი ფიზიკური გარემოთი და, ასევე, მათი პასუხისმგებლობაა შვილების გონებრივ და ემოციურ განვითარებაზე ზრუნვა.

საყოველთაოდ ცნობილია, რამდენად მნიშვნელოვანია, ბავშვს შეეძლოს საკუთარი თავის ადეკვატურად შეფასება. მიუხედავად ამისა, მრავლად არიან ბავშვები, რომლებიც შეუსაბამოდ აფასებენ საკუთარ შესაძლებლობებს. ზოგს მიაჩნია, რომ სხვებზე მაღლა დგას, რომ ღვთის საჩუქარია, რომ მისი ყველა კაპრიზი უნდა შესრულდეს. ისინი, რომლებსაც დაბალი თვითშეფასება აქვთ, მუდმივად შფოთავენ, რომ არ არიან სხვებივით ჭკვიანები, ძლიერები და ლამაზები. ის გამუდმებით ეუბნებიან საკუთარ თავს: „მე ვერ შევძლებ ამის გაკეთებას“, – და მართლაც ვერ აკეთებენ.

მშობლებს შეუძლიათ დაეხმარონ შვილს, ირწმუნოს საკუთარი თავის და აიმაღლოს თვითშეფასება. ამის შემდეგ კი ბავშვი შეძლებს, გახდეს საზოგადოების სრულფასოვანი წევრი, რომელიც წარმატებით მოახდენს საკუთარი ნიჭისა და უნარების რეალიზებას.

გარდა ამისა, ბავშვს უფროსების მხრიდან დაცვა სჭირდება. ის მუდმივად უსაფრთხოდ უნდა გრძნობდეს თავს. ეს ყველა პატარას მოთხოვნილებაა. სამწუხაროდ, დღევანდელ არასტაბილურ საზოგადოებაში ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება ყველა მშობელს არ შეუძლია.

აუცილებელია, მშობელმა ბავშვს ასწავლოს ურთიერთობის აგება. ბავშვმა უნდა იცოდეს ადამიანებთან თანასწორუფლებიანი ურთიერთობა, შეეძლოს მეგობრების შეძენა, სიყვარულის გაცემა და მადლიერი იყოს სხვების მიერ გაღებული სიყვარულისთვის. სხვაგვარად არსებობს საფრთხე, ბავშვი ჩაიკეტოს საკუთარ თავში და აღმოჩნდეს იზოლაციაში. ადამიანი, რომელმაც ბავშვობაში ურთიერთობის მთავარი წესების ათვისება ვერ მოახერხა, შესაძლოა ჩამოყალიბდეს უსიამოვნო პიროვნებად, რომელიც მიზნის მისაღწევად გარშემო მყოფებით მანიპულირებას დაიწყებს.

ირმა კახურაშვილი

მოზარდები და უფროსები

ფსიქოლოგი ნაიჯელ ლატა ჩვეული ენაკვიმატობით ურჩევს მეამბოხე მოზარდების მშობლებს, დაიჯერონ, რომ ცოტა ხანში, როდესაც ასაკობრივი ტორნადო გადაივლის, მათი შვილები კვლავ დამჯერ და სათუთ ადამიანებად გადაიქცევიან. თავის წიგნში „ვიდრე თქვენს მოზარდს ჭკუიდან შეუშლიხართ“ გამოცდილი ფსიქოლოგი უამრავ საინტერესო რჩევას იძლევა: როგორ უნდა დაიბრუნონ მშობლებმა დაკარგული ავტორიტეტი; რა უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ შვილმა ნარკოტიკი არ გასინჯოს; როგორ უნდა აღზარდოს მარტოხელა დედამ მოზარდი; რაზე უნდა დახუჭონ თვალი და რაზე – არა. წიგნი არ გვასწავლის, როგორ გავხდეთ იდეალური მშობლები – ის გვიყვება, როგორი უნდა იყოს კარგი დედ-მამა.

ფსიქოლოგის აზრით, მოზარდების (13-დან 19 წლამდე) ქცევა ბანკის ძარცვას ჰგავს. ზოგი ბავშვობას ნელ-ნელა და თავაზიანად ემშვიდობება, დაახლოებით ასე: მძარცველი თავის სათხოვარს ფურცელზე წერს და მოკრძალებით აწვდის მოლარეს, რათა მან ტკიცინა კუპიურები გადაულოცოს. ზოგი კი ისეთ ამბავს ტეხს, თითქოს სატვირთო მანქანით კედლის განგრევას ლამობდეს და ნაკვალევზე ნანგრევებს ტოვებს.

ნაიჯელ ლატა მშობლებს ურჩევს, გააცნობიერონ, რომ მოზარდობა ავადმყოფობას ჰგავს – დროებითი შეშლილობაა, რომელიც აუცილებლად გაივლის. მანამდე კი მშობლები უნდა ეცადონ, გულთან არაფერი მიიტანონ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოზარდების ცუდ ქცევას უნდა გაუძლონ. არა, მათ ეს არ მოეთხოვებათ.

მათი მეთოდები: როგორ გადავყავართ მოზარდებს ჭკუიდან

მშობლების ყველაზე დიდი შეცდომაა, რომ თინეიჯერი შვილები ნორმალურები ჰგონიათ. დიახ, ისინი ნორმალურად გამოიყურებიან, მაგრამ ასეთები არ არიან.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მოზარდის შეცვლა შეგვიძლია, სინამდვილეში კი ეს წარმოუდგენელია. ამის გააზრება ძალზე მნიშვნელოვანია. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ტყუილად დავკარგავთ უამრავ დროს და ძალისხმევას იმისთვის, რომ ჩვენი ვაჟი ან ქალიშვილი ვაქციოთ ადამიანად, რომელსაც ის არ წარმოადგენს. ამით მხოლოდ თავს კი არ დავიტანჯავთ, არამედ შვილსაც ბევრ ტკივილს მივაყენებთ.

ყველაფერი, რაც სისტემის შესაცვლელად დაგჭირდებათ, ერთი ადამიანის ქცევის შეცვლაა და ეს ადამიანი თქვენ ხართ.

მოზარდის სისხლი სავსეა ზრდისა და სტრესის ჰორმონებით. ჰორმონების სიჭარბე მის ბიოლოგიურ საათს თავდაყირა აყენებს. ამიტომ მოზარდები ღამით ფხიზლობენ, დღისით კი სულ ეძინებათ.

მოზარდებს სჩვევიათ მათთვის უსიამოვნო თემიდან გადახვევა. ისინი ამას ყველაზე მოხერ-

> მოზარდის აღზრდაში სამი უმნიშვნელოვანესი რამ არსებობს: ურთიერთობები, ურთიერთობები და ურთიერთობები. ნებისმიერ სისტემაში დისციპლინა მყარ ურთიერთობას ეფუძნება. უამისოდ მშობლებს გავლენის ბერკეტები არ ექნებათ. ვიდრე მითითებებს გასცემდეთ, თქვენს ქმედებებს ურთიერთობები უნდა უმაგრებდეს ზურგს.

ხებულად კამათის დროს აკეთებენ. მათი მეორე ხრიკი მშობლების დაბნევაა. მოზარდები იწყებენ მათთან კამათს, მერე კი კითხვებს იგერიებენ და უკან უბრუნებენ ისე, რომ ახსნა-განმარტების მიცემა თვითონ მშობლებს უწევთ.

მშობლებზე ზემოქმედების კიდევ ერთი ნაცადი ხერხი მათი შეშინებაა. მაგალითად, მოზარდები იმუქრებიან, რომ ღამის ორ საათზე შეყვარებულთან ერთად გაიქცევიან, სკოლას მიატოვებენ და სხვა. გარდა იმისა, რომ მშობლებს მართლაც აშინებთ მუქარა, თავს დამნაშავეებადაც მიიჩნევენ. ასეთ დროს დედ-მამას სწორი გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლია – ამაში ხელს დანაშაულის შეგრძნება უშლის.

ახლა – რჩევები მოზარდებს: მშობლები ვერ იტანენ, როდესაც მათი შვილები იტანჯებიან. თუ მოზარდი ხართ, შეგიძლიათ, ეს ტაქტიკა მაშინ გამოიყენოთ, როცა რამეს გიკრძალავენ ან აპირებენ, მკაცრად დაგსაჯონ. თქვენ დაუყოვნებლივ უნდა აჩვენოთ მშობლებს, რომ ძალიან უბედური ხართ და მათ არჩევანი აღარ დარჩებათ – შეეშინდებათ, ემოციური ტრავმა არ მოგაყენონ.

ვიდრე მშობლებისგან რამის ნებართვას აიღებდეთ ან, პირიქით, როგორც კი სერიოზულ დანაშაულს ჩაიდენთ, აჩვენეთ, რომ „გამოსწორდებით“, გამოთქვით სურვილი, „უკეთესი“ გახდეთ, სთხოვეთ, კიდევ ერთი შანსი მოგცენ. მშობლებს ყოველთვის სურთ იმის დაჯერება, რომ უკეთეს გზას დაადგებით.

მთავარია, თქვენი თხოვნა ისეთი იყოს, რომ მშობლებმა ის უგუნურებად არ ჩაგითვალონ. ენერგიულად დაიცავით თქვენი სურვილი, სანამ მშობლები არ დაიღლებიან და არ დათმობენ.

მშობლების დასაყოლიებლად შეგიძლიათ სულ სხვა თხოვნით დაიწყოთ, მაგალითად, უქმეებზე მეგობარ ბიჭთან ერთად ტატუების ფესტივალზე გაგიშვან. რა თქმა უნდა, ამაზე უარს მიიღებთ. მაინც მანამდე ედავეთ, სადამდეც შეძლებთ, დაქანცეთ ისინი თხოვნით და სადღაც მეთერთმეტე ცდაზე აჩვენეთ, რომ ფარ-ხმალს ყრით, მერე კი... იმედგაცრუებული შეეხვეწეთ, მერისთან დარჩენის ნება მაინც დაგრთონ. ეს ხომ ტატუების ფესტივალთან შედარებით არაფერია. სხვა დროს მშობლები მერისთანაც არ გაგიშვებდნენ, რადგან მიაჩნიათ, რომ ის თქვენზე უარყოფით გავლენას ახდენს, მაგრამ ახლა, ტატუების ფესტივალის ფონზე, მერი უფრთო ანგელოზად მოეჩვენებათ.

როგორ უნდა მოიქცნენ მშობლები

მოზარდის აღზრდაში სამი უმნიშვნელოვანესი რამ არსებობს: ურთიერთობები, ურთიერთობები და ურთიერთობები. ნებისმიერ სისტემაში დისციპლინა მყარ ურთიერთობას ეფუძნება. უამისოდ მშობლებს გავლენის ბერკეტები არ ექნებათ. ვიდრე მითითებებს გასცემდეთ, თქვენს ქმედებებს ურთიერთობები უნდა უმაგრებდეს ზურგს.

1. ნურც ეცდებით ახალგაზრდულ კულტურასთან ბრძოლას – აუცილებლად წააგებთ. აღიარეთ მოზარდის ძირითადი უფლება – ინდივიდუალობის ძიება.
   ჩვენ არ ვიცით, რა ჯობს ჩვენი შვილებისთვის – ეს მხოლოდ მათთვის არის ცნობილი. ჩვენ უნდა ვენდოთ მათ გადაწყვეტილებებს (რა თქმა უნდა, არა ყოველთვის). უნდა დავიჯეროთ, რომ აუცილებლად იპოვიან სამყაროში თავიანთ ადგილს. შესაძლოა, ამას გარკვეული ხანი დასჭირდეს, მაგრამ მაინც მივლენ იქამდე, თუნდაც ორმოცდაათი წლის ასაკში. მშობლების ამოცანაა, ბავშვმა იპოვოს ჰობი, გატაცება და ის განავითაროს. სიცოცხლე არაპროგნოზირებადია და არავინ იცის, სადამდე მივა ეს გატაცება. კარგია და სასარგებლო ახალგაზრდების (როგორც, საზოგადოდ, ნებისმიერი ადამიანის) წახალისება. წახალისება და ჯილდო ძლიერი მამოტივირებელი ფაქტორია, რომელიც მნიშვნელოვნად მოქმედებს ქცევაზე.
2. უბრალოდ, იყავით მოზარდის გვერდით. გამოიყენეთ თქვენი მოზარდის პრაგმატული მიდგომა. ის მხოლოდ იმ შემთხვევაში გააკეთებს რაღაცას, თუ სარგებელს დაინახავს. თუ გინდათ, ის გააკეთოს, რასაც სთავაზობთ, დარწმუნდით, რომ ამას ნამდვილად ექნება მისთვის აზრი (მაგალითად, სანაცვლოდ ასცდება სასჯელს).

მოზარდი ემოციების მთელ სპექტრს განიცდის, მაგრამ, როგორც წესი, მხოლოდ რისხვას გვიჩვენებს.

ნუ გამოიტანთ მცდარ დასკვნებს: როცა ის ბრაზობს – სინამდვილეში სულ სხვა რამეს განიცდის.

ბიჭებიც გოგოებივით მგრძნობიარენი არიან, ისინიც განიცდიან ტკივილს, წუხილს, შიშს, დაუცველობას... ოღონდ გრძნობებს უფრო ადვილად გამოხატავენ, რადგან არ არიან იმ მითების მსხვერპლი, რომელთა თანახმად, რაღაც უნდა აკეთონ და რაღაც – არა (მაგალითად, ბიჭებმა არ უნდა იტირონ).

არ არის საჭირო მოზარდებზე ზედმეტად ზრუნვა. ეს მათ აღიზიანებს და კონფლიქტს აღვივებს.

3. ნუ გაუკეთებთ ბუტერბროდებს სკოლაში წასაღებად. ეს ერთ-ერთი ყველაზე მარტივი რამაა, რითაც მისი დამოუკიდებლობის განვითარება შეიძლება. თუ მოზარდი უფროსკლასელია, ლანჩის საკითხის მოგვარება თვითონვე უნდა შეძლოს.
4. ნუ გააღიზიანებთ წვრილმანებით. ნუ დაუწყებთ დავას უმნიშვნელო ამბების გამო. არ არის აუცილებელი მოზარდებთან საუბარი, საუბარი და საუბარი – ნებისმიერი რამ შეგიძლიათ მოკლედ აუხსნათ.
5. აუცილებლად უთხარით ხოლმე, რომ გიყვართ. პასუხად ის თვალებს გადაატრიალებს და ამოიხვნეშებს, მაგრამ არ დანებდეთ, მაინც უთხარით, რომ გიყვართ.

მიიღეთ მოზარდი ისეთი, როგორც არის. შესაძლოა, თქვენს შვილს არ აინტერესებდეს სპორტი, უყვარდეს პოეზია, სასაცილოდ ჩაცმა, უსმენდეს ხმაურიან მუსიკას, ჰყავდეს უცნაური მეგობრები, იყოს გეი... როგორიც უნდა იყოს ის, დაე, იცოდეს, რომ ძალიან გიყვართ.

6. გაატარეთ დრო მასთან ერთად. თქვენი ქალიშვილი შესაძლოა ზრდასრულს ჰგავდეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ზრდასრულია. გახსოვდეთ, სრული მოწიფულობა ხშირად 20 წლის შემდეგ დგება.
7. გახდით „რეალობის ღუზა“. ბევრი თინეიჯერი გოგონა შეპყრობილია თავისი გარეგნობით. თქვენ უნდა დაარწმუნოთ ის, რომ ყველაფერი რიგზეა, განურჩევლად იმისა, როგორ გამოიყურება.

> ბევრ მშობელს არ ესმის, რომ თუ მოზარდს წესები არ დაუდგინა, მოზარდი მათ თვითონ მოიგონებს. თუ თქვენ არ დააწესებთ კომენდანტის საათს, მოზარდი თავად დააწესებს მას და ეს თქვენთვის მისაღები ამბავი არ იქნება.

დედებო, იყავით სამაგალითონი! სწორედ თქვენ უნდა მისცეთ თქვენს ქალიშვილებს საკუთარი სხეულის მიმართ სწორი დამოკიდებულების მაგალითი. თუ ყოველდღე დაიჩივლებთ, რომ მსუქანი ხართ ან, უარესი, ეტყვით მოზარდს, რომ მსუქანია – სახიფათო გზას დაადგებით.

მამებო, ცოლებთან თქვენი ურთიერთობა თქვენი ქალიშვილებისთვის პირველი მაგალითია იმისა, როგორი უნდა იყოს ურთიერთობა კაცსა და ქალს შორის. თქვენ უნდა აჩვენოთ შვილს ისეთი დამოკიდებულება, როგორიც გსურთ ჰქონდეს მათ თავის მეუღლესთან.

მშობლების მთავარი შეცდომა

მოზარდის ცუდ საქციელს გამართლება არ აქვს, რადგან ის შეგნებული არჩევანია. ამის გათვალისწინებით, მშობლები უფრო გონიერები უნდა იყვნენ და შექმნან გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს მოზარდს სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში.

მნიშვნელოვანი კითხვა, რომელზეც მშობლებს ყველაზე მეტად უჭირთ პასუხის გაცემა: რას აკეთებ ისეთს, რომ საქმეს უფრო მეტად აფუჭებ? თუ ღმერთს არ დაუჯილდოებიხართ ანგელოზის მოთმინებით (რაც ასე გვაკლია რიგით მოკვდავებს), მოზარდთან ურთიერთობა აუცილებლად გაგიფუჭდებათ. რაც უფრო მწვავდება კონფლიქტი, მით უფრო მეტად უჭირთ მშობლებს იმის აღიარება, რომ სიტუაციას თავად ართულებენ.

მოზარდებს ნაკლებად სჭირდებათ მეგობარი მშობელი. ეს წამოწყება მოზარდობაში თითქმის ყოველთვის კრახით მთავრდება. სამყარო სავსეა ადამიანებით, რომლებთანაც თქვენი შვილები იმეგობრებენ, მაგრამ დედა და მამა მხოლოდ ერთი ჰყავთ. მშობლებს შვილისთვის იმის გაკეთება შეუძლიათ, რასაც მეგობრები არასდროს გაუკეთებენ. მშობლებს შეუძლიათ მიიღონ რთული გადაწყვეტილება და თქვან „არა“. კი ბატონო, გაერთეთ მოზარდებთან ერთად, რამდენიც გენებოთ, უბრალოდ, დარჩით მათ მშობლებად.

მშობელთა „ნაირსახეობა“

წუწუნა მშობლები მიიჩნევენ, რომ ისინი არ იმსახურებენ პრობლემებს, რომლებსაც შვილები უქმნიან;

ბუტიები ივიწყებენ, რომ დიდები არიან და მათი წყენა, რომელსაც გულში ინახავენ, წარამარა გარეთ ჟონავს;

ჰიპებს სურთ, სულით თავისუფალი შვილები ჰყავდეთ, სძულთ წესები და შეზღუდვები, უყვართ თავისუფლება და პატივს სცემენ „მეს“ გამოვლინებას, ამიტომ ითმენენ მოზარდების

მიუღებელ ქცევას, მერე კი უკვირთ, რომ ისინი არასდროს უსრულებენ თხოვნას;

მშიშრებს იმდენად ეშინიათ სამყაროსი, რომ ბავშვებს ყველაფერს უკრძალავენ, გამუდმებით თავს დასტრიალებენ და ცდილობენ, დაიცვან ისინი, მერე კი უკვირთ, რომ ბავშვები მათ მიმართ სიძულვილს გამოხატავენ;

შეუმჩნევლები მეტისმეტად დაკავებულნი არიან კარიერით ან ინტერნეტით, ამიტომ ბავშვების აღზრდა არ აინტერესებთ. მათ არ აკვირვებთ, როდესაც მათი შვილები უსიამოვნებებში ეხვევიან, რადგან ამას ვერც კი ამჩნევენ;

უძირო საფულეები ცდილობენ, საჩუქრებით „იყიდონ" მოზარდის კარგი ქცევა;

იდიოტებს ბრმად სჯერათ ყველაფრის, რასაც ბავშვები ამბობენ;

აბეზარი მშობლები ზედმეტად აქტიურად არიან ჩართულნი ბავშვის ცხოვრებაში და არ უტოვებენ მათ თავისუფალ სივრცეს;

ყრუები არასდროს უსმენენ შვილებს, არ იციან, რა სურთ მათ.

ბევრ მშობელს არ ესმის, რომ თუ მოზარდს წესები არ დაუდგინა, მოზარდი მათ თვითონ მოიგონებს. თუ თქვენ არ დააწესებთ კომენდანტის საათს, მოზარდი თავად დააწესებს მას და ეს თქვენთვის მისაღები ამბავი არ იქნება.

სქესობრივი სიმწიფე და მნიშვნელოვანი საუბარი

ბავშვები სულ უფრო სწრაფად იზრდებიან. დღეს გოგონების სქესობრივი მომწიფების საშუალო ასაკი ათი წლიდან იწყება, ბიჭებისა კი თერთმეტი-თორმეტი წლიდან. ბავშვებს უკვე შვილები ჰყავთ. ჩნდება კითხვა: როგორ დავაზღვიოთ ჩვენი შვილები ამისგან?

ზოგი პრობლემის იგნორირებას ამჯობინებს იმ იმედით, რომ ის თავისით მოგვარდება. ეს ცუდი სტრატეგიაა. თუ მოზარდი შვილები გყავთ, უმჯობესია, სწორი ინფორმაცია თქვენგან მიიღონ, რადგან მეგობრებისგან მიღებული ინსტრუქციების ხარისხი საეჭვოა.

ზოგი ფიქრობს, რომ სექსსა და კონტრაცეფციაზე საუბრები მოზარდებს ამ ყველაფრის გასინჯვისკენ უბიძგებს. სინამდვილეში ეს ცრუ შეხედულებაა. არაერთი კვლევა ცხადყოფს, რომ მოზარდები, რომლებსაც მშობლები სექსზე ესაუბრაბიან, პირველ ინტიმურ გამოცდილებას არცთუ ისე ადრე იღებენ და კონტრაცეპტივებსაც აქტიურად იყენებენ.

მტკიცედ გადაწყვიტეთ, რის ნებას რთავთ შვილებს და რისას – არა. ზუსტად უნდა იცოდეთ, რომელ ჟურნალებს კითხულობს და რას უყურებს ტელევიზორში თქვენი ქალიშვილი. ნუ შეიძენთ მისთვის თეთრეულს წარწერით „ტკბილი". თუ არ გინდათ, ვულგარულად გამოიყურებოდეს, ნუ უყიდით ვულგარულ ტანსაცმელს.

ღასჭა

ნურასოდეს გამოიყენებთ სიტყვა „სასჯელს" ახალგაზრდების თანდასწრებით. ნაცვლად ამისა, გამოიყენეთ სიტყვა „შედეგი".

არსებობს ორი სახის სასჯელი: ან რაღაც კარგი უნდა დაათმობინოთ, ან „ცუდად" მოექცეთ (შინაპატიმრობა, ჯიბის ფულის აღკვეთა, კომპიუტერის გამოყენების აკრძალვა, მეგობრებთან ურთიერთობის შეზღუდვა) – ეს პირველი ტიპის სასჯელია.

მეორე ტიპისაა: დამატებითი შრომატევადი, მოსაწყენი და უსიამოვნო საოჯახო საქმის კეთება (აბაზანის გახეხვა, მტვერსასრუტის მოსმა, სადარბაზოს მორეცხვა, ფანჯრების წმენდა). თუ მოზარდი სკოლაში ცუდად იქცევა, მიაცილეთ საკლასო ოთახის კარამდე.

ჩვენ უამრავ დროს ვხარჯავთ იმაზე ფიქრში, როგორ მივცეთ მოზარდებს „კარგებად" ყოფნის საბაბი, მაგრამ არ ვუფიქრდებით იმას, როგორ მივცეთ საბაბი, არ იყვნენ „ცუდები".

ეფექტიანია არა სასჯელი თავისთავად, არამედ გონივრული, სამართლიანი, ცუდი ყოფაქცევის შესაფერისი სასჯელი. მხოლოდ ის თუ დაანახვებს მოზარდს ქცევასა და მის შედეგებს შორის თვალსაჩინო კავშირს.

ფსიქოლოგის დახმარებაში არაფერია სასირცხვილო. ბევრი მშობელი პერიოდულად აწყდება ისეთ სერიოზულ პრობლემებს, რომელთა მოგვარებას საკუთარი ძალებით ვერ ახერხებს.

ნინო ჭიაბრიშვილი

თვითკმარობა – მშვიდობა საკუთარ თავსა და სამყაროსთან

> თვითკმარობას ძლიერი კავშირი აქვს ბავშვობის გამოცდილებასთან. ადრეულ ასაკში სასტიკი მოპყრობა და ტრავმა, სავარაუდოდ, სუსტად განვითარებული თვითკმარობის მიზეზად იქცევა.

რაღაც ძალიან სევდიან-სასაცილო ამბავია, რომ არც ბოლომდე გულწრფელობა შეიძლება საჯაროდ და არც ტყუილი. უნდა გაზომ-აწონო სათქმელი და იმ საზღვრებში მოაქციო, საიდანაც არავის დააფრთხობ არც ზედმეტი გულწრფელობის სიგიჟით და არც რაფინირებული სიყალბით. ზოგჯერ წარმოდგენა არა მაქვს, სად არის ეს უსაფრთხო სივრცე და კულისებში გავდივარ, მაგრამ არც იქაა შვება, გარდა ერთისა: სულ მოდის და მოდის წასვლის დრო და სულ ისმის და ისმის მატარებლის კივილი – ბარგს მიხედეთ, შემოვდივარო ბაქანზე.

მაია სარიშვილი

თუ შეიძლება, იქნებ სუპერეგო ძალიან მოკლედ არ მომპარსოთ.

დენიელ კიზი

<u>თვითკმარი</u> – თავისთავად საკმაოდ მნიშვნელოვანი; სავსებით დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე.

თვითკმარობა საკუთარ თავთან თანხმობისა და უსაფრთხოების განცდაა, ღრმად ფესვგადგმული გრძნობა შინაგანი სისრულისა და წონასწორობისა. ზედაპირულად თუ ვიმსჯელებთ, ის „უსაფრთხო თვითშეფასებაა“ – საკუთარი თავის ღირსეულ ადამიანად შეფასებაა. თუმცა თვითკმარობა გაცილებით ღრმა რამაა. ის არა მარტო კოგნიტიური, არამედ ემოციური მდგომარეობაცაა – ფუნდამენტური მთლიანობისა და კეთილდღეობის განცდა.

თვითკმარ ადამიანს დიდად არ ადარდებს, რას ფიქრობენ მასზე სხვები. სხვათა გულგრილობა მასზე ნაკლებად მოქმედებს საკუთარი ღირსების ღრმა გრძნობის გამო. ასევე ნაკლებად მოქმედებს ქებაც და დადანაშაულებაც, რადგან უზომოდ არასოდეს არის გატაცებული საკუთარი მნიშვნელოვნებით.

ივივე შეიძლება ითქვას ცხოვრების დადებით და უარყოფით მოვლენებზეც: თვითკმარი ადამიანისთვის ისინი დესტაბილი-

ზაციის უმნიშვნელო საფრთხეს თუ შეიცავს. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს უემოციო მონსტრთან; უბრალოდ, ასეთ ადამიანს მყარი შინაგანი „სიმძიმის ცენტრი“ აქვს, სტაბილურად და ფილოსოფიურად ეკიდება უარყოფით მოვლენებს და წონასწორობასაც სწრაფად აღიდგენს. კეთილდღეობისა და სისრულის შინაგანი განცდის გამო თვითკმარები უფრო სიცოცხლისუნარიანები არიან ცხოვრებისეულ უკუღმართობათა დროს.

თვითკმარობა გარკვეულ თვისებებს უკავშირდება. თვითკმარებს ძლიერი შინაგანი „კონტროლის ლოკუსი“ აქვთ. მათ აქვთ საკუთარი კურსის განსაზღვრის, საკუთარი გადაწყვეტილების მიღების უნარი და სურვილი და არ დაუშვებენ, რომ მათი ცხოვრებისეული არჩევანი სხვამ გააკეთოს. ისინი ენდობიან საკუთარ ინსტინქტს და მზად არიან, იარონ საკუთარი გზით, მაშინაც კი, როცა ეს სხვების მოლოდინის საპირისპიროდ სიარულს ნიშნავს. ამიტომ ხშირად აწყდებიან ვერგაგებას ან დაცინვას.

თვითკმარი ადამიანი ნამდვილია (ავთენტურია). როგორც წესი, ის არ თამაშობს როლებს, გულწრფელია და არ ფარისევლობს, რომ ვინმეს ასიამოვნოს. შინაგანი სტაბილურობისა და მთლიანობის გამო მისთვის ნაკლებმნიშვნელოვანია სხვების დასტური ან პატივისცემა, ამიტომ მზად არის, გარისკოს და სიმართლე თქვას, თუნდაც სხვებისთვის მოსაწონი არ იყოს.

კვლევები ადასტურებს, რომ ასაკთან ერთად თვითკმარობის ხარისხი იზრდება. ახალგაზრდებში იდენტობა ჩამოყალიბების პროცესშია და, შესაბამისად, ძალზე ფაქიზი. ამით შეიძლება აიხსნას მათი იმპულსური სურვილები და მისწრაფებები.

თუ ლექსს ან ნახატს აჩვენებთ და აზრს ჰკითხავთ, მზად უნდა იყოთ, რომ გულწრფელ შეფასებას მოისმენთ. ის არ ცდილობს სხვებზე შთაბეჭდილების მოხდენას და ამიტომ ნამდვილად ყოფნის ფუფუნება აქვს.

ცხოვრების წესის თვალსაზრისით, თვითკმარი ადამიანი ბედნიერია საკუთარი თავის გარემოცვაში. ის სოციალურია, მაგრამ განმარტოებაც უყვარს. მაშინ, როცა ზოგიერთი ადამიანი ძნელად იტანს მარტოობასა და სიჩუმეს და გასართობად და ყურადღების გადასატანად ინტერნეტს ან ტელევიზიას იყენებს, თვითკმარი ადამიანი, საკუთარ თავთან მარტო მყოფი, სავსებით ბედნიერია. შინაგანი წონასწორობისა და მთლიანობის გამო ის ნაკლებად ეძებს კომპენსაციას მატერიალური კეთილდღეობისა და სტატუსის სახით. არ სჭირდება ძვირად ღირებული ნივთები, თავი კარგად რომ იგრძნოს. არც სახელსა და ძალაუფლებას ეძებს მნიშვნელოვნების დასტურად.

თვითკმარობა ფსიქოლოგიის მნიშვნელოვანი ასპექტია და შესაძლებელია, ზოგადი კეთილდღეობის წინაპირობად ჩაითვალოს. თვითშეფასება შეიძლება მცენარეს შევადაროთ, რომელსაც ფესვები ღრმად აქვს გადგმული თვითკმარობაში. უამისოდ ის მსხვრევადი და არასტაბილური იქნება.

თვითკმარობას ძლიერი კავშირი აქვს ბავშვობის გამოცდილებასთან. ადრეულ ასაკში სასტიკი მოპყრობა და ტრავმა, სავარაუდოდ, სუსტად განვითარებული თვითკმარობის მიზეზად იქცევა. კვლევები ადასტურებს, რომ ასაკთან ერთად თვითკმარობის ხარისხი იზრდება. ახალგაზრდებში იდენტობა ჩამოყალიბების პროცესშია და, შესაბამისად, ძალზე ფაქიზი. ამით შეიძლება აიხსნას მათი იმპულსური სურვილები და მისწრაფებები.

თვითკმარობის კონცეფცია არც ახალია და არც რევოლუციური. 2500 წელზე მეტია, ის მსოფლიოს სულიერი ტრადიციის შემადგენელი ნაწილია. „ბჰაგავად-გიტაში“ ადამიანის სულიერი გამოღვიძება ასეა აღწერილი: „ის ქებისა თუ დადანაშაულების მიღმაა, მისი გონება მტკიცეა და მშვიდი“; „ის ერთნაირია სიამოვნებისა და ტკივილის დროს; მისთვის ერთია სამყაროს ოქროც და ქვებიც; მის სიმშვიდეს ვერც სიამოვნება ამღვრევს და ვერც უსიამოვნება“.

ესეც რამდენიმე რჩევა თვითკმარობის განვითარებისთვის:

1. მუდმივად იზრუნეთ თვითგანათლებაზე. ახალი ცოდნა აკეთილშობილებს ადამიანს და მის ცხოვრებას საინტერესოს და სისხლსავსეს ხდის. ცოდნის მიღების პროცესი არ შეიძლება სასრული გახდეს, დოჩანაშვილისეული „გავძეხი“ დამოკიდებულება ამ შემთხვევაში სიკვდილის ტოლფასია.
2. დაუსახეთ საკუთარ თავს განსაზღვრული მიზნები. ეს ცხოვრებისეულ რუტინას აზრს აძლევს და სამუშაოზე კონცენტრირებაში გვეხმარება.
3. ურთიერთობა დაამყარეთ საინტერესო ადამიანებთან, გაიზიარეთ მათი ცოდნა და გამოცდილება.
4. იზრუნეთ ნებისყოფის განვითარებაზე. უნებისყოფო ადამიანი სიზარმაცისა და აპათიის მსხვერპლია. ვერც სიზარმაცე და ვერც აპათია თვითრეალიზაციაში ვერ დაგვეხმარება.
5. ისწავლეთ მხოლოდ საკუთარ ძალებზე დაყრდნობა. ბედის ან მდიდარი ახლობლის წყალობის მოლოდინში ადამიანი ვერ ვითარდება.
6. ეცადეთ, გონივრულად მიიღოთ რჩევა თუ კრიტიკა და თვითგანვითარებისთვის გამოიყენოთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

https://www.psychologytoday.com/blog/out-the-darkness/201303/self-sufficiency-essential-aspect-well-being